რეტრო თვალთმაქცობა A2 | "თქვენი აფხაზეთი" A8 | ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 28 ივლისი, 2004 წელი. №177 (726) — ფასი 50 თეთრი

# პასუხისმგებლობა საკუთარი მოქალაქეების წინაშე

### "ისტორიულ ვალებს" უახლოეს მომავალში გასტუმრება არ უწერიათ




ვახო ბესელიას ფოტო

*პენსიონერთა ერთ-ერთი ჩვეულებრივი რიგი, რომელიც, იმედია, აღარასოდეს განმეორდება და სახელმწიფო შიდა ვალებს ამ მოხუცებულების კუთვნილი თანხები აღარ დაემატება.*

*წინა მოწვევის პარლამენტის მიერ აღიარებული საშინაო ვალის გადახდის ვალდებულება ახალ მთავრობაზე ავტომატურად გადავიდა. დაგროვილ მიმდინარე დავალიანებებთან ერთად, ახალ ხელისუფლებას იმ "ისტორიული" ვალის გასტუმრებაზეც მოუწევს ზრუნვა, რომელიც ექვსი წლის წინათ იქნა აღიარებული. უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყნის საშინაო ვალი მილიარდ 600 მილიონ ლარს აღწევს. ექსპერტებსაც და ჩინოვნიკებსაც უჭირთ ე.წ. ისტორიული ვალების გადახდის კონკრეტულ ვადებზე საუბარი.*

სოფიკო ოხანაშვილი

1998 წელს პარლამენტის მიერ მიღებული "სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონის თანახმად, საშინაო ვალის 14-მდე სახეობა განისაზღვრა. მათ შორის, ქვეყნის საკანონდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, საშინაო ვალად აღიარეს საქართველოს მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრები, საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებისა და საბჭოთა კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანებები და სხვა.

ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წლის პირველი იანვრისთვის საშინაო ვალი მილიარდ 567 მილიონ 900 ათას ლარს შეადგენდა. თუმცა, ამ ვალის ლარებში განსაზღვრული მოცულობა სადავოა და საზოგადოების დიდი ნაწილის შეფასებით, გაანგარიშების არსებული მექანიზმები გადახედვას საჭიროებს, რის შემდეგაც ამ ვალის მოცულობა, სავარაუდოდ, გაიზრდება, თუმცა ექსპერტთა გარკვეულ ნაწილს დღეს დაფიქსირებული ვალის დაბრუნებაც არარეალურად მიაჩნია.

პირველი ივნისის მდგომარეობით, საშინაო ვალის მოცულობა მიმდინარე წლის პირველ იანვარს დაფიქსირებული 1 მილიარდ 567 მილიონ 900 ათასი ლარიდან 1 მილიარდ 588 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ზრდა სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების მოცულობის ხარჯზე მოხდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ეკონომიკა

### ვინ გააკონტროლებს სახელმწიფო საწარმოებს?



ცისკარიშვილი სახელმწიფო საწარმოებში საკუთარი ინტერესების გამყარებით დაინტერესებულ პირთა შორის პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, დეპუტატ გიორგი არველაძესა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ირაკლი ჩუბინიშვილს ასახელებს.

A4

## უცხოეთი

### რუსეთის ახალი "გამყინვარების პერიოდი"

26 ივლისს ამერიკულ გავლენიან გაზეთ "უოლ სტრით ჯორნალში" გამოქვეყნდა სტატია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის დემოკრატიულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. პუტინის ამასწინანდელი შენიშვნა, თითქოს ზოგიერთი საინფორმაციო წყარო რუსეთის რენომეს შელახვას ცდილობს, შესაძლოა, სწორედ ამგვარი სტატიებით იყო გამოწვეული.

A5

## საზოგადოება

### პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი



ევროპა გარემოსა და უსაფრთხოების საკითხებზე აკეთებს აქცენტს.

A6

## სამართალი

### როგორ იცავენ საქართველოს ტყეებს პარლამენტიდან

სტატისტიკას და სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურების მიერ ყოველდღიურად გავრცელებულ ინფორმაციებს თუ თვალს გადავავლებთ, ტყის უკანონო გაჩეხვის გამოვლენის ასობით ფაქტს დავითვლით. თუმცა, იმავე მასალებში ვერსად ვნახავთ ხე-ტყის ბიზნესის რეალურ მეპატრონეთა დასჯის შემთხვევებს.

A7

## ამინდი

| | 28/7 | 29/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 36 |
| ქუთაისი | 38 | 41 |
| ბათუმი | 38 | 41 |
| სოხუმი | 34 | 37 |
| ფოთი | 37 | 40 |
| თელავი | 33 | 34 |
| ზუგდიდი | 38 | 41 |
| გორი | 32 | 34 |
| ახმეტა | 33 | 34 |
| ჭიათურა | 37 | 39 |
| გაგრა | 32 | 36 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8951 |
| ევრო | 2.3044 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4915 |
| რუბლი | 0.0652 |

## როკის გვირაბი – მთავარი მილიტარისტული არხი

გიორგი ასანიშვილი

*ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის საგანგებო წარმომადგენელი ჟელიუ ჟელევი საქართველოში სტუმრობის ბოლო დღეს ცხინვალს ეწვია და ადგილობრივი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბორის ჩოჩიევსა და ზნაურ გასიევს, აგრეთვე, კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდალს, სვიატოსლავ ნაბზდოროვს შეხვდა. თბილისში დაბრუნებული ჟელევი ამ შეხვედრების დეტალებზე საუბარს და რუსულ-ოსური მხარეების პოზიციისთვის შეფასებების მიცემას თავს არიდებს, თუმცა ზოგიერთ შთაბეჭდილებას არ მალავს და მასმედიასაც უზიარებს.*

**"კონფლიქტის ზონაში ყოფნა ნამდვილად არ არის სასიამოვნო: ირგვლივ შეიარაღებული და ნიღბიანი ხალხი ტრიალებს, გზები ჩახერგილია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბლოკ-პოსტებია მოწყობილი, ხშირად ისმის სროლების ხმა და ეს არც არის გასაკვირი: როგორც ადგილობრივები ამბობენ, თითქმის ყველა სახლშია იარაღი. ამდენად, კონფლიქტის განახლების საფრთხე არსებობს. თუ იარაღი დაგროვდა, კაცმა არ იცის, რა მოხდება. მისი ამოღება აუცილებელია,"** - ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან ასეთ არცთუ ნათელ მოგონებებს ჩაიტანს ჟელიუ ჟელევი ვენაში, ეუთო-ს სათავო ოფისში.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კოკოითი ასლანს იმეორებს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში მყოფი ედუარდ კოკოითი, არც მეტი, არც ნაკლები, ასლან აბაშიძეს ბაძავს. კრემლის ქონგურებს დროებით თვალს მოფარებული თვითმარქვია პრეზიდენტის კვალს ჟურნალისტები მოსკოვში ისევე დაეძებენ, როგორც ეს აბაშიძის შემთხვევაში იყო. ეს ანალოგია ამ მომენტში სრულიად გამართლებულია, რადგანაც მოსკოველი ექსპერტები ასკვნიან, რომ ახლა უკვე კოკოითია აგონიაში, ისევე, როგორც აბაშიძე მოსკოვში აჭარის ლიდერის რანგში თავის ბოლო ვიზიტისას იყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მოსკოვში კოკოითი რუს მაღალჩინოსნებს ხვდება, რომლებიც მას, რომ არაფერში ჩაიჭრას, მომავალი საჯარო გამოსვლებისათვის "შპარგალკებს" უმზადებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი; 3 თვით - 39 ლარი; 6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მერიდიანი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რეტრო თვალთმაქცობა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გურამ შარაძე დაბრუნდა, მაგრამ აღარ არის საინტერესო.*

"მერსედესით" და "დაცვის ბიჭ-ის" თანხლებით შემოგუგუნდა გუშინ ჟურნალისტთა სახლის ეზოში, ჯერ ასლან აბაშიძის და შემდეგ ედუარდ შევარდნაძის "თანაგუნდელი", ახლა კი ხავსს მოკიდებულ-მოჭიდებული გურამ შარაძე. ალარც კი მეგონა, თუ ეს კაცი კიდევ არსებობდაო, - ჩაილაპარაკა ვილაცამ.

გურამ შარაძემ, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, გუშინ პრესკონფერენცია გამართა, თუმცა - არაფერზე. მაშინაც კი, როდესაც გურამ შარაძე პარლამენტის წევრთა რიგებში ეწერა, მისი ერთადერთი საშველი მხოლოდ ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში ყოველკვირეული ბრიფინგების გამართვა იყო.

**"როგორც ჩანს, ძალიან მომნატრებიხართ ჟურნალისტები, სულ მეკითხებიან - სად დავიკარგე, მაგრამ მე არსად წავსულვარ, მე აქ ვარ!"** - მკაცრი ტონით მიმართა ერთ დროს ეკრანის ვარსკვლავმა ჟურნალისტებს.

**"მაგრამ დიდი ხნის დუმილის შემდეგ თქვენთან შეხვედრა მე მაიძულეს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შესეულმა მასონებმა,"** - თქვა გურამ შარაძემ და გაცვეთილი ეპითეტების კორიანტელი დაახვავა: "ეშმაკები", "სატანები", "ანაფორიანი "კმარელები", "ეროვნებისა და რელიგიის წამრთმევები" და სხვა.

შარაძე, რასაკვირველია, თავის ლვაწლსაც გამორჩევით შეეხო: **"პატრიარქის წინააღმდეგ ისინი შეთქმულებას ამზადებდნენ, თუმცა, ამ ფაქტის ჩემ მიერ გახმაურებისა და დიდი ძალისხმევის შედეგად, ეს შეთქმულება დროებით ჩაიშალა, მაგრამ ისინი ვერ ისვენებენ და შეთქმულებას მაინც არ ეშვებიან."**

საინტერესოც კი ალარაა, "ერთი საწყალი ყოფილი პარლამენტარის" ასეთი თვალთმაქცობა. გურამ შარაძე ხომ ის პიროვნებაა, რომელიც თავგამოდებით იცავდა ეკლესიიდან მოკვეთილ, ახლა კი პატიმრობაში მყოფ ბასილ მკალავიშვილს. მარტო ეს რად ღირს!

*ნინო გომართელი*

# როკის გვირაბი - მთავარი მილიტარისტული არხი

პირველი გვერდიდან

ჟელევის თქმით, ცხინვალში ყოფნისას, როკის გვირაბისა და ეუთო-ს მონიტორინგის საკითხებზე საგანგებო მსჯელობა არ ყოფილა. თუმცა, ეუთო-ს თავმჯდომარის წარმომადგენლის განცხადებით, **"ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ეუთოს ჯგუფის მიერ როკის გვირაბის გაკონტროლებაზე სიტყვით თანახმანი არიან, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება უჭირთ და მიიჩნევენ, რომ ეს უფრო მაღალი დონის შეხვედრაზე შეიძლება მოხდეს".**

იმას, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიმართ თავის დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს და საკუთარ დასკვნებს არ ამზეურებს, ჟელიუ ჟელევი იმით ხსნის, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პირველად იყო და იქ მისი სტუმრობის ძირითად მიზანს ინფორმაციის შეგროვება წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ეუთო-ს თავმჯდომარის ემისარმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვრცლად ისაუბრა ქართული მხარის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების შესახებ.

**"სალომე ზურაბიშვილთან საუბრისას გაირკვა, რომ ჩვენ ერთი და იგივე პოზიცია გვაქვს,"** - აღნიშნავს ჟელევი.

იგი განსაკუთრებით გამოყოფს მიხეილ სააკაშვილთან თავის გუშინწინდელ შეხვედრას. **"შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კონფლიქტის ზონაში შექმნილ სიტუაციაში საქართველოს პრეზიდენტი კარგად ერკვევა და სრულად აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რომლებიც რეალურად არსებობს,"** - აცხადებს ბულგარეთის ყოფილი პრეზიდენტი. იგი კმაყოფილია იმ დიალოგითაც, რომელიც ამ დღეებში სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავასა და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან გამართა.



ვახტანგ ბესელიას ფოტო

*ჟელიუ ჟელევი თავს არიდებს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან საუბრის დეტალების გამჟღავნებას.*

# კოკოითი ასლანს იმეორებს

პირველი გვერდიდან

ეტყობა "შპარგალკები" ვერ მოასწრო და ამიტომ არაფერი ესაქმებოდა კოკოითს "იზვესტიას" მედიაცენტრში, საერთაშორისო "ევრაზიული მოძრაობის" ლიდერის ალექსანდრ დუგინის ინიციატივით მოწვეულ ერთობ უცნაურ მრგვალ მაგიდაზე. "მოუმზადებელ" კოკოითს "მეცნიერული დებატების" შეეშინდა და "იზვესტიაში" არ მივიდა. მედიაცეტრში კი ჟურნალისტებს კოკოითისგან სურდათ ნორმალურ შეკითხვებზე ნორმალური პასუხის მოსმენა. მაგალითად, ეტანება თუ არა სამხრეთ ოსეთის ლიდერი ალკოჰოლს, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივის, როგორც ამაზე ქართული პრესა წერს და რა ბედი ეწია მის "ჰამერს".

ამის ნაცვლად ჟურნალისტებმა მოისმინეს მოსაწყენი და მენტორული ლექცია ევრაზიული მოდელით საქართველოს მოწყობის გონივრულობაზე. ამ იდეით გატაცებულმა ბატონმა დუგინმა (რომელიც ამასთანავე დმიტრი როგოზინის სახალხო-პატრიოტული პარტია "როდინას" წევრიცაა) საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალი ქართული უნიტარული სახელმწიფოს შექმნის მცდელობაში დაადანაშაულა. ასეთ ქვეყანაში, დუგინის მტკიცებით, **"ეთნიკურ უმცირესობებს მოახრჩობენ, რაც საქართველოს რუსეთთან გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაჩაღებამდე მიიყვანს."** კოკოითის მოსკოვური გარემოცვის წევრებმა დმიტრი მედოევმა, კონსტანტინ კოჩიევმა, მოსკოვში ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანალიტიკურ-ინფორმაციული სამსახურის უფროსმა ლეონიდ ძუგაევმა ევრაზიული ტოლერანტობის იდეა დროებით გვერდზე გადადეს და დღის წესრიგში დასვეს გათიშული ოსი ხალხის გაერთიანებისთვის რუსეთში საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა. მრგვალი მაგიდის წევრებმა დაასკვნეს, რომ **"ქართულ-ოსური პრობლემა კავკასიის ფარგლებს ცდება და მსოფლიოს სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ მოდელს სთავაზობს, კავკასიიდან რუსეთის საბოლოოდ გაძევების იდეით. ოსური კონფლიქტი ვლადიმირ პუტინის გამოცდაცაა. მით უფრო, რომ სააკაშვილი მოვიდა იმიტომ, რომ, აშშ-ს წაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით, რუსეთის კავკასიიდან განდევნის დაწყებული პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს."**

"არსად წახვიდეთ, კოკოითი აუცილებლად მოვა," - მისძახოდნენ "იზვესტიის" თანამშრომლები ჟურნალისტებს, რომლებიც მედიაცენტრს ტოვებდნენ. კოკოითის გარემოცვა, რომელმაც თავადაც არ იცოდა, სად და ვისთან იმყოფებოდა მათი ლიდერი, ჟურნალისტებთან თავს იმართლებდა, ბატონ ედუარდს მეტად დაძაბული(" პლოტნი") გრაფიკი აქვს და, ალბათ, ვერ მოიცალაო. იმავდროულად დარბაზი ალაპარაკდა ოსეთში სიტუაციის განვითარების ორ მოდელზე - მშვიდობიანზე, ანუ აჭარულზე, და კონფრონტაციულზე, ანუ რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებაზე. ძასოხოვის წარმომადგენელმა ძუგაევმა იწინასწარმეტყველა, რომ ქართულ-ოსურ კონფლიქტში რუსეთი აუცილებლად აღმოჩნდება ჩათრეული.

კოკოითმა ოთხშაბათ დილით პრესკონფერენცია "ინტერფაქსში" მაინც დანიშნა. თუმცა, ჩახედავს თუ არა იგი ამჯერად ჟურნალისტებს თვალებში, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. "სიტუაცია ყოველ საათს, ყოველ წუთს იცვლება და გამორიცხული არაფერია, შეიძლება იგი არ მოვიდეს," - აშკარად შეშფოთებულნი ჩანან ედუარდ კოკოითის მოსკოველი მრჩევლები - კონსტანტინ კოჩიევი და ლეონიდ ძუგაევი. მედოევ-კოჩიევ-ძუგაევის ტრიო თავგამოდებით ამტკიცებს, რომ მათი მეურვეობის ქვეშ მყოფი კრემლშია და მას პუტინის ადმინისტრაციის მოხელეები ესაუბრებიან.

მოსკოველ დამოუკიდებელ ექსპერტებს ყველა საფუძველი აქვთ ამტკიცონ, რომ ედუარდ კოკითი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. მოსკოვში ხუმრობენ, რომ იგორ ივანოვი თვითმფრინავს ამზადებს, ხოლო კოკოითი - ჩემოდნებს.

# აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ომისთვის ემზადება

აფხაზეთში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებების სამეთაურო-საშტაბო წვრთნები დაიწყო და ოთხი დღე გაგრძელდება, რასაც საქართველოს ხელისუფლება ომისათვის მზადებად აღიქვამს და, შესაბამისად, გაერო-სა და რუსეთისაგან ამ ყველაფრის აღკვეთას მოითხოვს.

წვრთნებში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყველა ტიპის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები იღებენ მონაწილეობას. სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი ვიაჩესლავ ეშბა დაჟინებით აცხადებს, რომ აღნიშნული სწავლების ჩატარება ჯერ კიდევ 2003 წელს დაიგეგმა და მას უკანასკნელ პერიოდში სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებთან და აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა აგრესიულ განცხადებებთან არავითარი კავშირი არ აქვს. საპასუხოდ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ამბობს:

**"თვითგამოცხადებული აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკის მობილიზაცია და ომისათვის მზადება მიმდინარეობს, რაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლების ხელშეწყობის ტოლფასია. ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში მყოფი გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებისა და რუსი სამშვიდობოებისგან აფხაზური მხარის მიერ დაგეგმილ სამხედრო სწავლებებზე რეაგირებას და მსგავსი ქმედებების აღკვეთას მოითხოვს."**

რასაკვირველია, ოფიციალურ თბილისს არ სჯერა ფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის ლიდერების ვითომდა რბილი, აუღელვებელი განცხადებების და კვლავაც დაჟინებით მოითხოვს, რომ გაერო-მ და რუსმა სამშვიდობოებმა გაარკვიონ, საიდან შედის აფხაზეთში სამხედრო ტექნიკა - საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან თუ მდინარე ფსოუზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთიდან.

პასუხი არც აყოვნებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კოფი ანანი გაერო-ს უშიშროების საბჭოს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამხედრო დამკვირვებელთა მისიის მანდატის 6 თვით გაგრძელებას ურჩევს.

გაერო-ს გენერალური მდივანი იმედოვნებს, რომ **"დროთა განმავლობაში სოხუმის ხელისუფლება კორექტივებს შეიტანს თავის პოზიციაში, კონსტრუქციულად უპასუხებს საქართველოს ახალი ხელისუფლების წინადადებებს და განაახლებს კონფლიქტის მოსაგვარებლად თბილისთან პირდაპირ დიალოგს."**

**"სწავლების დაწყების შესახებ აფხაზურმა მხარემ ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა ხელმძღვანელობას მიაწოდა, ხოლო რაც შეეხება ქართული მხარის საქმის კურსში ჩაყენებას, ოფიციალურ თბილისს აფხაზეთში დაწყებული გეგმიური სწავლებების შესახებ ინფორმაციას შუამავლები - გაერო-სა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობები მიაწოდებენ,"** - განმარტავს ეშბა.

მაგრამ დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერი მაინც ვერ ისვენებს და მიმდინარე სამეთაურო-საშტაბო წვრთნების აღწერისას ამბობს, რომ შემუშავდება სამოქალაქო სამსახურების და შეიარაღებული ძალების შეთანხმებული მოქმედებების გეგმა საქართველოს მხრიდან აგრესიის მოსაგვარებლად.

**"წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად დაგეგმილია რეზერვისტების ზოგიერთი ქვედანაყოფის მობილიზება, იგეგმება ასევე ხელისუფლების მიერ საომარი მოქმედების ადგილიდან მოსახლეობის იმ ნაწილის გახიზვნასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც მობილიზაციას არ ექვემდებარება,"** - აცხადებს რაულ ხაჯიმბა.

*24 საათი*

# საქართველო ეუთო-ს გააქტიურებას სთხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ხუთშაბათს ეუთო-ს შტაბ-ბინაში გაემგზავრება. ვენაში იგი სპეციალური მოხსენებით გამოვა და ეუთო-ს წარმომადგენლებს "სამხრეთ ოსეთში" ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გააცნობს.

გამგზავრებამდე სალომე ზურაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს შეხვდა. ქართული მხარე, ძირითადად, იმ საკითხებზე ისაუბრებს, რაც მოსკოვში, შერეული კომისიის სხდომაზე ვერ გადაწყდა. ესაა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის და როკის გვირაბის საკითხები. ქართული მხარე როკის გვირაბის ეუთო-ს ძალებით გაკონტროლებას და მონიტორინგს მოითხოვს. ზურაბიშვილის განცხადებით, დადგება საკითხი კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მანდატის გაფართოების თაობაზეც. ამ შეხვედრების შემდეგ გაირკვევა, თუ კონკრეტულად რა შეიძლება გააკეთოს ეუთო-მ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

როგორც საგარეო საქმეთა, ისე სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს საერთაშორისო ორგანიზაციების დასარწმუნებლად, რომ რეალურად, შექმნილი მდგომარეობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონტრაბანდასა და ბანდიტიზმთან ბრძოლით არის განპირობებული და არ წარმოადგენს ქართულ-ოსურ კონფლიქტს.

**"ნარკობიზნესი, კონტრაბანდა, უკანონო იარაღი და დაქირავებული ბოევიკები იყრიან თავს, მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის, ეს მთელ საერთაშორისო საზოგადოებას აწუხებს,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

გუშინ გოგა ხაინდრავამ კატეგორიულად უარყო "სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადება, თბილისიდან მისთვის 20 მილიონი დოლარის და საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შეთავაზების შესახებ. ხაინდრავას თქმით, კოკოითი გაურკვეველ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მინიშნებებს აკეთებს. მისი თქმით, ქართულმა მხარემ კოკოითს მხოლოდ კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში მონაწილეობის მიღება შესთავაზა და არა ფული.

*ლენა მიქაძე*

# "მაიკლ" - საქართველოს პრეზიდენტის ახალი სახელი რუსულ მედიაში

რუსეთი კონფლიქტის ზონაში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების ინტერესებს იცავს და მეზობელ სახელმწიფოსთან გამართული იდეოლოგიური და დიპლომატიური ცივი ომის პირობებში მოსაზღვრე ქვეყანაში სამხედრო ქმედებების ლეგალიზებას ცდილობს. სწორედ აქ იწყება რუსული დიპლომატიის ვირეშმაკობა, - გვეუბნება ადამიანის უფლებათა ცნობილი რუსი დამცველი ვალერია ნოვოდვორსკაია.

**"ევროპულ სტრუქტურებში რუსეთის პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილის სწრაფვასაც კი, არ შეუძლია რუსი სამხედროების შემეცნებიდან სისხლში გამჯდარი იმპერიული მენტალიტეტის საბოლოოდ აღმოფხვრა. სტალინის დროს აშენებულ შენობებში მოკალათებული გენერლები და დიპლომატები დღემდე ისე აზროვნებენ, როგორც დიდი ბელადის სიცოცხლეში. ამიტომ იმეორებს გულმოდგინედ ჩვენი ახალი მინისტრი ლავროვი, რომ რუსეთი საკუთარ ინტერესებს იცავს საქართველოში. რატომ არ გამოსდის კრემლს ეს ჩეჩნეთში?"** - ამბობს ნოვოდვორსკაია.

ბოლო დღეების რუსულ მედიაში საქართველოზე პუბლიკაციების სიმრავლემ დსთ-ს მასშტაბით კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების ყველა რეკორდი მოხსნა. ვეკითხები "მოსკოვსკი კომსომოლეცის" ქართული თემით გატაცებულ ჩემს რუს კოლეგა მარინა პერევოზკინას, მაინც რატომ წერს ასე აგრესიულად საქართველოზე, ხშირად არაობიექტურადაც? იმასაც ვეკითხები, როგორ ფიქრობს, მაინც რატომ ჩაგვაფრინდა ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ რუსეთი და არ სურს იმპერიული კლანჭებიდან ჩვენი გაშვება? იგი ირონიული ღიმილით მპასუხობს: **"იმიტომ, რომ რუსეთს თავისი ეროვნული ინტერესები აქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თანაც იქ რუსები ცხოვრობენ".**

გასაგებია, ვინც მართავს პროპაგანდისტულ მანქანას დღეს რუსეთში, მაგრამ სულაც არ ესაჭიროება ჩვენს დღეებში ბევრ ჩვენს რუს კოლეგას ინსტრუქტირებული რედაქტორის ინსტრუქტაჟი: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რომ საქართველოსი არ არის, ეს დადასტურებულია თითქმის ყველა რუსი რეპორტიორისთვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს რუსი ჟურნალისტები სულ უფრო ხშირად ეძახიან "მაიკლს", ტრადიციული რუსული "მიხაილის" ნაცვლად.

ბევრი რუსი პოლიტიკოსი რუსეთთან სტაბილურად გაფუჭებულ ურთიერთობას ჩვენი ევროპული მენტალიტეტით ხსნის, ნატო-ში ჩვენს სწრაფვას აბრალებს. ისინი კი, ვინც დასავლურ მენტალიტეტს რუსულ ჩექმასა და ტანკს ამჯობინებს, მოსკოვში ნანატრი სტუმრები არიან.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

## ვის შეხვდება ნამატი ბიუჯეტი?

ისრაელში გამგზავრებამდე მიხეილ სააკაშვილთან ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრებმა 220 მილიონი ლარით გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ისაუბრეს.

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კონკრეტული ციფრების დასახელებას ჟურნალისტებს მთავრობის დღევანდელ სხდომაზე დაჰპირდა. ეკონომიკის მინისტრ კახა ბენდუქიძის განცხადებით, კონსოლიდირებულ ბიუჯეტში 61 მილიონი ლარი პრივატიზებიდან, ძირითადად, "თბილავიამშენის" ხარჯზე მოხდება. კახა ბენდუქიძე აჭარაში პრივატიზების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მან არაფერი იცის გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, თითქოს აჭარაში მხოლოდ ერთი სასტუმროს - "ინტურისტის" გაყიდვა იგეგმება. აჭარაში პრივატიზებიდან მიღებული თანხების ერთი მესამედი სწორედ აჭარის ადგილობრივ ბიუჯეტში დარჩება. არაოფიციალური ინფორმაციით, 220-მილიონიანი საბიუჯეტო ნამატი, დაახლოებით, ასე უნდა განაწილდეს:

პროკურატურის და ენერგეტიკის სფეროზე 20-20 მილიონი ლარი; სოფლის მეურნეობის სფერო - მილიონ-ნახევარი, თავდაცვის სფერო - 24 მილიონი; განათლების სფერო - 10 მილიონი ლარი და ა.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი თანხები სხვადასხვა სფეროში არსებული დავალიანებების დაფარვას უნდა მოხმარდეს.

*24 საათი*

## ქართული ენერგოსისტემა სომხეთ-ირანის სქემაში ჩაერთვება

ქართული ენერგოსისტემა უახლოეს მომავალში პარალელურ რეჟიმში ამუშავდება და სომხეთ-ირანის სქემაში ჩაერთვება, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა. მისი თქმით, სომხეთი ენერგეტიკის სფეროში კლავ რჩება საქართველოსთვის სასურველ პარტნიორად. ორ კვირაში სამინისტროს სპეციალური ჯგუფი გაემგზავრება სომხეთში, რათა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იქაურ ენერგეტიკის სამინისტროსთან მოლაპარაკებები აწარმოოს. გილაურის განცხადებით, პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ჩართვას სომხეთ-ირანის სქემაში, რომლის მიხედვით საქართველო ზაფხულის პერიოდში ჭარბ ელექტროენერგიას მიაწვდის სომხეთსა და ირანს, ხოლო სანაცვლოდ, მათგან ელექტროენერგიას ზამთარში მიიღებს.

გილაურის განცხადებით, 4-5 თვის მანძილზე სომხეთი საქართველოს 120-130 მეგავატით ამარაგებს, რომელსაც მხოლოდ თბილისი მოიხმარს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის ტარიფი - 2,54 ცენტი ჯერჯერობით ძალაში რჩება, რუსეთიდან შემოტანილი ენერგიის ტარიფთან შედარებით, საქართველოსთვის ეს კატასტროფული თანხა არაა. სხვაობას "თელასი" საკუთარი ამონაგები თანხიდან ფარავს (რუსეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის ტარიფი 2,45 ცენტია). გილაურის განცხადებით, სომხეთის მხარესთან ტარიფის შესახებ საუბარმა შედეგი არ გამოიღო, რადგან სომხეთში, ისევე როგორც საქართველოში, ელექტროენერგიის ტარიფებს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ადგენს. ამდენად, დელეგაცია უფლებამოსილი არ იყო, რაიმე ცვლილება შეეტანა და კონკრეტული გადაწყვეტილება მიეღო ამ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს აღნიშნული შეხვედრა პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნია საქართველო-სომხეთის ურთიერთობების თვალსაზრისით ენერგეტიკის საკითხებში. ენერგეტიკული, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ტარიფების საკითხები საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრებმა ზურაბ ჟვანიამ და ანდრანიკ მარგარიანმა 26 ივლისს, თბილისში გამართულ სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომაზე განიხილეს.

*პრაიმ-ნიუსი*

## რუსული საინფორმაციო ფანტაზია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი არ ადასტურებს რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას თბილისსა და ვაზიანში, რუსეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილ ტერიტორიაზე ქართული სამხედრო ფორმირებების შეჭრისა და შეტაკების თაობაზე.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ვაზიანის ტერიტორიაზე ცარიელი საავტომობილო საწყობი არსებობს. ის, ჯერჯერობით, რუსეთის კუთვნილებაა, მაგრამ იმ ობიექტთა ნუსხაში შედის, რომელიც საქართველოს უნდა გადმოეცეს. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ამიერკავკასიაში რუსეთის დაჯგუფების სარდლობიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბში მივიდა ოფიციალური წერილი ტერიტორიის ერთობლივი პატრულირების თაობაზე. იმის გამო, რომ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების (რომელიც საქართველოს უნდა დარჩეს) განიავება არ მოხდეს, უკვე ერთი თვეა, აღნიშნული წერილის თანახმად, საავტომობილო ბაზის გარე პერიმეტრზე პატრულირებს ქართული, შიდაზე კი - რუსული მხარე. თავდაცვის სამინისტრო ვაზიანის საავტომობილო ბაზაზე ქართველ და რუს სამხედროებს შორის რაიმე გაუგებრობის არსებობას კატეგორიულად უარყოფს.

გუშინ, საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ინფორმირებული წყაროები მოსკოვში იტყობინებოდნენ, თითქოს საქართველოს შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიპყრეს რუსული სამხედრო ქალაქი ნომერი 5 - ვაზიანში და ნომერი 3 - თბილისში. იმავე წყაროს ინფორმაციით, ამ ობიექტების მოდარაჯე რუსი სამხედროები განიარაღებულნი იქნენ.

*ინტერ-პრესი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პასუხისმგებლობა საკუთარი მოქალაქეების წინაშე

## "ისტორიულ ვალებს" უახლოეს მომავალში გასტუმრება არ უწერიათ

პირველი გვერდიდან

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელ პირთა განმარტებით, ამჟამად არსებული ოფიციალური რიცხვი დღემდე დაუზუსტებელია და მისი შეცვლა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი, რასაც იმით ხსნიან, რომ ოფიციალურად აღიარებული საშინაო ვალის 14 კატეგორიიდან, ექვსის შემთხვევაში ვალის მოცულობა სახელმწიფოსთვის ზუსტად არ არის ცნობილი.

არსებული დავალიანებიდან ყველაზე მეტი თანხა ანაბრებზე და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებულ სესხზე მოდის, რასაც სახაზინო ვალდებულებების ემისიით და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებები მოჰყვება. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, სახაზინო ვალდებულებების მიმართულებით ყველაფერი გარკვეულია. **"ეს კატეგორია მუშაობს და ამ მხრივ პრობლემებიც არ არსებობს",** - აღნიშნავენ სამინისტროში. ავტომატურ რეჟიმში მუშაობს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხის კატეგორიაც. ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირების განმარტებით, როგორც კი მოდის პროცენტის დაფარვის დრო, ეროვნული ბანკი, არავის არფერს არ ეკითხება და აჭრის ბიუჯეტს ამ თანხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საშინაო ვალის აღიარებიდან დღემდე ამ ვალის დასაფარად პრაქტიკულად არანაირი ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა. სხვადასხვა ეტაპზე მევალეების გასასტუმრებლად სხვადსახვაგვარი გადაწყვეტილებები იყო მიღებული. საშინაო ვალის გასტუმრების, მოცულობისა და სტრუქტურის მექანიზმების შესამუშავებლად არაერთი სამთავრობო კომისია შექიმნა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს უკვე არ არსებობს ქმედითი მექანიზმები, თუ როგორ უნდა მოხდეს მევალეების გასტუმრება.

ტენდენციები საშინაო ვალის დაბრუნების საკითხში უკვე რამდენიმე წელია უცვლელია. საშინაო ვალად აღიარებული თანხების გადახდა ორი მიზეზით ჭიანურდება: ერთ შემთხვევაში არ არსებობს ნორმატიული ბაზები და, შესაბამისად - ვალის დაბრუნების მექანიზმებიც; მეორე შემთხვევაში, მართალია არსებობს მექანიზმები (მაგალითად "თბილტრანსისა" და კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა მიმართ არსებული დავალიანება), მაგრამ - მხოლოდ ფორმალურად. ოფიციალური პირების არგუმენტი კი ასეთია: ქვეყანა, რომლის ძირითადი საზრუნავიც მიმდინარე დავალიანებების გასტუმრებაა, უახლოესი წლების განმავლობაში, ისტორიული ვალების გასტუმრების უფლებას თავს ვერ მისცემს.

## ობლიგაციები - ერთ-ერთი ყველაზე უიმედო ვალი

სოფიკო ოხანაშვილი

სახელმწიფომ საშინაო ვალად ორი ტიპის ობლიგაციონერთა მიმართ არსებული დავალიანება აღიარა: საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება და ყოფილი სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება. პირველ შემთხვევაში დავალიანება სულ 130 ათასი ლარია. მეორე შემთხვევაში კი დავალიანებამ შვიდი მილიონ 800 ათასი ლარი შეადგინა. ეს რიცხვები საორიენტაციოა, ობლიგაციონერთა მიმართ არსებული დავალიანების ზუსტი მოცულობა სახელმწიფოსთვის უცნობია.

წლების განმავლობაში საშინაო ვალის ამ კატეგორიების გადახდის თვალსაზრისით მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. რეალურად კი არაფერი გაკეთებულა. სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების კატეგორია, უმრავლესობის მსგავსად, დღესდღეობით სამართლებრივად დაურეგულირებელია.

ხოლო მეორე, ანუ საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების მფლობელთა მიმართ არსებული დავალიანების სეგმენტში ნორმატიული ბაზა არსებობს, თუმცა

**მოგებახვედრილი ობლიგაციების განაღდების ცხრილი**

| N | მოგების ოდენობა კუპონებში | გასაცემი თანხა ლარებში |
|---|---|---|
| 1 | 1,000,000 | 20 |
| 2 | 500,000 | 10 |
| 3 | 250,000 | 5 |
| 4 | 100,000 | 2 |
| 5 | 75,000 | 1,50 |
| 6 | 50,000 | 1 |
| 7 | 10,000 | 0,20 |

პრობლემა აქ სხვაა: ფორმალურად არსებული მექანიზმები რეალურად არ მოქმედებენ. სახელწმიფო ვალის შესახებ კანონში გარკვევით წერია, რომ საქართველოს 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 717 ბრძანებულების შესაბამისად, რომელსაც დართული აქვს მოგებახვედრილი ობლიგაციების განაღდების ცხრილიც.

ექსპერტების შეფასებით, არსებული საკანონდებლო ბაზისა და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ორივე ტიპის ობლიგაციონერთა მიმართ არსებული დავალიანება უიმედოა. ამის ორ მიზეზს ასახელებენ: ერთ შემთხვევაში, თვითონ სახელმწიფო ვერ მონახავს საჭირო თანხებს ამ ისტორიული ვალების დასაფარად და მეორე - ფინანსური რესურსების გამოძებნის შემთხვევაშიც კი, თანხა იმდენად მცირე იქნება, რომ თვითონ მევალეები იტყვიან მასზე უარს.

## მძღოლები კარგა ხანს დარჩებიან უბინაოდ

ეთერ მამულაშვილი

*სულ 8.400.000 ლარია საჭირო იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც ხელისუფლებას "თბილტრანსის" მძღოლებისა და მათი ოჯახების წინაშე შეექმნა. უკეთეს შემთხვევაშიც კი, ეს პრობლემა მომავალ წლამდე აქტუალობას არ დაკარგავს. წლევანდელ გადაჭარბებულ ბიუჯეტში ერთი თეთრიც ვერ მოიძებნა ექვსი წლის წინ აღებული ამ ვალდებულების შესასრულებლად. "თბილტრანსის" 381 მძღოლს, სულ ცოტა, კიდევ გაისამდე მოუწევს ნათესავ-ახლობლებთან ან ნახევრად დანგრეულ დროებით თავშესაფრებში ცხოვრება.*




ეს ის მძღოლები არიან, რომლებიც დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ ქალაქის მთავრობამ სხვადასხვა რაიონებიდან თბილისში სამუშაოდ ჩამოასახლა და მუდმივი საცხოვრებელი სახლების საკუთრებაში გადაცემის პირობით ხელშკრულებებიც გაუფორმა. დედაქალაქში ჩამოსული "თბილტრანსის" მძღოლების რიცხვი მაშინ 1000-მდე აღწევდა. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მაშინდელი ხელისუფლება უპრობლემოდ ახერხებდა. პრობლემები 90-იანი წლებიდან იწყება.

ოდნავ შეცვლილი სახით ხელშეკრულებების პირობების შესრულება სახელმწიფომ მხოლოდ შვიდი წლის წინათ დაიწყო და დღემდე მხოლოდ 210 ოჯახი დააკმაყოფილა - ნაწილი საკომპენსაციო თანხებით, ნაწილი კი საცხვოვრებელი ბინებით.

1998 წელს, როცა სახელმწიფომ მილიარდზე მეტი ლარი შიდა ვალად აღიარა, აქედან 15 მილიონ ლარამდე "თბილტრანსის" მძღოლებზე მოდიოდა. ვალის აღიარებისთანავე შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც ვალის დაფარვის პროცესი 2005 წლამდე უნდა დასრულებულიყო.

ამ ვალის აღიარებიდან დღემდე, თითქმის ყოველ წელს, მევალეთა გასტუმრებას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ერთმანეთს ავალდებულებს ხოლმე. ეს უკანასკნელი, რომელმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ ორასამდე მევალის გასტუმრება მოახერხა, წელს არცერთი თეთრის დახარჯვას არ აპირებს, თუკი ცენტრალური ხელისუფლება ამ პროცესში მას არ დაეხმარება.

1997 წლიდან მოყოლებული დღემდე, ქალაქის ხელისუფლება "თბილტარნსის" მძღოლებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში მიზერულ თანხას ითვალისწინებდა. წელსაც, დედაქალაქის მთავრობამ, სანამ თბილისის საკრებულო წლევანდელ ბიუჯეტს დაამტკიცებდა, 200 ათას ლარზე ოდნავ მეტის დახარჯვა მოასწრო. ამ თანხით შვიდი მძღოლი დაკმაყოფილდა, შვიდივემ კომპენსაცია მიიღო.

ამ დროისთვის 200-ზე მეტი მძღოლია დაკმაყოფილებული, უმრავლესობამ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინა და ხელისუფლებისგან საკომპენსაციო თანხები მოითხოვა. ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის ბრძანებით, კომპენსაციის მინიმალური ოდენობა 7.000 ლარით და მაქსიმალური 43.000 ლარით განისაზღვრა. დღემდე გაცემული საკომპენსაციო თანხის მოცულობა სამ მილიონ ლარს აჭარბებს. "თბილტრანსის" 83 მძღოლმა დედაქალაქის სხვადასხვა რაიონებში ერთი, ორი, სამ ან ოთხოთახიანი ბინები მიიღო.

კომპენსაციის ან საცხოვრებელი ბინის მოლოდინში დღეს "თბილტრანსის" კიდევ 381 მძღოლია. მათი უმრავლესობა კომპენსაციების დარიგებას ფულადი სახით ითხოვს, თუმცა - ამაოდ. დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წელს არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ დაიხარჯება მევალეთა ხსენებული კატეგორიის დასაკმაყოფილებლად. 735 ათასი ლარი, რომელიც წელს თბილისის ბიუჯეტის პროექტით იყო გათვალიწინებული, თვითმმართველობის ორგანომ, ბიუჯეტის განხილვის დროს, ამოიღო. არადა წელს დედაქალაქის ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით 70 მილიონი ლარით არის გაზრდილი. **"მათ მიმართ პასუხისმგებლობა მერიამ და ცენტრალურმა ხელისუფლებამ თანაბრად უნდა გავინაწილოთ. ცენტრალურ ბიუჯეტში მათთვის თანხა არ გამოყოფილა და ქალაქის ბიუჯეტში როგორ გავითვალისწინებდით,"** - თავს იმართლებს ქალაქის პრემიერი.

**2000-2004 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული თანხები საშინაო ვალის დასაფარად**




### ექსპერტი

**რომან გოცირიძე:** ძველი დავალიანების გასტუმრებაზე ოცნებაც კი შეუძლებელია ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფოს დაახლოებით 300 მილიონიანი მიმდინარე ვალი აქვს გასასტუმრებელი. ვფიქრობ სახელმწიფო საშინაო ვალის გადახდას 50 წელიწადში თუ მოახერხებს. თუმცა, კონკრეტულად რა პერიოდში, ეს მაინც ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, ზოგიერთი სახეობის საშინაო ვალად აღიარებას აზრი არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო მათ მაინც ვერ გაისტუმრებდა, თუმცა, კონკრეტულად რომელ ვალებზეა საუბარი, ახლა ამას არ დავაკონკრეტებ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ საშინაო ვალად აღიარება სახელმწიფოს მიერ ამ ვალების გადახდის გაურკვეველი პერიოდით გადავადებას ნიშნავს.

**სანდო თვალჭრელიძე**: სახელმწიფო როგორც იქნა მიხვდა, რომ თავის ქმედებებზე პასუხი უნდა აგოს და სავსებით სწორად მოიქცა, რომ ეს ვალი საშინაო ვალად აღიარა. მიმაჩნია, რომ სავსებით შესაძლებელია ამ ვალების გასტუმრება, თუმცა, რა თქმა უნდა, უახლოეს პერიოდში არა. ამას მინიმუმ 15 წელი მაინც დასჭირდება, ამისთვის მთავრობამ შესაბამისი მექანიზმები და ქმედებები უნდა შეიმუშაოს.

**ლადო პაპავა:** ქვეყნის შიდა ვალის ზრდის საფრთხე არ არსებობს, პირიქით, წელს შემცირდება კიდეც. თუმცა, ეს არ არის მარტივი პროცესი, მას სჭირდება გარკვეული ფინანსური რესურსების მობილიზება, რაც წელს შესაძლებელია კიდეც. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქვეყანამ მოახერხა საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ დღეს და მომავალშიც უფრო დიდი ყურადღება შიდა ვალის გასტუმრებაზე იქნეს გადატანილი. მე ნამდვილად გამიჭირდება პროგნოზის გაკეთება, თუ როდის მოხერხდება აღნიშნული ვალის გასტუმრება. ეს ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობებს.

**ირაკლი კოვზანაძე:** დღეს რა პერსპექტივა არსებობს ამ ვალის გადახდის? ვფიქრობ, რომ როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ერთობლივი შიდა პროდუქტი 10 მილიარდს მიაღწევს, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოყოს გარკვეული თანხები, რომ თუნდაც ის, ახლა უკვე გაუქმებული, ინდექსაციის მექანიზმი, ისევ ძალაში შევიდეს. რაც უფრო გამყარდება ეკონომიკური მდგომარეობა, შიდა ვალის გასტუმრების შანსიც გაიზრდება. რა დააშავა ამ ხალხმა? ეს ის თანხებია, რაც ამ ხალხს შავი დღისთვის ჰქონდათ გადანახული. ხელისუფლება ვალდებულია მათ კუთვნილი თანხები დაუბრუნოს. ბიუჯეტი პროგრესული გვაქვს, ამიტომ წელს თუ არა, მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად უნდა მოხდეს საშინაო ვალის რამდენიმე კატეგორიის გათვალისწინება.

## მეპაიეები წელს თანხებს ვერ მიიღებენ

*კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა მიმართ არსებული დავალიანების გასტუმრებას სახელმწიფო საუკუნის მანძილზეც ვერ მოახერხებს. ამ ვალის გადახდის გარკვეული მექანიზმების არსებობის მიუხედავად, დღემდე მევალეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დაკმაყოფილდა.*




1990-იანი წლებიდან მშენებარე კოოპერატიულ ბინებს ამჟამად 4 500 მოქალაქე ელის. მათი კუთვნილი 45 სახლის ფართი შეადგენს 375 888 კვადრატულ მეტრს, რისი ღირებულებაც 157 253 100 ლარს აღწევს. ამ ხალხის უმრავლესობას საკუთარი ბინის ღირებულება მთლიანად აქვს გადახდილი, ნაწილს კი - სანახევროდ. ზოგიერთი კორპუსის ასაშენებლად მეპაიეებმა გეგმით გათვალისწინებულ თანხაზე ბევრად მეტიც კი გადაიხადეს, რადგან მშენებარე კორპუსების ფასი ნელ-ნელა იზრდებოდა.

2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა მიმართ არსებული დავალიანება 139,9 მილიონი ლარით განისაზღვრა. მევალეთა ხსენებული კატეგორიის გასტუმრებას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები წლების განმავლობაში ერთმანეთს ავალდებულებდნენ. თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტროს შიდა ვალის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლებისთვის ვალის დაბრუნება, მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა. მიმდინარე წელს არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ბიუჯეტებში აღნიშნული მევალეების გასასტუმრებლად არც ერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული.

რამდენიმე თვის წინათ თბილისის საკრებულომ მევალეთა ზემოთ ხსენებული კატეგორიის გასასტუმრებლად ერთ, არცთუ ურიგო, გამოსავალს მიაგნო. კუთვნილი საკომპენსაციო თანხის ნაცვლად, ხელისუფლებამ მევალეებს თბილისში არსებული აუთვისებელი მიწის ნაკვეთები შესთავაზა. მიწის ნაკვეთების პარალელურად, შესაძლოა წელს მევალეთა გარკვეულ ნაწილს საკომპენსაციო თანხების ნაცვლად, საპრივატიზაციოდ გამზადებული ზოგიერთი სახელმწიფო ქონებაც შესთავაზონ. თუმცა, კოოპერატიული ბინათმშენებლობების 4 500-ივე წევრმა კუთვნილი ბინის სანაცვლოდ მიწის ფართი ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება რომც მოითხოვოს, ხელისუფლებას ამის მარაგი აღარ აქვს - ქალაქში თითქმის ყოველი გოჯი მიწის ნაკვეთი გასხვისებულია და სახელმწიფო ქონებიდანაც "ასარჩევი" ბევრი არაფერია.

შეგახსენებთ, რომ კოოპერატიული სახლების მშენებლობები 1992 წელს, ქვეყანაში დაწყებული არეულობის გამო, შეჩერდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კოოპერატივებს სთხოვა, მშენებლობების თანხები ბიუჯეტში სრულად ჩაერიცხათ, სამაგიეროდ ხელისუფლება ყველა დაწყებული მშენებლობის 1995 წლამდე დამთავრებას საკუთარ თავზე იღებდა. მთავრობამ პირობა ვერ შეასრულა და, 1998 წელს კოოპერატივების მიერ გადახდილი თანხები საშინაო ვალად აღიარა. პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, სახელწიფო დავალიანების დაფარვის ხუთწლიანი პროგრამაც შეიქმნა. ამ პროგრამის მიხედვით, კოოპერატივების მიერ დაწყებული მშენებლობები ქალაქის ბიუჯეტიდან 2006 წლამდე უნდა დაფინანსდეს. სახელმწიფომ კი 1999 წლიდან 2003 წლამდე მხოლოდ ორი კოოპერატიული სახლის აშენება მოახერხა და 2 413 113 ლარი კომპენსაციის სახით გასცა. ანუ, სულ 181 მოქალქე დააკმაყოფილა. რიგში კი კიდევ 4 500 ადამიანი დგას.

45 კოოპერატიული სახლიდან დღეს მხოლოდ ორია აშენებული. დანარჩენი კორპუსების მშენებლობა შუა გზაშია გაჩერებული. ამასობაში ბევრი მათგანი გაიძარცვა, წვიმისა და ქარისგან განადგურდა. 11 სახლი აშენებას ჯერ კიდევ ექვემდებარება, 34-ს კი უკვე აღარაფერი ეშველება და მათ მეპატრონეებს სახლის ნაცვლად ფულადი კომპენსაცია ეკუთვნით. საზოგადოების აზრით, სახელმწიფო ამ ვალის გასტუმრებას საუკუნის მანძილზეც ვერ მოახერხებს.

## სამართლებრივად დაურეგულირებელი 500 მილიონიანი დავალიანება

*წლების განმავლობაში სხვადასხვა ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, დღეს არ არსებობს მოქმედი ნორმატიული აქტი, თუ რა მექანიზმებით უნდა მოხდეს მოსახლეობის მიერ 90-იან წლებში სახელმწიფო და კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების კომპენსაცია. ოდესღაც შემუშავებული ინდექსაციის მექანიზმი, ჯერ კიდევ ექსპრეზიდენტ შევარდნაძის დროს, მისივე ბრძანებულებით, გაუქმდა.*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალგამომცხვარ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მემკვიდრეობად, სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, მოსახლეობის სსრკ-ს შემნახველ სალაროებზე რიცხული დანაზოგებიც დარჩა. საქართველოს ხელისუფლებამ მეზობელი ქვეყნების მთავრობებს "ხალხზე ზრუნვაში" ამჯერადაც "აჯობა". ედუარდ შევარდნაძის უშუალო მოწოდებით, საქართველოს მოსახლეობას ის ფულიც წაართვეს, რაც ხელზე ჰქონდა და გაორმაგების შეპირებით თანხები სალაროში შეატანინეს. ამ მომენტიდან სალაროებიდან ფულის გამოტანა, ანუ გაცოცხლება მხოლოდ ერთეულების ხვედრი იყო.

1991 წლის დაწყებისთანავე საქართველოს შემნახველ ბანკებში (შემბანკები) არსებული ფულადი სახსრები სსრკ სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე აღმოჩნდა, ხოლო საქართველოს შემბანკები, ფაქტობრივად, "ნულოვან ნაშთზე დასხდნენ". თანხების მოძრაობის მოქმედი საფინანსო წესების თანახმად, 1991 წლის ბოლოსათვის ფული საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ 1991 წლის მარტის რეფერენდუმის შედეგების თანახმად, საქართველო და რუსეთი ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ამ თანხიდან, ერთი კაპიკიც აღარ დაბრუნებულა საქართველოში.

დღეს ძალიან ბევრი შეიძლება საუბარი იმ უსამართლობაზე და დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც 90-იანი წლების დასაწყისის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით განახორციელა, ეს ცალკე თემაა.

ცრუ დაპირებებით არაერთგზის მოტყუებული მეანაბრეები კი შემნახველი სალაროებში რიცხული თანხის ანაზღაურებას სასამართლოს გზით უკვე მეხუთე წელია ცდილობენ. მოსარჩელეები თანხის ანაზღაურებას 1 მანეთზე 1 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით მოითხოვენ, ანუ 10 ათასი მანეთის დასაბრუნებლად დაახლოებით 13.000 აშშ დოლარი უნდა გაიცეს. 1991 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ანაბრების მოცულობა 19 მილიარდ 186 მილიონი მანეთი იყო. ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელე მხარე 20 მილიარდ დოლარზე მეტს ითხოვს. ცხადია, რომ ეკონომიკურ ფაქტორებს და არგუმენტებსაც რომ თავი დავანებოთ, სურვილის შემთხვევაშიც კი, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოს შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. ამჟამად, მეანაბრეების მიმართ არსებული დავალიანება საორიენტაციო თანხით - 500 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, რაზეც სამთავრობო კომისია ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შეჯერდა. შედგა გეგმა და 1999 წელს დაიწყო კიდეც მეანაბრეებისათვის ვალების დაბრუნების პროცესი.

მოსახლეობის ანაბრების ანაზღაურების მექანიზმად საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულებით შემდეგი კოეფიციენტები დამტკიცდა:

1992 წლამდე შემნახველ სალაროში შეტანილ პირველ 1000 მანეთზე - 100 ლარი, ყველა შემდგომ 1000 მანეთზე კი 10 ლარი.

ასეთი ინდექსაციით მოსახლეობის ანაბრების საერთო რაოდენობამ დაახლოებით 40 მილიონი ლარი შეადგინა, რაც, ერთი მხრივ, რთული "მოსანელებელი" იყო "გარღვეული" ბიუჯეტებისთვის და, მეორე მხრივ, აბსოლუტურად მიუღებელი იყო ადამიანებისთვის, რომელთაც კომუნისტურ პერიოდში დაგროვებულ 10 000 მანეთის სანაცვლოდ სახელმწიფო სულ 190 ლარს სთავაზობდა.

მიუხედავად ამისა, ინდექსაციის ამ ვარიანტმა გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც იმუშავა და საზოგადოების განსაკუთრებულად შეჭირვებულმა ნაწილმა - პირველი ჯგუფის ინვალიდებმა და ბავშვებმა - დაახლოებით 5,6 მილიონი ლარი მიიღეს თავისი ანაბრების ანგარიშში. ვალების გასტუმრების პროცესი ქვეყანაში შექმნილმა საბიუჯეტო კრიზისმა შეაჩერა და დღემდე ადგილიდან არ დაძრულა.

2001 წლის 2 ივნისიდან ინდექსაციის წესი ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულების საფუძველზე გაუქმდა. ამ ვალის გასტუმრების ახალი მექანიზმები შექმნილი არ არის და, როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში არც იქნება. ყოველ შემთხვევაში, 2004 წლის ბიუჯეტში მსგავსი მიზნებისთვის ხარჯი არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებას, ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, სრული გაურკვევლობაა. თუმცა, შემოსავლებგადაჭარბებული ბიუჯეტის პირობებში დროა, ხელისუფლებამ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ფიქრი მაინც დაიწყოს.

### ხალხის აზრი

**გოგი ელიზბარაშვილი:** ეჰ, შვილო, აღარც კი მახსოვს ეგ ფული. არადა, მეგონა შვილებს მომავალს ვუქმნიდი. სამი შვილი მყავს. დაბადებიდანვე სამივეს ანგარიში გავუხსენი და ყოველწლიურად თითოეულის ანგარიშზე თანაბრად შემქონდა თანხა. ერთ მშვენიერ დღესაც ყველაფერი გამიუქმდა. მერე თითქოს დაიწყეს დავალიანებების დაბრუნება, მაგრამ არც მაშინ შემხვდა არაფერი. რა ვქნა, პირველი ჯგუფის ინვალიდი რომ არ ვარ, არ უნდა მოეცათ ჩემი ფული? არანაირი იმედიც არ მაქვს, რომ დააბრუნებენ, ან თუ დააბრუნებენ, იმ კურსით ხომ არ დამიბრუნებენ, რაც მაშინ ჰქონდა მანეთს? აბა, მაგათი კაპიკები კი სულ არ მჭირდება.

**გულნარა გახარია (68 წლის, პენსიონერი):** ჩვენს დროს, ვინც კი მუშაობდა, თითქმის ყველას ჰქონდა ანაგრიში გახსნილი შემნახველ სალაროში. 18 წლიდან ვმუშაობდით მე და ჩემი ქმარი და წლების განმავლობაში ანგარიშებზე სოლიდური თანხაც დაგვიგროვდა. მეგონა სიბერე უზრუნველყოფილი მექნებოდა და დასამარხი ფულიც მეგულებოდა. ახლა რომ ის თანხა გვქონდეს, ავშენდებით მე და ჩემი ოჯახი. მაგრამ ახლა აღარც იმედი მაქვს და აღარც წიგნაკი. წიგნაკი აფხაზეთის ომის დროს დავკარგე. ომი იყო, შემნახველი წიგნაკები ვისლა ახსოვდა, ხალხმა შვილები დაკარგეს ომში. წიგნაკიც რომ მქონდეს, ვინ მომცემს ამ ფულს. დამცინებენ, შვილო, ახლა ეს თანხა რომ მოვითხოვო, ვის სცალია ამისთვის. მაგას ვინლა ჩივის, პენსიები და დახმარებები დაგვირგონ დროულად.

**ეთერ გოგოლაძე (47 წლის პედაგოგი):** მეც და მთელი ჩემი ოჯახიც მეანაბერეები ვართ. რამდენი წელია მათხოვრებად გვაქციეს. არადა, ჩვენს ფულს ვითხოვთ, მაგათსას ხომ არა. ხალხი არავის აინტერსებს. სასამრთლოშიც შევიტანეთ სარჩელი, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე. ვისთვის ვიწვალე ამდენი, ვისთვის ვაგროვებდი წლების განმავლობაში ფულს, რომ ვილაც ჩინოვნიკების ჯიბეში წავიდეს?! ხელისუფლებამ ვალი იმ კურსით უნდა დაგვიბრუნოს, რაც მაშინ იყო მანეთსა და აშშ დოლარს შორის.

**გივი ჯამასპიშვილი (70 წლის, პენსიონერი):** როგორ არ მქონდა თანხა შემნახველ სალაროში. მეც მქონდა და ჩემს შვილსაც გავუხსენი ანგარიში. სად არის ახლა ჩემი მოწმობა, ღმერთმა იცის. ბარათი მახსოვდა გამწარებულ ომში? რას ამბობთ! მოწმობა რომ არ დამეკარგა, ჩემს ფულს არავის შევარჩენდი, ვერც ვერავინ გამიბედავდა უარის თქმას, ამის პირობას გაძლევთ.

**ლევან ბიწაძე (ინჟინერი):** დამიბრუნებენ, აბა, რას იზამენ, ტყუილად მივეცი სააკაშვილს ხმა. ნამდვილად მაქვს შვილო ამ ხელისუფლების იმედი. ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ახალგაზრდა მთავრობას ძველი ხელისუფლებისაგან ცუდი მემკვიდრეობა დარჩა. ცოტა მოთმინება ხალხსაც მართებს. ყველაფერი ერთად რომ ვერ მოგვარდება, ეგ ხომ ბუნებრივია. ბიუჯეტი მიმდინარე ვალდებულებებს ძლივს წვდება. ვალების დაბრუნება მოვითხოვოთ და ამის ხარჯზე პენსიები და ხელფასები აღარ მივიღოთ? წელს თუ არა, მომავალ წელს მაინც ხომ დააბრუნებენ. ეტყობათ, რომ ნამდვილად საქმის გამკეთებლები არიან.

# ბენდუქიძე ჭარბი ლიცენზიების წინააღმდეგ

*თანამოაზრეთა ძიებისკენ მიმართული შეკრება - ასე შეფასდა გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართული საერთაშორისო სემინარი "უცხოური ინვესტიციების პერსპექტივები საქართველოში". იგი საზოგადოება "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" და "ფრეიზერის ინსტიტუტ - კანადას" ინიციატივით გაიმართა. პრივატიზაციის საკითხის გარდა, საუბარი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების 2004 წლის გამოკვლევის შედეგებსაც დაეთმო.*

დიანა ჩაჩუა

**"დაცული პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები, ხელშეუხებელი კერძო საკუთრება, ოქროს ლარი, შეუზღუდავი ვაჭრობა, სრული პრივატიზაცია, თავისუფალი მასმედია, კერძო საპენსიო სისტემა და საგანმანათლებლო სისტემა, დაქირავებული ჯარი, თვითმმართველობა და ფედერალიზმი,"** - ასეთი იყო პასუხი დასმულ შეკითხვაზე - რა პრიორიტეტები უნდა ჰქონდეს ქვეყანას?

სეიმინარის ერთ-ერთი მთავარი თემა მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების 2004 წლის კვლევის შედეგები იყო. ამ მონაცემებით, ორგანიზატორების თქმით, დგინდება ე.წ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რაც **"სადღეისოდ საუკეთესო საშუალებაა ქვეყნებს შორის განსხვავებების წარმოსაჩენად,"** - განაცხადეს მათ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ეკონომიკური თავისუფლება იზღუდება ყველგან და ყოველთვის, სადაც მაღალია გადასახადები, სახელისუფლებო ხარჯები, ადამიანის პირად და სამეურნეო საქმიანობაში ხელისუფლების ჩარევა, როდესაც პოლიტიკური დიქტატი ზღუდავს პიროვნულ არჩევანს, ნებაყოფლობით საქონელგაცვლას და საბაზრო კოორდინაციას.

გუშინდელ სემინარს, ორგანიზატორების გარდა, უცხოელი და ქართველი სტუმრები და ეკონომიკისა და განვითარების მინისტრი კახა ბენდუქიძე ესწრებოდნენ.

მინისტრმა, გაიზიარა რა სემინარზე გამოსულთა მოსაზრებები, საუბარი ეკონომიკურ რეფორმებზე განაგრძო და განაცხადა, რომ ეფექტური ეკონომიკის შექმნა საზოგადოებისგან მოწყვეტილად შეუძლებელია და ასეთ ეკონომიკას უაზროც კი უწოდა.

სემინარზე გაჟღერებული, ბენდუქიძისეული ეკონომიკური რეფორმების "რეცეპტი" ასე გამოიყურება: ეკონომიკური თავისუფლება, კერძო საკუთრების დაცვა, დარეგულირება, პლუს ქვეყანაში სტაბილურობა - და ეკონომიკური რეფორმებისთვის საჭირო ჯანსაღი ნიადაგიც მზად არის.

ჩვეულებისამებრ, ეკონომიკის მინისტრის გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი თემა პრივატიზაცია გახდა. **"მთავარია, როგორ მოვახერხებთ საკუთარი ცხოვრების პრივატიზებას. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს უფრო ძნელია, ვიდრე საწარმოთა პრივატიზება,"** - ხაზი გაუსვა ბენდუქიძემ.

ხმაურიანი იყო ეკონომიკის მინისტრის განცხადებები სხვადასხვა სფეროების რეგულატორების შესახებ. **"რას ნიშნავს განცხადება, რომ ვილაცამ უკანონოდ გადაიყვანა ადამიანები თბილისიდან ხარაგაულში?1 რა, მძღოლმა რამე დაუშავა მგზავრებს?1 თუ არა, მაშინ რა შუაშია აქ სიტყვა უკანონო. რას ჰქვია ანტიმონოპოლიზმი? სად არის მიღებული ოქროს დამუშავებაზე ლიცენზირება. ბარემ სუნთქვაზე და თვალის "დაპაჭუნებაზე" დავაყენოთ ლიცენზიები. ასეთი უაზრო "რეგულირანტები" უნდა მოვსპოთ და დავტოვოთ მხოლოდ ის, რაც ადამიანების უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული,"** - აღშფოთებით აცხადებდა ბენდუქიძე.

ამის შემდეგ, ეკონომიკის მინისტრის კრიტიკის ობიექტი უკვე საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ხდება. ბენდუქიძის თქმით, მას ჯერაც ვერ გაუგია, რატომ უნდა ჰქონდეს ხსენებულ კომისიას მის სამინისტროზე მეტი ბიუჯეტი და სტუმრებს ერთი შემთხვევა მოუყვა, როცა კომისია მსოფლიო ბანკთან ერთად ცდილობდა, ეკონომიკის სამინისტროსთვის ეკონომიკის განვითარების გზები ეკარნახა. **"თუ მე ვარ პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელე ამ სფეროში, მან რატომ უნდა მიკარნახოს, რა როგორ გავაკეთო, მით უმეტეს - მსოფლიო ბანკმა, რომელსაც ვუყურებ, როგორც ერთ-ერთი ქვეყნის ორგანიზაციას და მეტს არაფერს. წესრიგია დასამყარებელი ამ სფეროში,"** - აღნიშნავდა მინისტრი.

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის ალექსანდრე ბეჟანიძის განცხადებით, აჭარის ხელისუფლების მიერ 2001 წელს შეძენილი თვითმფრინავი, რომლითაც რეისებს ავიაკომპანია "აჭარა" ასრულებდა, არ გაიყიდება. მისი თქმით, თვითმფრინავი ბათუმის მერიის ბალანსზეა და მისი ნებისმიერ ავიაკომპანიასთან თანამშრომლობის შემთხვევაში, რეისებს კვლავაც ბათუმიდან შეასრულებს. ბეჟანიძე აგრეთვე აცხადებს, რომ ავიაკომპანია "აჭარა" უკანონოდ ფლობდა ამ თვითმფრინავს, რომელსაც ბიუჯეტის მიმართ, სავარაუდოდ, 133 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება აქვს და დღემდე არც ერთი თეთრი გადახდილი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში გუშინ თბილის-ლონდონის მიმართულებით რეგულარული რეისების აღდგენაზე ავიაკომპანია "ბრიტანეთის ავიახაზების" განაცხადი განიხილეს. განაცხადსა და შესაბამის დოკუმენტაციაზე სპეციალური კომისია დასკვნას ათ დღეში ადმინისტრაციის თავმჯდომარეს წარუდგენს. რეისების შესახებ გადაწყვეტილებას სწორედ ამის შემდეგ მიიღებენ. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ავიაკომპანია "ბრიტანეთის ავიახაზები" საქართველოში ფრენას 5 ნოემბრიდან განაახლებს და კვირაში ორ რეისს შეასრულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ბიუროს სხდომა, სავარაუდოდ, ხუთშაბათს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებზე იმსჯელებს. ამის შემდეგ საკითხს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განიხილავენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი 220 მლნ ლარით გაიზრდება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც მთავრობა საბიუჯეტო პრეფიციტის საკითხის გადასაწყვეტად პარლამენტს მიმართავს.

მთავრობაში აცხადებენ, რომ კონსოლიდირებული ბიუჯეტის გაზრდა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ზრდის საფუძველზე მოხდა. მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის ინფორმაციით, ამჟამად მთავრობაში მზადდება კანონპროექტი ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც პარლამენტს ასევე უახლოეს მომავალში წარედგინება. **მედია-ნიუსი**


### თავისუფლების ინსტიტუტი IREX მედია ინოვაციების პროგრამის მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს მედია სამართლის ლექტორების შესარჩევად.

შერჩეული ლექტორები მომზადებას გაივლიან თავისუფლების ინსტიტუტის და IREX მედია ინოვაციების პროგრამის მიერ ორგანიზებული ინტენსიური პროგრამით და შემდგომ ორი სემესტრის განმავლობაში ასწავლიან მედია სამართალს თბილისის ოთხი უმაღლესი სასწავლებლისა (2 სემესტრის განმავლობაში) და ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე (1 სემესტრის განმავლობაში).

**წარმატებულმა კანდიდატებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:**

- იურიდიული განათლება;
- პრაქტიკული ან თეორიული გამოცდილება ევროპული და ამერკიკული მედია სამართლის სფეროში;
- კომუნიკაციის და პრეზენტაციის კარგი უნარ ჩვევები;
- კარგად ორგანიზებული;
- ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- სასურველია პედაგოგიური გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი ავტობიოგრაფია 15 აგვისტომდე ელ. ფოსტის მისამართზე maiko@liberty.ge. მოვუწოდებთ ბათუმსა და ქუთაისში მოღვაწე იურისტებს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. საინფორმაციო სამართლის სწავლების პროექტში მონაწილეობა არ გულისხმობს სრულ სამუშაო განაკვეთს და არ უზღუდავს მის მონაწილეებს საშუალებას აწარმოონ თავიანთი ძირითადი საქმიანობა.

დამატებითი კითხვებისათვის
მიმართეთ მაიკო ოქრუაშვილს 936615 936784.


# ვინ გააკონტროლებს სახელმწიფო საწარმოებს?

სოფიკო ოხანაშვილი

*სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმების საკანონმდებლო ინიციატივა მხოლოდ "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ცისკარიშვილმა გააპროტესტა. კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოების ფუნქციას საწარმოთა მართვის სააგენტო შეითავსებს.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ცისკარიშვილი სახელმწიფოს საწარმოებში საკუთარი ინტერესების გამყარებით დაინტერესებულ პირთა შორის პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, დეპუტატ გიორგი არველაძესა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ირაკლი ჩუბინიშვილს ასახელებს.*

"საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი "მეწარმეთა შესახებ კანონში" განსახორციელებელ ცვლილებათა პაკეტს აპროტესტებს და სახელმწიფოს საწარმოებში საკუთარი ინტერესების გამყარებით დაინტერესებულ პირთა შორის პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, დეპუტატ გიორგი არველაძესა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ირაკლი ჩუბინიშვილს ასახელებს.

ცისკარიშვილის ბრალდებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გუშინვე გამოეხმაურა. **"ამ საკითხების განხილვა ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ეს აბსურდია, რაც ბატონმა სოსო ცისკარიშვილმა თქვა,"** - განაცხადა ირაკლი ჩუბინიშვილმა.

ცისკარიშვილის განმარტებით, კანონპროექტი არათანაბარ მდგომარეობაში აგდებს პარტნიორებს, რაც დაუშვებელია. ამავეს ამტკიცებენ საერთაშორისო ექსპერტებიც. მათი შეფასებით, სააქციო საზოგადოებებში სახელმწიფო ერთ-ერთი აქციონერია. აქციონერებს კი თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ.

ცისკარიშვილის არგუმენტით, სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმება და ვიღაც-ვიღაცეების პირადი ინტერესების გამყარება ინვესტიციებს საგრძნობლად შეამცირებს. ამასთანავე, აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფოს გაუჭირდება მისივე წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების პრივატიზება, ვინაიდან პოტენციური მყიდველი დახურულ ორგანიზაციაში კაპიტალის დაბანდებით არ დაინტერესდება.

რადიკალურად განსხვავებული არგუმენტები აქვს პრემიერ-მინისტრს. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და სააქციო საზოგადოებების მართვის მექანიზმის გამარტივებისა და საწარმოთა მენეჯმენტის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია სახელმწიფომ იკისროს, რათა უკეთესად გააკონტროლოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში არსებული მდგომარეობა. **"10-15 კაცისგან შემდგარი ჯგუფები, საქმის კეთების ნაცვლად, ძალიან მაღალ ხელფასებს ინიშნავენ, მანქანები ჰყავთ. ასეთი რამ აღარ იქნება,"** - განაცხადა ჟვანიამ.

საკანონმდებლო ინიციატივა ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, მსოფლიო ბანკის, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) და ევრაზიის ფონდის პოზიციებსაც. მათი ინტერესები საქართველოში, კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის კუთხით, ბოლო დროს უფრო გააქტიურდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რამდენიმე ხნის წინ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და დასავლურ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოყვანის მიზნით, სააქციო საზოგადოებების მარეგულირებელი კანონების გადახედვა იუსტიციის სამინისტრომაც დაიწყო. ევროპული სტანდარტებით კი, სააქციო საზოგადოებების მუშაობის გამჭვირვალობის ერთ-ერთი გარანტი სამეთვალყურეო საბჭოების არსებობაა. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, სამეთვალყურეო საბჭოების არარსებობის შემთხვევაში ინვესტიციების მოზიდვა საეჭვო ხდება.

კანონპროექტის თანახმად, დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საზოგადოებებში, სადაც სახელწიფოს წილი საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20 პროცენტს შეადგენს. ცვლილებების ინიციატორების განმარტებითვე, **"სამეთვალყურეო საბჭო ხსენებულ საწარმოებში დამატებით და უსარგებლო რგოლს წარმოადგენს",** ხოლო საწარმოებში შექმნილი მრავალი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოები სახელწმიფო სახსრების დიდი ოდენობით ხარჯვას იწვევს.

"საქნავთობის" ხელმძღვანელობა ფინანსური პოლიციის მიერ "საქნავთობით" დაინტერესებასაც აპროტესტებს. "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, გასულ შაბათს, ორგანიზაციის დირექტორს მარკეტინგისა და ინვესტიციების საკითხებში ვლადიმერ ფანგანს თავის სამუშაო კაბინეტში ფინანსური პოლიცია შეუვარდა და გარკვეული განმარტებების მისაცემად პოლიციაში წაიყვანა. **"ჩვენ ყველაფერი მოვახსენეთ ფინანსურ პოლიციას. ვფიქრობ, საკითხი მოგვარებულია,"** - განაცხადა ფანგანმა. ცისკარიშვილის განცხადებით, ფინანსური პოლიციის დაინტერესების საგანი "საქნავთობის" ძველი ხელმძღვანელობის მიერ, მიმდინარე წლის მარტში ინგლისურ კომპანია "INTERCHEM ENERGY"-თან დადებული ხელშეკრულება გახდა. ხელშეკრულების თანახმად, "საქნავთობმა" ბრიტანულ კომპანიას ორჯერ გადაუტვირთა ნავთობი. ერთ შემთხვევაში - 3000 ტონა და მეორე შემთხვევაში - 1100 ტონა. ცისკარიშვილის ვარაუდით, ეს იყო ფიქტიური ექსპორტი და ნავთობი საზღვარგარეთ საერთოდ არ გადიოდა, თუმცა ვინ დგას ამ კომპანიის უკან, საქნავთობის ახალი ხელმძღვანელობისთვის უცნობია. ფინანსური პოლიცია "საქნავთობს" ბრიტანულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას, ანუ იმას ედავება, რომ "საქნავთობი" "INTERCHEM ENERGY"-ს ნავთობს არ უგზავნის. ცისკარიშვილის განმარტებით, ნავთობის მიწოდება მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს, ასეთი მოთხოვნა კი არ არსებობს. უფრო მეტიც, ცისკარიშვილის განცხადებით, "საქნავთობის" ახალი ხელმძღვანელობა აღნიშნული კომპანიით დაინტერესდა, თუმცა ინტერნეტში არც ერთ უცხოურ საიტზე მსგავსი სახელწოდების კომპანია არ აღმოჩნდა, თუმცა ამგვარ კომპანიას რუსულ ინტერნეტსაიტზე მიაკვლიეს, სადაც ამ კომპანიის იურიდიულ მისამართად მოსკოვია აღნიშნული. ცისკარიშვილის განმარტებითვე, გაუგებარია ფინანსური პოლიციის პრეტენზიები, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ კონტრაქტით მიწოდებული ნავთობიდან ბიუჯეტი არაფერს იღებდა. **"მე მივმართავ ძველ ნაცნობს, ბატონ ზურაბ ნოღაიდელს, დაინტერესდეს, ხომ არ აიძულეს ფინანსური პოლიცია, რომ მათ ვინმეს პირადი ინტერესები დაეცვათ. ინტერესები, რომელსაც ბიუჯეტის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს,"** - გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განცხადა ცისკარიშვილმა.

# BP ნავთობსადენის მშენებლობის შეჩერებით მიყენებულ ზარალს ითვლის

ეთერ მამულაშვილი

*გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილება "ბრითიშ პეტროლიუმს" ძვირი უჯდება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ორკვირიანი შეჩერება ბრიტანულ კომპანიას დამატებითი ხარჯების გაღებას აიძულებს. ამის შესახებ განცხადება BTC-ს მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა მაიკლ თაუსენდმა გუშინ სასტუმრო "მარიოტ-ქორთიარდში" გააკეთა.*



ვახო ბესელიას ფოტო

*კომპანია მზად არის, გარემოს დაცვის სამინისტროს მისცეს დამატებითი განმარტებები.*

საქმე ეხება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თამარ ლებანიძის რამდენიმე დღის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, რითაც ნავთობსადენის მშენებელ კომპანიას სამშენებლო სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ავალებდა. მინისტრი BP-სგან ბორჯომის ხეობაში მშენებარე მილსადენის 17-კილომეტრიან მონაკვეთზე უსაფრთხოების დამატებით დოკუმენტაციას ითხოვს. თამარ ლებანიძის თქმით, ბრიტანული კომპანიის მიერ დღემდე წარმოდგენილი ინფორმაცია ხსენებული მარშრუტის უსაფრთხოებაზე არასაკმარისია. სხვათა შორის, მსგავს პრეტენზიებს, მინისტრის გარდა, BP-ის ნავთობსადენის ერთ-ერთი დონორი ორგანიზაცია - მსოფლიო ბანკიც უყენებს.

კერძოდ: **"ტექნიკური და გარემოსდაცვითი მრჩევლების მიერ განხორციელებული განხილვა არ ფარავს უშიშროების საკითხებს და წარმოდგენილი ზომების საკმარისობაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს უშიშროების სპეციალისტების მიერ,"** - ნათქვამია მსოფლიო ბანკის მიერ გაკეთებულ შესაბამის დასკვნაში. ამის შესახებ "24 საათი" დეტალურად ამ ცოტა ხნის წინათ წერდა.

მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარსადგენად ნავთობსადენის მშენებელ კომპანიას სამინისტრომ ორი კვირის ვადა მისცა, რომელიც 2 აგვისტოს იწურება. მაიკლ თაუსენდის თქმით, BP-ის მიერ უკვე წარმოდგენილი დოკუმენტაცია უსაფრთხოების ზომებზე საკმარისია, თუმცა კომპანია მზად არის, გარემოს დაცვის სამინისტროს მისცეს დამატებითი განმარტებები ხსენებულ დოკუმენტაციაზე. BTC-ის მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი აქვე მიანიშნებს, რომ რაც არ უნდა მოხდეს, "ბრითიშ პეტროლიუმი" ალტერნატიული მარშრუტის განხილვას, მით უმეტეს მის შეცვლას არ აპირებს.

ლებანიძის გადაწყვეტილებიდან თითქმის ერთი კვირის თავზე ბორჯომის ხეობაში სამშენებლო სამუშაოები მაინც გრძელდება - ამის შესახებ მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების გარდა, ბორჯომის ხეობის მაცხოვრებლებიც ავრცელებენ. სხვათა შორის, ამ ფაქტს "ბრითიშ პეტროლიუმშიც" ადასტურებენ, თუმცა თაუსენდის რწმუნებით, დღეს მიმდინარე სამუშაოები მცირე მასშტაბის არის და ის, ძირითადად, უსაფრთხოების ზომებთან არის დაკავშირებული. **"ამ დროისთვის ხსენებულ მონაკვეთზე ციცაბო ფერდობების სტაბილიზაცია და ეროზიის კონტროლის ღონისძიებები მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით აუცილებელი გახდა გასულ დღეებში გადაუღებელი წვიმების შემდეგ,"** - ამბობს თაუსენდი.

მისივე თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მშენებლობის შეჩერების შესახებ, ბრიტანულ კომპანიას გარკვეულ მატერიალურ ზარალს აუცილებლად მიაყენებს.

**"დღეს ჩვენ სწორედ ამ ზარალს ვითვლით. მშენებლობის ამ მონაკვეთზე რამდენიმე მძიმე ტექნიკაა განთავსებული, ამას გარდა, აქ ასეულობით ადამიანია დასაქმებული. მათი და ტექნიკის სხვა ადგილას გადაყვანა, ბუნებრივია, დამატებით, გაუთვალისწინებელ ხარჯებს უკავშირდება",** - განუცხადა "24 საათს" მაიკლ თაუსენდმა.

# მსოფლიოში მორიგი ფინანსური გიგანტი იქმნება

*უმსხვილესი ესპანური ბანკი "BSCH" ბრიტანულ "Abbey National" ყიდულობს. შედეგად, საფუძველი ეყრება მსოფლიოს კიდევ ერთ საბანკო გიგანტს. ამის შესახებ გუშინ ევროპის ცნობილი საინფორმაციო წყაროები იუწყებოდნენ.*

დიანა ჩაჩუა

ფორმალურად, ესპანური და ბრიტანული ბანკების გაერთიანების შესახებ განცხადება გუშინ გაკეთდა. შეთანხმების საბოლოოდ მიღწევის შემთხვევაში, BSCH (Banco Santander Central Hispano) გახდება პირველი უცხოური ბანკი, რომელმაც ანალოგიური ბრიტანული სტრუქტურა იყიდა. უცხოელი ექსპერტების შეფასებით, გარიგების ღირებულება 14,72-დან 15,6 მილიარდ დოლარამდე მერყეობს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ბრიტანულმა *Abbey-მ* უკვე განაცხადა თანხმობა ესპანურ ბანკთან გაერთიანების თაობაზე.

BSCH წარმოადგენს ესპანეთის და ლათინური ამერიკის უმსხვილეს საბანკო დაწესებულებას, რომლის ძირითადი შემოსავლების წყაროს სხვადასხვა საბანკო ოპერაციები წარმოადგენს და ესპანეთში 4300 ფილიალი, ხოლო ლათინურ ამერიკაში 4000 ფილიალი გააჩნია.

რაც შეეხება Abbey National-ს, ეს არის ბრიტანეთის სიდიდით მეოთხე ბანკი და ევროპის იპოთეკური კრედიტების ბაზარზე უმსხვილეს ოპერატორს წარმოადგენს. უცხოური პრესის ინფორმაციით, აღნიშნული ბანკი, დაახლოებით, 15 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარიგება კარგი სიახლე იქნება Abbey National-ის აქციონერებისთვის, რომელმაც უკანასკნელ წლებში არცთუ ისე კარგი შედეგები აჩვენა.

როგორც "ბიბისის" ეკონომიკური მიმომხილველი აცხადებს, Abbey National-ის 1,7 მილიონი აქციონერისთვის დადგა ის სანატრელი დღე, რომელსაც ისინი უკანასკნელი თვეების განმავლობაში ელოდნენ.

არცთუ ისე შორეულ წარსულში ბრიტანული ბანკის ყიდვა რამდენიმე მისმა მსხვილმა კონკურენტმა უკვე სცადა. მათ შორის, 2001 წელს Lloyds TSB-მა, ბრიტანეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა სცადა მისი ყიდვა 18 მილიარდ ფუნტად, თუმცა ანტიმონოპილისტების გადაწყვეტილებით, გარიგება ვერ შედგა.

უნდა აღინიშნოს, რომ BSCH-თვის ბრიტანული ბანკი პირველი შენაძენი არ იქნება. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ესპანურმა ბანკმა 30 მილიარდი დოლარი დახარჯა შედარებით წვრილი ფინანსური სტრუქტურების შესაძენად.

ცნობისათვის, BSCH-ს, რომელიც 1999 წელს, ესპანეთის ორი უმსხილესი ბანკის გაერთიანების შედეგად გაიხსნა, მსოფლიოს 30 ქვეყანაში 22 მილიონი კლიენტი ჰყავს.

# "ბექჰამის" დეტალები საჯაროდ ვრცელდება

**ინგუში და ჩეჩენი მოჯაჰედების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ფრაგმენტები**

გუშინ ჩეჩნურმა სააგენტო "კავკაზცენტრმა" გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც 22-23 ივნისს ინგუშეთში ინგუშებისა და ჩეჩენი მოჯაჰედების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ფრაგმენტებია მოცემული. ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილია ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შეჭრილები ისლამური ბრიგადის "რიადუს-სალიჰინის" ამირა, აბდულა შამილ აბუ-იდრისი. ჩეჩენ მეთაური მას მოჯაჰედების მიერ საბრძოლო აღჭურვილობისა და იარაღის საწყობის დაკავებისა და ამ სამხედრო ოპერაციაში მონაწილე მოჯაჰედების რაოდენობის შესახებ პატაკს აბარებს. აბდულა შამილის მონაცემებით, ოპერაციაში 570 მებრძოლი მონაწილეობდა. ოპერაციის მსვლელობისას ამოღებულ იქნა 700 ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 800 ერთეული პისტოლეტი, სხვადასხვა კალიბრის 1 მლნ ვაზნა, ათეულობით ყუმბარმტყორცნი, ტყვიამფრქვევი და სხვა სახის იარაღი, ასევე საბრძოლო ფორმა.

ჩეჩენ მეთაურის განცხადებით, მოჯაჰედები მთელი წლის განმავლობაში მოწინააღმდეგის მიერ წართმეულ აღჭურვილობას იბრუნებენ.

26 ივლისს, გვიან ღამით, "კავკაზცენტრს" იჩქერიის პრეზიდენტის ინფორმაციულ-ანალიტიკურმა ცენტრმა მიაწოდა ინფორმაცია, სადაც აღწერილი იყო 22-23 ივნისს ინგუშეთში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია "ბექჰამის" (შტურ-ძიება) დეტალები. შეტყობინებაში ნათქვამია: "უკანასკნელ ხანს ინგუშეთში შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაცია ვრცელდება. ვიდეომასალებისა და მეთაურების პატაკის მიღების შემდეგ, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა, ასლან მასხადოვმა საზოგადოებრიობას წარუდგინა ინგუშეთში ოპერაციის მიმდინარეობის სურათი. ასლან მასხადოვმა დაადასტურა, რომ აღნიშნულ ოპერაციაში პირადად მონაწილეობას არ იღებდა, თუმცა იგი მისი თანხმობით განხორციელდა.



"ბექჰამი" ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციაა", - აცხადებს ასლან მასხადოვი.

ინგუშეთში დისლოცირებული რუსული შენაერთების დარბევის ოპერაციაში მონაწილეობდა იჩქერიის სამი სექტორი: სუნჟენის, ინგუშეთისა და აჩხოი-მარტანის. მებრძოლთა საერთო რაოდენობა 950 ადამიანი იყო. ბატალიონში მონაწილეობდნენ მოიერიშე და სპეციალიზებული ქვეგანყოფილებები 600-მდე მებრძოლით. დანარჩენი ნაწილი ინგუშეთის საზღვარზე კომუნიკაციებზე ზურგში მუშაობდა. სამხედრო ოპერაციის ხანგრძლივობა 8 საათს არ აღემატებოდა, რომლის განმავლობაშიც ინგუშეთის მთელი ტერიტორია კონტროლქვეშ მოექცა. მოცემული დროის განმავლობაში, პრაქტიკულად, მთელი რუსული არმიის ქვეგანყოფილება ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, აქედან ზოგიერთი მთლიანად განადგურდა, ზოგი - ნაწილობრივ, ხოლო ნაწილიც - პარალიზებული იქნა. ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ შამილ ბასაევი და დოკა უმაროვი".

იჩქერიის პრეზიდენტის ინფორმაციულ-ანალიტიკურ შეტყობინებაში ასევე ნათქვამია, რომ ინგუშეთში "რუსი ოკუპანტების" განადგურებას მთავარსარდალი ასლან მასხადოვი დადებითად აფასებს. მოჯაჰედების მხრიდან ოპერაციის მსვლელობისას სულ 6 ადამიანი დაიღუპა. "ჩეჩნური არმია, რომლის ტაქტიკა და სტრატეგიაც იხვეწება, დღითიდღე ძლიერდება და რუსი ოკუპანტების გასანადგურებლად არამარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მტრის ტერიტორიაზე ნებისმიერ რეგიონში შეუძლია ყველაზე რთული ამოცანების შესრულება", - აცხადებს ასლან მასხადოვი.

სამხედრო ნადავლის სია, რომლის ხილვაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ვებ-გვერდზე შეუძლია - www.kavkacenter.com - თავისი მრავალფეროვნებით ძლიერ შთამბეჭდავია. იარაღი, რომელმაც წინააღმდეგობის არმიის არსენალი უფრო გაამდიდრა და ახალი ქვედანაყოფების შექმნის შესაძლებლობა გახადა, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე საიდუმლო საცავებშია გადატანილი.

# ბოსტონის დემოკრატთა ყრილობა კერის წარმატებაზე იმოქმედებს

ქალაქი ბოსტონი, რომელიც ინგლისური კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების ისტორიული სიმბოლო გახლავთ, ორშაბათს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრე გახდა. მთელი კვირის მანძილზე ბოსტონის თავზე F-16 ავია-გამანადგურებლები იფრენენ, ხოლო ყურეს საბრძოლო კატერები გააკონტროლებენ. 26 ივლისს, ფლიტ-სტრიტზე მდებარე კონფერენციის სასახლეში აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ყრილობა გაიხსნა, რომელსაც 5 ათასი დელეგატი და 15 ათასამდე მიმომხილველი ესწრება.

ყრილობის გახსნის დღეს გაზეთმა "Washington Post"-მა უკანასკნელი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ბოლო პერიოდში კერიმ საკუთარი პოზიციები მნიშვნელოვნად დათმო. ორშაბათისთვის ბუში უგებდა კერის ანგარიშით 48-46, ხოლო დამოუკიდებელ კანდიდატს, რალფ ნაიდერს მხარი გამოკითხულთა 3-მა პროცენტმა დაუჭირა. ბუში და კერი თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაზეთმა აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ კერი 4-პროცენტიანი უპირატესობით სარგებლობდა. გამოკითხულთა 54-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ კერის პოზიციას არ იცნობენ. ამ კატეგორიაში დემოკრატების თითქმის ნახევარი და დამოუკიდებელ ამომრჩეველთა უმრავლესობა შედიოდა. ამდენად, დემოკრატიული პარტიის ყრილობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას დელეგატებისა და მილიონობით ტელემაყურებლისათვის კერის ცხოვრებისეული გზისა და მისი პროგრამის გაცნობა წარმოადგენს.




REUTERS

26 ივლისს აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ყრილობა გაიხსნა.

ყრილობის წინ, მთელი კვირის მანძილზე, კერი და ედვარდსი შტატიდან შტატში ოპტიმისტური სიტყვებით გამოდიოდნენ. კერიმ თავისი საარჩევნო კამპანიის ზოგიერთი ნაკლოვანების დაძლევაც კი მოახერხა. ინტერნეტ-კამპანიის წყალობით, მის საარჩევნო სალაროში უკვე 200 მილიონი დოლარია, მაშინ, როცა ბუშს 230 მილიონი აქვს. კერიმ 6,5-მილიონიანი კრედიტის დაბრუნებაც კი შეძლო, რომელიც მას თავისი კანდიდატურის წამოსაყენებლად ბანკიდან ჰქონდა გამოტანილი. სენატორმა ეს კრედიტი იმის მიუხედავად გამოიტანა, რომ მისი მეუღლის - ტერეზა ჰაინც-კერის ქონება ნახევარ მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ყრილობის პირველ დღეს სიტყვით ყოფილი პრეზიდენტები - ჯიმი კარტერი და ბილ კლინტონი გამოვიდნენ, რომელიც მისმა მეუღლემ, ჰილარი კლინტონმა წარადგინა. სიტყვა წარმოთქვეს ასევე ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა და წარმომადგენელთა პალატის წევრმა დევიდ ოლსტონმა, რომელიც ვიეტნამის ომის დროს კერის რაზმის წევრი იყო.

ორშაბათი აშშ-ს პრეზიდენტისთვის ნამდვილ განკითხვის დღედ იქცა. დემოკრატთა ყრილობა ანტიბუშური კრიტიკული გამოსვლებით დაიწყო და ამგვარადვე დასრულდა. ცენტრალური სიტყვა ბილ კლინტონმა წარმოთქვა. მან თანაპარტიელებს კარგი დემოკრატებისა და ცუდი რესპუბლიკელების თემაზე ნამდვილი ლექცია წაუკითხა: "მათ (რესპუბლიკელებს) ამერიკის გაყოფა სურთ, ჩვენ კი - არა. ჩვენ, დემოკრატები თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი პასუხისმგებლობების მქონე საზოგადოების შექმნისათვის ვიღწვით. ვაშინგტონში კი რესპუბლიკელებს სურთ, რომ ქვეყანას "სწორი" ხალხი, ანუ მათი ხალხი მართავდეს."

კლინტონის გამოსვლას მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდნენ. მას ტაშს უკრავდნენ, როდესაც იგი რესპუბლიკელებს მდიდრებისათვის გადასახადების შემცირებისა და უქონელი ვეტერანებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების გაზრდისათვის ლანძღავდა. აპლოდისმენტები ოვაციებში გადაიზარდა, როდესაც კლინტონმა კერის ქება დაიწყო. თავისი გამოსვლა კი ექსპრეზიდენტმა იმით დაასრულა, რომ ბუშს ორი ახალი ტიპის ბირთვული იარაღის (იგულისხმება მცირე სიმძლავრის ტაქტიკური ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა) შექმნაში დასდო ბრალი.

კლინტონის გამოსვლა დემოკრატთა ყრილობის პირველი სამუშაო დღის კულმინაციად იქცა. მანამდე კი სიტყვით მისი მეუღლე ჰილარი კლინტონი, ყოფილი ექსპრეზიდენტი ჯიმი კარტერი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი გამოვიდნენ.

ალბერტ გორმა თავის გამოსვლაში დელეგატებს შეახსენა ის ფაქტი, როდესაც ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, 2000 წლის არჩევნებში მას ფლორიდის ხმების საეჭვოდ დათვლის შედეგად მოუგო. მან ამომრჩევლებს ამჯერად მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა: "თითოეულ თქვენს ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ შევეცდებით, რომ ყველა ხმა დათვლილი იქნეს." თუმცა, თავისი პრეტენზიები ბუშის მიმართ ალ გორმა სულ სხვა კუთხით წამოაყენა. მან ამომრჩევლებს შეახსენა, რომ ბუშის დაპირება, "შემწყნარებლური კონსერვატიზმის" შესახებ, ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანა უწინდელზე მეტად არის გაყოფილი, ქვეყნის დეფიციტმა მთელი ისტორიის მანძილზე უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და სამოქალაქო უფლებები უხეშად ირღვევა.

დანარჩენი გამომსვლელები ბუშის საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებდნენ. ჯიმი კარტერმა, რომელიც ყოველთვის საგარეო საკითხებზე იყო ორიენტირებული, იმ დანაკარგებზე ისაუბრა, რაც ბუშის ადმინისტრაციამ აშშ-ს საერთაშორისო პრესტიჟს მიაყენა. "დღევანდელი საგარეო პოლიტიკა ჩვენს ქვეყანას რეპუტაციის ფასად დაუჯდა, რომელიც მსოფლიოში ყოველთვის თავისუფლებისათვის და სამართლიანობისათვის ბრძოლის ავანგარდი იყო," - განაცხადა კარტერმა.

რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, ექსპრეზიდენტის მეუღლემ ჯორჯ ბუში მედიცინისა და განათლების სფეროებში არაეფექტიანი რეფორმების გატარებაში გაამტყუნა. მისი მტკიცებით, ქვეყნისათვის და უბრალო ამერიკელებისათვის კერი გაცილებით მეტს გააკეთებს.

ერთგვარი ფურორი შეიძლება მოახდინოს ახლახან გარდაცვლილი რესპუბლიკელი პრეზიდენტის - რონალდ რეიგანის შვილის, რონ რეიგან უმცროსის გამოსვლამ, რომელიც ყრილობაზეა მიწვეული. უმცროსი რეიგანი ყოველთვის ლიბერალური შეხედულებებით გამოირჩეოდა, ხშირად აკრიტიკებდა ჯორჯ ბუშს და მისი მისამართით აუგი სიტყვები არც მამის დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში დაიშურა. რეიგანის გამოსვლა დემოკრატებს ერთგვარ პროპაგანდისტულ გამარჯვებას მოუტანს.

თუმცა, ვალში არც რესპუბლიკელები დარჩებიან. აგვისტოში რესპუბლიკელთა ყრილობაზე ჯორჯიის შტატის დემოკრატი გუბერნატორი ზელ მილერი გამოვა. 1992 წელს დემოკრატთა ყრილობაზე წინასაარჩევნო საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას, მილერი უფროსი ბუშის მიმართ იმდენად კრიტიკული იყო, რომ დარბაზში სიცილი არ წყდებოდა. თუმცა, დღეს მილერი აცხადებს, რომ მისნაირ "დემოკრატებს ჭეშმარიტად მამაცი და სამართლიანი ლიდერი ჰყავთ" და განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში იგი ჯორჯ ბუშ უმცროსს გულისხმობდა.

დემოკრატებმა მსგავსი ნომერი 1996 წელს შეასრულეს, როდესაც ყრილობაზე რეიგანის პრესმდივანი ჯეიმს ბრედი გამოვიდა. ბრედი რეიგანზე თავდასხმის დროს ჯონ ჰიკლის ტყვიით დაიჭრა და პარალიზებული იქნა, რის შემდეგაც იარაღის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაინაცვლა.

რაც შეეხება თავად პრეზიდენტობის კანდიდატს, იგი ყრილობის ბოლო დღეს, ხუთშაბათს ჩავა ბოსტონში, ხოლო ედვარდსი - ერთი დღით ადრე. ოთხი დღის მანძილზე სიტყვით 60 კაცზე მეტი გამოვა. ედვარდსი კი უკვე აკეთებს პროგრამულ განცხადებებს. თავის გუშინდელ გამოსვლაში, ჩრდილოეთ კაროლინაში, მან მინიშნება გააკეთა, რომ კერი-ედვარდსის ადმინისტრაცია მედიცინისა და განათლების სფეროში რადიკალურ რეფორმებს ამზადებს.

არჩევნებამდე სამი თვე დარჩა. ამ ხნის მანძილზე ორივე კანდიდატმა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის დასახვეწად. კერის ერთ-ერთი "ოქროს" რეზერვი გახლავთ ის, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა მას, როგორც პოლიტიკოსს და პიროვნებას, ჯერ არ იცნობს. ჟურნალი "Time"-ის მონაცემებით, გამოკითხულ ამერიკელთაგან მხოლოდ 29 პროცენტმა განაცხადა, რომ კერის "კარგად იცნობს". დემოკრატთა მიმდინარე ყრილობა სწორედ ამ კუთხით ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის მაქსიმალურად გათვითცნობიერებას ისახავს მიზნად.

ოთხდღიანი ყრილობის წარმატება სხვადასხვა საზომით იქნება განსაზღვრული. ყველაზე გავრცელებული კრიტერიუმი ქულათა რაოდენობაა, რომელიც კერის რეიტინგს უნდა შეემატოს. 2000 წელს, დემოკრატთა ყრილობის შემდეგ, ალ გორს 8 პროცენტი შეემატა, ხოლო 1992 წელს კლინტონის რეიტინგი მთელი 16 პროცენტით გაიზარდა. წარუმატებელი ყრილობის შემთხვევაში, ქულების დაგროვებაზე საუბარიც კი შეუძლებელი იქნება.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სატელევიზიო აუდიტორიის სიდიდე გახლავთ. რაც მეტი მაყურებელი უყურებს ყრილობის ტრანსლაციას, მით უკეთესი შეიძლება იყოს ეს კერისათვის.

# რუსეთის ახალი "გამყინვარების პერიოდი"

*26 ივლისს ამერიკულ გავლენიან გაზეთ "უოლ სტრიტ ჯორნალში" გამოქვეყნდა სტატია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის დემოკრატიულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. პუტინის ამასწინანდელი შენიშვნა, თითქოს ზოგიერთი საინფორმაციო წყარო რუსეთის რეჟიმს შელახვას ცდილობს, შესაძლოა, სწორედ ამგვარი სტატიებით იყო გამოწვეული.*

ვლადიმირ პუტინს ძალიან მოსწონს, როდესაც მას მისივე კერპს, პეტრე I-ს ადარებენ, რომელმაც რუსეთის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. თუმცა, ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ქმედებები და შეხედულებები უფრო ნიკოლოზ I-ის სახეს წამოატივტივებს მეხსიერებაში.

ამ ორი ადამიანის - კგბ-ს ყოფილი ოფიცრისა და დიდი მთავრის - ხასიათის მსგავსება, აღმოსავლეთ გერმანიაში გატარებული წლების შედეგია, სადაც ისინი პრუსიელების დისციპლინამ აღაფრთოვანა. ორივე მათგანი ქვეყნის სათავეში შემთხვევითობის წყალობით მოექცა. 1825 წლის დეკემბერში, ტახტზე ასვლისას ახალგაზრდა მეფეს არმიის ოფიცრების აჯანყების ჩახშობა მოუხდა, რომლებიც ევროპული რევოლუციური იდეების გულშემატკივრები იყვნენ. "დეკაბრისტები" რუსეთში გაცილებით ღია მმართველობის სისტემის შექმნის მაშინდელი ლიბერალების მისწრაფებას იზიარებდნენ. "საშიშ" ევროპულ-რევოლუციურ იდეებს ნიკოლოზ I-მა რეაქციული რეჟიმი დაუპირისპირა. მან მოწყვიტა რუსეთი დასავლეთს და ავტორიტარული ბიუროკრატიული წყობა გაამყარა. ამ ეპოქას რუსეთის ისტორიაში "გამყინვარების პერიოდს" უწოდებენ.

რუსეთის პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, ტირანს ვერ უწოდებ, თანაც მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის დინამიურად განვითარება ხდება. თუმცა, მისივე მმართველობის პერიოდში შეიქმნა რუსეთში პოლიტიკური პლურალიზმისა და კანონიერებისთვის არახელსაყრელი პირობები. შედეგად კი, ევროპის კონტინენტზე ლიბერალური დემოკრატიის აღზევების პარალელურად, რუსეთს კიდევ უფრო მეტად ემუქრება "მოდერნიზებული" ევროპისგან ჩამორჩენა.

ზემოხსენებული ისტორიული ანალოგების მოშველიებით მეტნაკლებად შესაძლებელია რუსეთის სანავთობო კომპანიის "იუკოს"-ისა და მისი ხელმძღვანელის მიხაილ ხოდორკოვსკის იდუმალებით მოცული ამბის ახსნა. როგორც ცნობილია, გასული წლის ოქტომბერში გადასახადებისაგან თავის არიდებისა და თაღლითობის ბრალდებით მიხაილ ხოდორკოვსკი ციხეში აღმოჩნდა.

პუტინის განცხადებას, თითქოს ხელისუფლების მიზანს "იუკოს"-ის გაკოტრება არ წარმოადგენს, წინა კვირას ხელისუფლების მიერ გადადგმული რადიკალური ნაბიჯები აბათილებს.

ხოდორკოვსკის დანაშაული ის არის, რომ იგი პრეზიდენტის გუნდში არ აღმოჩნდა. გასული საპარლამენტო არჩევნების წინ მან მილიონები დახარჯა ოპოზიციური კანდიდატების, დამოუკიდებელი პარტიებისა და ანალიტიკური ცენტრების მხარდასაჭერად. "იუკოს"-ის შეფმა დაარღვია პლუტოკრატებსა და პრეზიდენტს შორის არსებული უსიტყვო შეთანხმება: თუკი ბიზნესმენები არ შეუშლიან ხელს პუტინს, არც ის შეეხება მათ. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი ჭეშმარიტი მოტივაცია, ხოდორკოვსკის მოქმედებამ ოდნავ მეტი სიმძაფრე შესძინა ულიმღამო წინასაარჩევნო მარათონს, სადაც ცალსახად ლიდერობდნენ პრეზიდენტის მოკავშირეები. მაგრამ, როგორც ჩანს, "დემოკრატიული სახელმწიფოს" პრეზიდენტს კონკურენცია არაფერში სჭირდებოდა. ნავთობმაგნატი არ არის პირველი ოლიგარქი, რომელიც კრემლის შერისხულთა სიაში მოხვდა. თუმცა, ბორის ბერეზოვსკისა და ვლადიმირ გუსინსკისგან განსხვავებით, მას რუსეთი არ დაუტოვებია. ხოდორკოვსკიმ რუსეთში პოლიტიკისა და ბიზნესის ურთიერთდამოკიდებულების "დასავლურობის" პრაქტიკაში შემოწმება გადაწყვიტა. საბოლოო ჯამში კი, კრემლთან ჭიდილში კიდევ ერთი ოლიგარქი დამარცხდა.

საგადასახადო პოლიციამ უამრავი მაკომპრომეტირებელი მასალა გამოუძებნა ხოდორკოვსკის, სასამართლოები კი ზედა ეშელონების პოზიციებს ჯერჯერობით ერთსულოვნად იზიარებენ. საზოგადოებასაც გულს ეფონება ევროპული წარმომავლობის მდიდარი ბიზნესმენის დამდაბლება. სხვა ათეულობით მაგნატის მსგავსად, ხოდორკოვსკიმ თავისი ქონება ელცინის ეპოქის ფრიად საეჭვო ოპერაციების დროს დააგროვა, როდესაც ფასიანი ქაღალდები, ფაქტობრივად, უფასოდ უვარდებოდა ხელთ ნიჭიერ "ახალ რუსებს". თუმცა, იგი თითქმის ერთადერთია, ვინც გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

დასავლეთის კრიტიკისა და ინვესტორების ღელვის მიუხედავად, კრემლი პოზიციას არ იცვლის. წინა კვირას ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სწრაფად მზარდი გადასახადების დეფიციტის დაფარვის მიზნით, "იუკოს"-ის ძირითადი ნავთობმომპოვებელი ფილიალის გაყიდვას აპირებენ, თანაც, საერთო თანხამ შესაძლოა, 10 მლრდ აშშ დოლარს მიაღწიოს. "იუგანსკნეფტეგაზის" ძალადობრივი ლიკვიდაცია გაანადგურებს "იუკოს"-ს, მის დანაწევრებას ან გაკოტრებას გამოიწვევს. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, ფილიალი სულ რაღაც 1.75 მლრდ აშშ დოლარად უნდა გაიყიდოს, მაშინ, როცა მისი ჭეშმარიტი თვითღირებულება, სულ მცირე, 15 მლრდ-ს შეადგენს. რუსული კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო საერთოდ არ უნდა შეხებოდა "იუგანსკნეფტეგაზს", რადგან ლიკვიდაციას, პირველ რიგში, მეორეხარისხოვანი აქტივები ექვემდებარება. ხოდორკოვსკის დევნა აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთის მთელი მთავრობა მხოლოდ ერთ პირს ემორჩილება. 1998 წლის რუსეთის საფინანსო კრიზისიდან მოყოლებული ირღვევა კანონიერება და ადამიანის უფლებები, არავის შეუძლია ქვეყანაში თავი დაცულად იგრძნოს. ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, ევგენი იასინის განცხადებით, "თუ მგელი ერთი ცხვრის შესანსვლით იმუქრება, ასეც მოხდება, მანამდე, სანამ ხელახლა არ შეაწუხებს შიმშილის გრძნობა".

რუსეთის პრეზიდენტი უკანასკნელი წლების მონაპოვარზე - სტაბილურობასა და ინვესტიციების ზრდაზე აკეთებს აქცენტს. თუმცა, ვითარება პარადოქსულია. წინა კვირას, როდესაც "იუკოსთან" დაკავშირებით დრამატული მოვლენები განვითარდა, კრემლმა სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი შეიტანა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას უფრო ართულებს. ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით, ვლადიმირ პოტანინი - ოლიგარქი, რომელმაც კრემლთან კარგი ურთიერთობები შეინარჩუნა, მოლაპარაკებებს აწარმოებს გაზეთ "იზვესტიას" მის მფლობელობაში არსებული აქციების საკონტროლო პაკეტის "გაზპრომისთვის" მიყიდვის თაობაზე. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში კრემლს კიდევ ერთი უმსხვილესი საინფორმაციო საშუალების მართვის საშუალება მიეცემა. სწორედ, "გაზპრომმა" წაართვა ვლადიმირ გუსინსკის ტელეკომპანია "ნტვ".

პოლიტიკური პლურალიზმი, ძლიერი და დამოუკიდებელი ინსტიტუტები, ძალაუფლების შეზღუდულობა და მისი გამჭვირვალობა სახელმწიფოს ძლიერების კომპონენტებია. აღნიშნულთან მიმართებაში პუტინის ალერგიული დამოკიდებულება კი უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. როგორც ისტორიკოსი ნიკოლოზ რიაზანოვსკი მეფე ნიკოლოზ I-ზე წერდა, "მონარქის სასტიკი ქმედებები შიშს ეფუძნებოდა და არა თვითრწმენას; მისი უდრეკობის უკან პანიკაში მყოფი სახელმწიფო იმალებოდა". მაშინ რუსეთმა ხელიდან გაუშვა ევროპულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესაძლებლობა. ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ნიკოლოზ I მოწმე გახდა საკუთარი მარცხისა, ხოლო ისტორიის მიერ გამოტანილი განაჩენი, შესაბამისად, სასტიკია. სამწუხაროდ, პუტინი საკუთარი ქვეყნის ისტორიას არც ისე კარგად იცნობს.

**მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი**

საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია
ქვემო ქართლის რეგიონალური ასოციაცია "ხიდეზი"

**"ცეცხლსასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღების ბრუნვა და მისი ზეგავლენა ქვემო ქართლის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე"** პროექტის ფარგლებში **გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების** ფინანსური მხარდაჭერით სათანამშრომლოდ იწვევს საქართველოში მოქმედი მედია საშუალებების წარმომადგენლებს.

ეს პროგრამა გათვალისწინებულია იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც აქტიურად არიან დაინტერესებულნი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვემო ქართლში ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების არალეგალური ბრუნვის შემცირებითა და პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით.

პროგრამა გულისხმობს შემდეგი სახის მხარდაჭერას:

ტექნიკური საშუალებების შეძენა;

- ტრანსპორტირება და სამივლინებო ხარჯების დაფარვას.

დაფინანსების მისაღებად ჟურნალისტი წარმოადგენს რედაქციის თანხმობას მასალის მომზადების შემდეგ მისი გამოქვეყნების შესახებ.

პროგრამაში მონაწილე ჟურნალისტები შეირჩევიან კონკურსის წესით. მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ ა.წ. 6 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 46, საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

ტელ: 919318, 899561154 E-mail: lvepkhvadze@imedi.ge

# აცრით მელიები და ტურები!

### აცხადებს ვეტერინარიის დეპარტამენტი

*საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტი ცხოველთა ასაცრელად ვაქცინების შემოტანაზე ტენდერის გამოცხადებას აგვისტოს დასაწყისში გეგმავს. თუმცა, მდგომარეობა იმდენად სახიფათოა, რომ დეპარტამენტი ტენდერის შედეგებს ვერ დაელოდება და 50 ათასი დოლარის ღირებულების ვაქცინას ორ კვირაში შემოიტანს.*

ნანა ქადაგიშვილი

წელს 6 თვის განმავლობაში 66 ცხოველი დაავადდა. შარშანდელთან შედარებით, ეს მონაცები ბევრად გაზრდილი არ არის, მაგრამ საშიშროებას აძლიერებს ცოფის მსხვილფეხა პირუტყვში გავრცელება. ახლახან თიანეთში ცოფით 10 სული რქოსანი პირუტყვი დაავადდა. ეს კი ადამიანების დაავადების რისკს ზრდის.

ცოფის ასე ფართოდ გავრცელების მიზეზად ვეტერინარები გარეული ცხოველების აუცრელობას ასახელებენ. **"ამ დაავადების გავრცელების მთავარ წყაროს გარეული ცხოველები წარმოადგენენ. პირუტყვი ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე გადარეკვის დროს სწორედ გარეულ ცხოველებთან კონტაქტისა და დაკბენის შედეგად ავადდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში გარეული ცხოველების ორალური ვაქცინაცია საერთოდ არ ჩატარებულა. ხელისუფლება აცხადებდა, - რა დროს მელიებისა და ტურების აცრაა, ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებაო. არადა, უყურადღებობით სწორედ მოსახლეობა ზიანდება",** - აცხადებს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან რამიშვილი.

წლევანდელ ბიუჯეტში ცოფის, ჯილეხის, თურქულის, ბრუცელიოზისა და ტუბერკულოზის ვაქცინების შესაძენად 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ცოფის 290 ცალ ვაქცინას ჩეხეთიდან შემოიტანენ. აქამდე ამ ვაქცინებს ტაბახმელის ბიოკომბინატიდან ყიდულობდნენ, მაგრამ როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აცხადებს, ეს ვაქცინები მოძველებული იყო და აცრების 2-3-ჯერ გამეორება უწევდათ. აღნიშნული 290 ცალი ვაქცინის ნაწილი გარეულ ცხოველებზეც გამოიყენება, ოღონდ მათი აცრა შემოდგომისთვის არის დაგეგმილი, რადგან ვაქცინა მალფუჭებადია და სიცხეში მისი გამოყენება უშედეგოა.

წელს მაწანწალა ცხოველების დაჭერის მეთოდიც შეიცვლება. **"მაწანწალა ცხოველებს ან საერთოდ არ ებრძოდნენ, ან - ძალზე არაჰუმანური მეთოდებით. ამიტომ, მერიასთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ძაღლმჭერი ბრიგადები ვეტერინარიის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში გადმოვიდეს. ჩვენ შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც მაწანწალა ცხოველების თავშესაფრების შექმნასა და კრემატორიუმების დამონტაჟებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, გათვალისწინებული გვაქვს ძაღლმჭერი ბრიგადებისთვის ორი მანქანის შეძენა. ეს მანქანები მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე ივლიან",** - აცხადებს რამიშვილი.

დღეს დეპარტამენტის თავმჯდომარისა და ქალაქის მერის შეხვედრაა დაგეგმილი. რამიშვილი ვარაუდობს, რომ ჭიაბერაშვილი დეპარტამენტის პროექტს მოიწონებს და ქალაქის ბიუჯეტიდან ძაღლმჭერი ბრიგადებისა და მაწანწალა ცხოველების თავშესაფრების დასაფინანსებლად დამატებით სახსრებს გამოყოფს.

# ჰუმანიტარული დახმარება ცხინვალის რეგიონისთვის

საქართველოს მომსახურების სფეროს, კომუნალური მომსახურებისა და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირებმა გაავრცელა სპეციალური მიმართვა ქვეყანაში მოქმედი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი და მათ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში დახმარებისკენ მოუწოდა.

"დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში ბოლო დროს შექმნილი ვითარების შედეგად ძალზედ გართულდა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შექმნილი კრიზისული სიტუაციის გამო, მოსახლეობა საკმარისად ვერ მარაგდებოდა საჭირო სურსათ-სანოვაგით და, ფაქტობრივად, შიმშილის ზღვარზე იმყოფება, - ნათქვამია მიმართვაში, - საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჰუმანიტარული აქციების განხორციელებას ხელს უშლის ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, რომელიც ხედავს, რომ ქართველი და ოსი ხალხის დაახლოება, ამ რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მოგვარება, გაუბედურებულ მოსახლეობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვა მათი კრიმინალური პარპაშის დასასრულს აახლოებს. ჰუმანიტარული ტვირთების ბლოკირებით, სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებულმა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი მზად არის, საკუთარი შავი ბიზნესის არსებობის დროის გახანგრძლივებისა და ერთგული ლაქიის სიგელის მოპოვების მიზნით, თუნდაც, შიმშილით სიკვდილისთვის გაწიროს როგორც ოსი, ისე ქართველი მოსახლეობა. ამ ჯგუფს კარგად უნდა ესმოდეს, რომ წაგებულ თამაშს თამაშობს და დღეს თუ ხვალ მათ აუცილებლად თავის ადგილს მიუჩენს არა საქართველოს ხელისუფლება, არამედ ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა, ის ფესვები, რომელიც, მიუხედავად ჩვენი ხალხების საერთო მტრების დიდი მცდელობისა, მაინც ცოცხლობს. იმედი მაქვს, იმ ხალხს, ვინც ცხინვალის რეგიონში, ასე თუ ისე, სიტუაციას აკონტროლებს, იმდენი ჭკუა მაინც ეყოფა, რომ საქართველოს რიგით მოქალაქეებს მოგვცეს საშუალება, დავეხმაროთ კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ჩვენს, ასევე რიგით, თანამემამულეებს - როგორც ოსებს, ისე ქართველებს. პროფკავშირი დასაქმებული ხალხის გაერთიანებაა და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთლიანად საქართველოში მძიმე სოციალური ფონია და პროფკავშირის წევრთა დიდი ნაწილის ხელფასები მათ სოციალურ მოთხოვნილებებს ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს, ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია, თუნდაც, მცირედის გაღება და ერთსულოვანი, სოლიდარული მოქმედებებით ჩვენი წვლილის შეტანა თანამოძმეების გადარჩენის საქმეში. კარგი იქნებოდა, სახელმწიფოებრივი აზროვნება და მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობა პროფკავშირების გაერთიანების პირველ პირსაც რომ ჰქონდეს, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს მშრომელები ამ ფუფუნებას დღეს მოკლებულნი არიან, ჩვენ - საქართველოს მომსახურების სფეროს, კომუნალური მომსახურებისა და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი გამოვდივართ ინიციატივით, იმ იმედით, რომ სხვა პროფკავშირებიც გაიზიარებენ ჩვენს პოზიციას და შემოგვიერთდებიან. წინასწარ მადლობას გიხდით თქვენ მიერ შეგროვებული პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტისთვის".

პროდუქტი ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის გროვდება საქართველოს მომსახურების სფეროს, კომუნალური მომსახურებისა და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ოფისში - შარტავას №7, შრომის სასახლის მე-9 სართულზე.

*24 საათი*

# პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი

### ევროპა გარემოსა და უსაფრთხოების საკითხებზე აკეთებს აქცენტს

მაკა ჭაიანი

*ბავშვთა სიკვდილიანობის ყოველი მესამე შემთხვევა ევროპაში ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით არის განპირობებული - ასეთი დასკვნაა გაკეთებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენებაში, რომელიც 2004 წლის 19 ივნისს ჟურნალში Lancet გამოქვეყნდა. ეს გახლავთ პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ბავშვთა ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების ზეგავლენის ექსპერტულ შეფასებას იძლევა. მოცემული სურათი, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელია.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*წყლის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, შენობებში და მათ გარეთ ჰაერის დაბინძურების, ქიმიური ნაერთებისა და მძიმე მეტალების, ტრავმებისა და არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის საკითხები - გახლავთ ის პრობლემები, რომლის მოგვარება საქართველოს, ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად მოუწევს.*

## ფაქტები

ბავშვთა და 19 წლამდე მოზარდთა შორის წელიწადში სიკვდილიანობის 100 000 შემთხვევა გამოწვეულია როგორც შენობებს გარეთ, ისე მათ შიგნით არსებული დაბინძურებული ჰაერით, უსუფთაო წყლით, ტყვიის ზემოქმედებითა და ტრავმებით. სიკვდილობის საერთო მაჩვენებლის 34 პროცენტი მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში სწორედ ამ მიზეზებით გამოწვეულ სიკვდილზე მოდის. ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებული ავადობების სიმძიმის კვლევის ფარგლებში, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტმა, უდინის უნივერსიტეტმა და ტრიესტის ბავშვის ჯანმრთელობის ინსტიტუტმა ჩაატარეს, გამოკვლეულია, ასევე, ცხოვრების წლებისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევები, რისი თავიდან აცილებაც თავისუფლად შეიძლებოდა ზემოთ ნახსენები რისკ-ფაქტორების შემცირების შემთხვევაში. მათ გამო, დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობა, კვლევის მიხედვით, ექვსი მილიონი წლის ტოლია.

ევროპის რეგიონში 19 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზი ტრავმატიზმია, ამასთან, შემთხვევათა მეტი წილი 15-19 წლის მოზარდებზე მოდის. 13 000 ნულიდან ოთხ წლამდე ასაკის ბავშვი ატმოსფერული ჰაერის მძიმე შენაერთებით დაბინძურების შედეგად იღუპება, 100 000 - სახლში მყარი სათბობის (შეშა, ნახშირი, სხვა) გამოყენების გამო. ნულიდან 14 წლამდე მოზარდებში სიკვდილის 13 000 შემთხვევა წყლისა და სანიტარიული პირობების არადამაკმაყოფილებელ ხარისხს უკავშირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაერის დაბინძურების ფაქტორი შენობების შიგნით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ძირითადად, ამ მიზეზით გამოწვეული სასუნთქი გზების მწვავე ინფექციებით ევროპაში 50 ათასზე მეტი ოთხ წლამდე ასაკის ბავშვი დაიღუპა და დაიკარგა 1,75 მილიონი ჯანმრთელი სიცოცხლის წელი. ძუძუთი კვების ასაკისა და მცირეწლოვანი ბავშვები შენობებში, საშუალოდ, დროის 90 პროცენტს ატარებენ. შესაბამისად, მათზე დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედებაც დიდია.

იმის გამო, რომ სიკვდილობის სტრუქტურა განსხვავებულია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ევროპის რეგიონი სამ სუბრეგიონად დაყო. პირველში, რომელშიც ბავშვთა და ზრდასრულთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ძალზე დაბალია, შევიდნენ: ავსტრია, ანდორა, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ისრაელი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, სანმარინო, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი.

მეორე ჯგუფში - ევრო-ბ, რომელიც ბავშვებთა და ზრდასრულთა სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლით დახასიათდა, საქართველოსთან ერთად შევიდნენ: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, ყირგიზეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი და ჩერნოგორია, სლოვაკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი, უზბეკეთი.

ჯგუფი ევრო-გ - ბავშვთა და ზრდასრულთა სიკვდილიანობის მაღალი დონე: ბელარუსი, უნგრეთი, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, რესპუბლიკა მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ესტონეთი.

ნულიდან ოთხ წლამდე ასაკის ბავშვთა პათოლოგიების (სასუნთქი გზების მწვავე ინფექციების, ასთმის, ახალდაბადებულთა მცირეწონიანობის) გამომწვევი ძირითადი ეკოლოგიური მიზეზის - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შედეგები განსაკუთრებით მაღალია ევრო-ბ ჯგუფში. ეს ჯგუფი ლიდერობს, ასევე, იმავე ასაკის ბავშვებში დაბინძურებული წყლითა და ანტისანიტარიით გამოწვეული სიკვდილიანობს მხრივ. რაც შეეხება სუბრეგიონული დაყოფის მიხედვით ყველაზე რთულ - ევრო-გ ჯგუფს, იგი პირველია ტყვიით მოწამვლით გამოწვეული ტვინის დისფუნქციითა და ტრავმატიზმით გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობის მიხედვით. მარტო ამ უკანასკნელით ამ ჯგუფის ქვეყნებში 43 000 ბავშვია გარდაცვლილი.

## ექსპერტები ფაქტების ირგვლივ

**"სრულიად დაუშვებელია, რომ ეკოლოგიური საფრთხისგან ადამიანების დაცვის მოუხერხებლობისთვის პასუხს აგებდნენ ბავშვები, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრები,** - განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა, დოქტორმა ლი იონგ-ვუკმა 23 ივნისს, ბუდაპეშტის მეოთხე კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ევროპის 52 ქვეყნის ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის მინისტრები და სხვა სტრუქტურების წარმომადგენლები, - **ადრეულ ასაკში ორგანიზმის განვითარების თავისებურებები ადამიანის ჯანმრთელობაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახდენენ გავლენას. ამდენად, ბავშვების ჯანმრთელობის დაზიანება მავნე ზეგავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე. ეს კონფერენცია იძლევა არაჩვეულებრივ შანსს იმის განსასაზღვრად, რა და როგორ უნდა გაკეთდეს".**

**"ამ რაოდენობის ასე მაღალი წარმომადგენლის მონაწილეობა ამ ფორუმში მასზე წარმოდგენილი საკითხებისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას მოწმობს,** - აღნიშნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს დირექტორმა მარკ დანზონმა, - **როცა საუბარი ჩვენი ბავშვების მომავალს ეხება, ყველანი ერთ ნავში ვიმყოფებით. სწორედ ეს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსს. ვიმედოვნებთ, რომ ამ სამი დღის განმავლობაში ვიპოვით და შევათანხმებთ გზებს, რომელიც არსებითად გაზრდის ევროპის ყველა ბავშვის შანსს - იყოს ჯანმრთელი".**

კონფერენცია უნგრეთის დედაქალაქში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მსგავსი ხასიათის ფორუმები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება, თუმცა, ბუდაპეშტისა მაინც უნიკალური იყო. გარემოს დაცვა მასზე განიხილებოდა როგორც, კონკრეტულად ბავშვთა, შესაბამისად - ზრდასრულთა ჯანმრთელობის, ზოგადად კი, საზოგადოების უსაფრთხოების საკითხი. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მითი გარემოს დაცვის, როგორც განყენებული საკითხის, მეორე რიგის საჭიროების, მეტიც - მავანთა ახირების შესახებ, იმსხვრევა.

**"ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ ამ კონფერენციისა,** - ამბობს კავკასიის გარემოსდაცვითი რეგიონული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნატო კირვალიძე, - **ხშირად გაგვიგონია, რა დროს ეკოლოგიაა, ჯერ ეკონომიკას უნდა მივხედოთო. ამ კონფერენციამ ყველას დაანახა, ეკოლოგიური პრობლემები პრობლემას ეკონომიკასაც უქმნის. ის, რომ ფორუმზე ხაზგასმით, საერთო კონტექსტში დაისვა წყლის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, შენობებში და მათ გარეთ ჰაერის დაბინძურების, ქიმიური ნაერთებისა და მძიმე მეტალების, ტრავმებისა და არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის საკითხები; რომ ქვეყნებს დაევალათ, 2007 წლამდე შეიმუშაონ ნაციონალური გეგმები ამ საკითხების მოსაგვარებლად და უწყებებს შორის კოორდინირებულ მუშაობაზე გაკეთდა აქცენტი, გვაძლევს იმედს, რომ ეკოლოგიური პრობლემატიკა მმართველთათვის სტატუსს შეიცვლის".**

კავკასიის გარემოსდაცვითი რეგიონული ცენტრი ბუდაპეშტის კონფერენციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იმისთვის, რომ ფორუმს კავკასიის რეგიონის სერიოზული დელეგაცია დასწრებოდა, საკუთრივ ცენტრმა დამატებით დააფინანსა ათი მონაწილის გამგზავრება უნგრეთის დედაქალაქში. მისი წყალობით, კავკასიის რეგიონის ყველა დაინტერესებული პირი თუ ორგანიზაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით იღებდა ყოველდღიურ, დაწვრილებით ინფორმაციას ფორუმის შესახებ. გადაწყვეტილება ასეთი საინფორმაციო უზრუნველყოფის შესახებ ცენტრმა მას შემდეგ მიიღო, რაც დაინახა, რამდენად პასიური იყო რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის ფორუმებში სწორედ მწირი ინფორმაციული ბაზის გამო. კავკასიის გარემოსდაცვითი რეგიონული ცენტრი მსგავს საინფორმაციო მხარდაჭერას უწევდა შარშან კიევში გამართული სამინისტროების წარმომადგენელთა შეხვედრასაც.

## ფაქტები, შედეგები, საქართველო

კონფერენციის გარდა, ბუდაპეშტში პარალელური ღონისძიებებიც მიმდინარეობდა. ფორუმის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გაიმართა მეცნიერთა შეხვედრა, რომელზეც ბავშვთა ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების კვლევის შედეგები განიხილეს. ღონისძიებებში ახალგაზრდული პარლამენტის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ივნისის მესამე კვირა უნგრეთის დედაქალაქში მეტად დატვირთული იყო. გარემოსდაცვითმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კონფერენციის მონაწილეებს მიაწოდეს 50 საერთაშორისო, ევროპული და ნაციონალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ შარშან დეკემბერში ბრიუსელში მიღებული დეკლარაცია - "გარემო ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობისთვის", რომელიც ბუდაპეშტში დასმულ საკითხებს შეეხებოდა.

დეკლარაციაში, რომელიც თავად კონფერენციამ მიიღო, ნათქვამია: **"ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული ავადობები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე სერიოზულ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეჭვგარეშეა, ავადობებისა და ტრავმატიზმისგან თავის დაზღვევა უფრო სასურველ და ეკონომიკურად ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს, ვიდრე მიდგომა, რომელიც დაავადებების მკურნალობაზეა აქცენტირებული".** კონფერენცია ამ პათოსით მონაწილე ქვეყნებს ავალებს: წყლის დაბინძურების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით არსებული ხარვეზების, როგორც შენობებში, ისე მათ გარეთ ჰაერის დაბინძურების, ქიმიური ნაერთებისა და მძიმე მეტალების ზემოქმედების, მოზარდთა ტრავმებისა და არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის საკითხების მოგვარებას. მათთვის სპეციფიკურ პრობლემებში გასარკვევად ქვეყნებს ვადა 2007 წლამდე მიეცათ. ეროვნული გეგმები სწორედ ამ დროისთვის უნდა იყოს მომზადებული.

**"ახალი საფრთხეები, რომელიც დღეს უკვე საკმაო მასშტაბებს იძენს, სწორედ ბავშვებზე ახდენს გავლენას,** - ამბობს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ზაალ ლომთაძე, - **თუ აქამდე მეტნაკლებად ცნობილი იყო ოზონისა და კლიმატური ცვლილებების ზეგავლენა, ახლა ლაპარაკია ისეთი სიმწვავის პრობლემებზე, როგორიცაა, მაგალითად, სამშენებლო მასალებიდან და მცირე სიმძლავრის წყაროებიდან მომდინარე საფრთხე, ქიმიურ ნივთიერებათა ყოველდღიური მოხმარების უკონტროლო ზრდა, რასაც, დაზუსტებით არავინ იცის, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ხანგრძლივი მოხმარებისას - ბავშვთა ჯანმრთელობის რაღაც ფუნქციების მოშლა, მისი ჯანმრთელობის საბოლოო შერყევა, სრული განუვითარებლობა, თუ სექსუალური ორიენტაციის შეცვლა. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი თაობის დიდი ნაწილი, თუ მთლიანად არა, დიდი რისკის წინაშე დგას. ამდენად, ამ მომენტების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიება მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი მომენტია ეროვნული გეგმის შედგენა ბუდაპეშტის კონფერენციის ჩარჩოებში".**

საქართველოს მთავრობას ამ გეგმაზე მუშაობა ჯერ არ დაუწყია, თუმცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის აზრს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე კოკა ფრუიძეც იზიარებს: **"დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა ჩვენთვის პრიორიტეტულია, თუმცა მისი მაღალ დონეზე ორგანიზება მნიშვნელოვან თანხებთან არის დაკავშირებული, საქართველოს კი დიდი მატერიალური შესაძლებლობები ჯერ არა აქვს. ამ ფინანსებით, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შევამოწმებთ, რამდენად მავნებელია ბავშვის ჯანმრთელობისთვის ის სათამაშოები, რომელიც ქვეყანაში შემოდის. ეს პრობლემა განვითარებული ქვეყნებისთვისაც აღმოჩნდა. ამიტომ დაადგინეს ისინი სხვა გზას - მოსთხოვეს სათამაშოების, ისევე, როგორც საკვების მწარმოებლებს, აღარ გამოეყენებინათ მავნე ნივთიერებები წარმოებაში. პრობლემა, რა თქმა უნდა, ბევრია და მათი გადაჭრა მომავალი თაობების ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანია. იმედი ვიქონიოთ, რომ 2007 წლისთვის საქართველო ეკონომიკურად გაცილებით ძლიერი იქნება და არსებული თუ სხვა საკითხების მოგვარებას უპრობლემოდ შეძლებს".**

იმედი ვიქონიოთ, რომ ასე იქნება. გრინფისის ანგარიშში, რომელიც ბავშვთა ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების ზეგავლენას ეხებოდა, მაისურებზე დატანილი დისნეის გმირების სურათების უსაფრთხოებაზეც კი იყო საუბარი. განვითარებული მსოფლიო დღეს იმაზე მსჯელობს, რამდენად უსაფრთხოა სალებავი, რომლითაც პატარების სამოსს აფორმებენ. ამ დროს საქართველოს ეთილირებული ბენზინის მოხმარების საკითხი ვერ გადაუწყვეტია. ჩვენ ევროპელები ვართ, მაგრამ, ჩვენი პრობლემებიდან გამომდინარე, ევროპელებისგან განსხვავებულ სიბრტყეში ვიმყოფებით. აქ ყოველ ზაფხულს დგას ახალციხის სკოლებში "ა" ჰეპატიტის აფეთქების საკითხი, რადგან იქ საკანალიზაციო სისტემა წლების განმავლობაში მოუწესრიგებელია და სასმელი წყლის სავარაუდო თუ რეალური დაბინძურების საკითხი - თვით ქვეყნის დედაქალაქში; აღარაფერს ვამბობთ სამშენებლო მასალებზე, რომელთა უხარისხობა ეჭვს სრულიად არ იწვევს. ერთი სიტყვით, საქმე ბევრია. შესაბამისად, ჩვენი მომავალი თაობების ანუ ქვეყნის უსაფრთხოება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

# როგორ იცავენ საქართველოს ტყეებს პარლამენტიდან

თამარ კაციტაძე

წლების განმავლობაში საქართველოს ხე-ტყე უმოწყალოდ იჩეხება და ქვეყნის საზღვრებს გარეთ კაპიკებად იყიდება. სტატისტიკას და სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურების მიერ ყოველდღიურად გავრცელებულ ინფორმაციებს თუ თვალს გადავავლებთ, ტყის უკანონო გაჩეხვის გამოვლენის ასობით ფაქტს დავითვლით. თუმცა, იმავე მასალებში ვერსად ვნახავთ ხე-ტყის ბიზნესის რეალურ მეპატრონეთა დასჯის შემთხვევებს. სამართალდამცველები დანაშაულის ფაქტზე, ძირითადად, მანქანების მძღოლებს ან ხის მჭრელებს აკავებენ და გამოძიებაც აქვე მთავრდება. მოგვიანებით, ხე-ტყის ნამდვილი ბიზნესმენები სახელმწიფოს მიერ დაწესებული მინიმალური ჯარიმის, არაოფიციალური გამოსასყიდის გადახდის ან გავლენიანი მფარველების შემწეობით, კუთვნილ მორებს უკანვე იბრუნებენ და უცხოეთშიც უპრობლემოდ გააქვთ.

მეტიც, როგორც სამართალდამცველები არაოფიციალურ საუბარში აღნიშნავენ, ბრაკონიერ ბიზნესმენთა სახელები ყველამ კარგად იცის, მაგრამ მათ გავლენიანი მფარველების მიერ ხელშეუხებლობის გარანტია აქვთ მიღებული და ამაზე ხმამაღლა საუბარიც იკრძალება. მფარველები კი, დაწყებული სატყეო დეპარტამენტიდან და პარლამენტით დამთავრებული, ყველა სტრუქტურაში მრავლად მოიძებნებიან, თუმცა მათ გამოვლენაზე, გასაგები მიზეზების გამო, დღემდე არავის უფიქრია.

გუშინ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარმა სამმართველომ ხე-ტყის უკანონო გაჩეხვასთან დაკავშირებით, ცნობილი გვარი დაასახელა და მისი დაკავების შესახებ ინფორმაციაც გაავრცელა. სამცხე-ჯავახეთის პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სატყეო დეპარტამენტის ხუთი თანამშრომელი და პარლამენტის ყოფილი წევრი ავთანდილ გელაძე დააკავეს.

დანარჩენ დაკავებულთა გვარები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

საქმის მასალების მიხედვით, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გროვდებოდა, აღნიშნული პირები წლების განმავლობაში ხე-ტყის უკანონო ბიზნესით იყვნენ დაკავებულები, რის შედეგადაც ხე-ტყის დიდი მასივები გაიჩეხა.

დაკავებულებს ბრალად ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ტყის მასივების გაჩეხვა-განადგურება, რაც მაქსიმუმ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ისინი გადაყვანილები არიან სამცხე-ჯავახეთის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში, ხოლო წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხს სასამართლო უახლოეს დღეებში განიხილავს.

რა შედეგით დასრულდება ხე-ტყის ბიზნესმენ მაღალჩინოსანთა საქმის გამოძიება, ან შეძლებენ თუ არა სამცხე-ჯავახეთის სამართალდამცველები მათთვის დანაშაულის ფაქტის დამტკიცებას, მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ცხადია, აღნიშნულ საქმეში ავთანდილ გელაძის გვარის გაჟღერება, საქართველოს ფლორის დამცველთ, მართლაც, საგულისხმო ინფორმაციას უნდა აძლევდეს.

"მწვანეთა" პარტიის წევრი ავთანდილ გელაძე, რომელიც აქამდე ადიგენის რაიონის სატყეო მეურნეობის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი იყო და იქაც საქართველოს გარემოს დაცვას ემსახურებოდა. კერძოდ, ამ მიზნისათვის, მან საკუთარი სურვილით გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრობა აირჩია და ხუთი წლის განმავლობაში იქ საქმიანობდა. როგორ - ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს.

გუშინვე ხე-ტყის უკანონო ბიზნესის გამო დაკავებული, ადიგენის სატყეო მეურნეობის უფროსის პარალელურად, სამცხე-ჯავახეთის სამართალდამცველებმა სამი პირი დააკავეს, რომლებიც კონტრაბანდული შემოვლითი გზით 13 კუბური მეტრი მრგვალი მორის გატანას ცდილობდნენ. სატვირთო მანქანას ანზორ კოჩალიძე მართავდა, რომელსაც თან ახლდნენ ზურაბ და რუსლან კოჩალიძეები. ხე-ტყის მასალა, სავარაუდოდ, ადიგენის რაიონის სოფელ უწყისუბანში იყო მოჭრილი. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა და შესაძლებელია, ხე-ტყის რეალური მფლობელიც დადგინდეს.

# ყოფილი რექტორი თავს დამნაშავედ არ ცნობს

აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე წინასწარ სამთვიან პატიმრობას ორთაჭალის საპყრობილეში გაატარებს - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ.

**"სასამართლო იქცა "შინსახკომად" და ყველა ცნობილ ადამიანს უმოწყალოდ აპატიმრებს. ხელისუფლება 1937 წლის მსგავს რეპრესიებს ახორციელებს მეცნიერების მიმართ,"** - ასე შეაფასა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნაპოლეონ ქარქაშაძის ადვოკატმა. ქარქაშაძის ადვოკატი ავთანდილ ტყებუჩავა მოსამართლე მამუკა სონღულაშვილს პროკურატურის შეკვეთის შესრულებაში ადანაშაულებს.

აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას ბრალდებული არ დასწრებია. როგორც მისი ოჯახის წევრები და ინტერესების დამცველი აცხადებენ, იგი მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფია და ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ გართულებულია.

თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - ეს გახლავთ ყოფილი რექტორისთვის წარდგენილი ბრალდება, რომელშიც ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

გამოძიება ქარქაშაძეს აგრარული უნივერსიტეტის კუთვნილი მიწების უკანონოდ გაყიდვასა და იჯარით გაცემაში, ასევე, მისი რექტორად ყოფნის პერიოდში, ღვინის მინიქარხანა "მარანისა" და სხვა ობიექტების პრივატიზებაში ედავება. პროკურატურა ირწმუნება, რომ ქარქაშაძემ სახელმწიფოსათვის აშკარა წამგებიანი ხელშეკრულებები გააფორმა - უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნათა დარღვევით მოახდინა აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ღვინის ქარხნის პრივატიზაცია და გრძელვადიანი იჯარით გასცა ან გაყიდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 100 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი. ბრალდებას აბსურდულს და თითიდან გამოწოვილს უწოდებს ნაპოლეონ ქარქაშაძის ინტერესების დამცველი. ის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას აპირებს. **"ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქარქაშაძე ონკოლოგიური ავადმყოფია და მისთვის პატიმრობის შეფარდების კანონიერი საფუძველი არ არსებობს,"** - ირწმუნება ადვოკატი ავთანდილ ტყებუჩავა.

*24 საათი*

# იანდარბიევის საქმეს კატარის სასამართლო განიხილავს

*გუშინ კატარში სააპელაციო სასამართლომ დაიწყო რუსეთის იმ ორი მოქალაქის ადვოკატების სარჩელის განხილვა, რომლებსაც ჩეჩენთა ლიდერის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.*

რუსეთის სამი მოქალაქე კატარის დედაქალაქ დოხაში 19 თებერვალს, ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობიდან ექვსი დღის შემდეგ დააკავეს. გამოძიება მიიჩნევდა, რომ იანდარბიევის მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობა სწორედ მათ ჩაამონტაჟეს. დაკავებული სამეულიდან ერთ-ერთს, კატარში რუსეთის საელჩოს პირველ მდივანს დიპლომატიური იმუნიტეტი იცავდა, იგი გაათავისუფლეს და რუსეთშიც გაამგზავრეს. დანარჩენებს კი, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებს - ანატოლი ბილიაშკოვსა და ვასილი პოკშევს კატარის სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწიათ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოქალაქეების დაკავების ოპერაცია რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე ჩატარდა, რაც სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის პრეტენზიების საგნად იქცა. ადვოკატების განმარტებით, ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი რესტიტუციის წესის გამოყენებას ითვალისწინებს, რაც დაკავებულთა ელჩისთვის გადაცემას ნიშნავს. სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის გამოყენებას მოითხოვდა, სასამართლო შედარებით ჰუმანური აღმოჩნდა და რუსეთის მოქალაქეებს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენი 30 ივნისს გამოიტანეს. კატარის კანონების თანახმად, სამუდამო პატიმრობა, პრაქტიკულად, 25 წლით ციხეში გამოკეტვას ნიშნავს.

ამჟამად პატიმართა ადვოკატები ცდილობენ, მათი დაცვის ქვეშ მყოფთა უდანაშაულობა დაამტკიცონ და მათ რუსეთში გადაგზავნას მიაღწიონ. ზოგიერთი წყაროს ცნობით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა, შესაძლოა, ოქტომბრამდე გაწელოს. მანამდე ორივე მსჯავრდებული პატიმრობაში დარჩება. "იტარ-ტასი" კატარის საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ბილიაშკოვსა და პოკშინს საუკეთესო პირობებში ამყოფებენ. ისინი მოთავსებულნი არიან განცალკევებულ ვილაზე, ჰყავთ მომსახურე პერსონალი, საშუალება აქვთ შეხვდნენ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებს. ერთადერთი, რაც მათ ეკრძალებათ, ვილის ტერიტორიის დატოვების გარდა, ერთმანეთთან კონტაქტია.

სამაგიეროდ, მსჯავრდებულთა ადვოკატები ირწმუნებიან, რომ წინასწარი პატიმრობისას მათ მიმართ წამების სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ.

კატარში გასამართლებული რუსების ერთ-ერთმა ადვოკატმა დიმიტრი აფანასიევმა რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ეთერით გააკეთა განცხადება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფნი დაკავებისთანავე აწამეს.

**"ოთხი დღის მანძილზე მათ არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, აიძულებდნენ ფეხზე მდგარიყვნენ, საკანში არ უქრობდნენ შუქს, იყენებდნენ დაბალი სიხშირის ხმას, ხოლო როდესაც ციხის ეზოში გაჰყავდათ, ძაღლებს უქსევდნენ"**, - აცხადებდა ადვოკატი. მისივე თქმით, პროცესის მიმდინარეობისას ერთ-ერთმა ბრალდებულმა სასამართლოს წინაშე გამომსვლელ ბრალდების მოწმეში ამოიცნო კაცი, რომელიც მათ წამებაში მონაწილეობას იღებდა. მეტიც, მან სცადა სასამართლოსთვის ეცნობებინა ეს, მაგრამ მოსამართლემ არ მოუსმინა.

ამ ბრალდებებისთვის კატარის მხარეს პასუხი არ გაუცია. რაც შეეხება ოფიციალურ მოსკოვს, რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კატარის სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივისცემით მოეკიდება.

*24 საათი*

# უშიშროების მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

უშიშროების მინისტრს ვანო მერაბიშვილს უკვე ოთხი მოადგილე ჰყავს - გიგი უგულავა, ამირან მესხელი, ლევან ნიკოლაიშვილი და ირაკლი კლდიაშვილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირებაზე გასაგზავნი, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე და ბოლოს, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი ირაკლი კლდიაშვილი უშიშროების მინისტრის მოადგილედ გუშინ დაინიშნა. ის გუშინვე გამოცხადდა უშიშროების სამინისტროში საკუთარ კაბინეტში და მუშაობას შეუდგა. შეგახსენებთ, კლდიაშვილი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან, დაახლოებით, ორი კვირის წინ გაათავისუფლეს და მის პოსტზე ლევან გვაზავა დანიშნეს. კლდიაშვილის პოლიციის სამმართველოს უფროსობიდან გათავისუფლებისთანავე, ოფიციალური წყაროებისგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას ამერიკაში უშვებდნენ სტაჟირებაზე. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, ირაკლი კლდიაშვილი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის სავარძელს ცოტა ხნის წინ, თემურ მღებრიშვილისა და მისი რაზმის მიერ აქციის მონაწილეთა დარბევის ფაქტის გამო დაემშვიდობა.

*24 საათი*




## მოკლედ

### კონტრაბანდული ტვირთის მეპატრონეები ბრალდებას უარყოფენ

გუშინ მარნეულის პოლიციასთან დიდი ხმაური იყო. აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებმა, ფინანსური პოლიციის მიერ მათთვის გუშინ დილით ჩამორთმეული აღურიცხავი ტვირთის დაბრუნების მოთხოვნით, პოლიციის განყოფილებასთან საპროტესტო აქცია გამართეს. მარნეულის პოლიციის ეზო, სადაც აღურიცხავი ტვირთი იყო გადატანილი, აქციის მონაწილეებმა ალყაში მოაქციეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში განგვიცხადეს, აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული 6 "კამაზის" ტიპის, ორი მსუბუქი და ერთი "გაზელის" მარკის ავტომანქანა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ შულავერის მიმდებარე ტერიტორიაზე გამთენიისას დააკავეს. "ტვირთის მეპატრონეებმა წინააღმდეგობა გაგვიწიეს, რის გამოც საქმეში ქვემო ქართლის პოლიციაც ჩაერთო და ტვირთი მარნეულის მიმართულებით გადაიტანეს. მარნეულის შესასვლელთან ფინანსურ პოლიციას აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეები დახვდნენ. მათ დანახვაზე ტვირთის მეპატრონეებმა აყალმაყალი ატეხეს - ერთ-ერთმა ქალმა ავტომანქანის მინას ხელი განზრახ დაარტყა, გაიჭრა, სისხლი სახეზე წაისვა და გულის წასვლის იმიტაცია მოაწყო, - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. ტვირთის მეპატრონეები ტვირთის ჩამორთმევას ეთნიკური შევიწროების მოტივით ხსნიან, რასაც სამართალდამცველები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. "ტვირთი შემოტანილია აზერბაიჯანიდან წითელი ხიდის გავლით და იგი კონტრაბანდულია", - ირწმუნებიან ფინანსურ პოლიციაში. ტვირთის მეპატრონეები კი ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ საქონელი ლილოს ბაზრობაზეა შეძენილი. ჩამორთმეული ტვირთის კანონიერებას ექსპერტიზა დაადგენს.

*24 საათი*

### გოგი კუპრეიშვილის საქმის განხილვა გადაიდო

აჭარის უმაღლეს სასამართლოს გუშინ ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის საქმის განხილვა უნდა დაეწყო, თუმცა სასამართლო პროცესი ბრალდებულის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. როგორც კუპრეიშვილის ახლობლებმა განაცხადეს, სასამართლო პროცესი მოულოდნელად დაინიშნა და ადვოკატი სათანადო წესით გაფრთხილებული არ ყოფილა. თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული, აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის ქონება უახლოეს დღეებში სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდება. მართლმსაჯულება კუპრეიშვილისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა-არჩამორთმევის საკითხს გადაწყვეტს. შეგახსენებთ, პროკურატურის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, კუპრეიშვილის ოჯახის წევრების სახელზე გაფორმებული რამდენიმე ბინა უკვე დაყადაღებულია. სასამართლო ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩის ჩიხში მდებარე ორსართულიანი სახლის, ერას ქუჩაზე მდებარე ერთოთახიანი ბინისა და ხიმშიაშვილის ქუჩაზე არსებული 100 კვ/მ-ის საცხოვრებელ ფართზე იმსჯელებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის ფოთი-გურიის განყოფილებამ მითვისების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე ის არის, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში არსებული, შავი ზღვის კონვენციური ინსპექციის ხელმძღვანელი თენგიზ გოგოტიშვილი სახელფასო უწყისში ე.წ. "მკვდარ სულებს" აფორმებდა და მათ ხელფასს თავად იღებდა. ეს დანაშაული კი შავი ზღვის ინსპექციაში 1997 წლიდან ხდებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის ფილიალს მიმართეს გიზო კოკობინაძის ოჯახის წევრებმა, რომელთა განცხადებითაც, 24 ივლისს ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული გიზო კოკობინაძე ხელვაჩაურის პოლიციაში სცემეს. ამასთან დაკავშირებით, კოკობინაძის ოჯახის წევრებმა პოლიციის განყოფილებასთან საპროტესტო აქცია მოაწყვეს. აღნიშნული ორგანიზაციის მოთხოვნით, დაზარალებულისთვის დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის შედეგებიც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის N1 საპყრობილეში ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან შეყვანილი პატიმარი, 29 წლის მამუკა ჯიმშელეიშვილი პოლიციელებს ცემაში ადანაშაულებს. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, ჯიმშელეიშვილს საპყრობილეში შეყვანისას მენჯ-ბარძაყის სახსრის არეში სისხლნაჟღენთი აღენიშნებოდა. პატიმარი სამედიცინო შემოწმებისას, გულმკერდის მარცხენა ნახევარში ტკივილს უჩიოდა. ჯიმშელეიშვილი ნარკოდანაშაულისათვის არის დაკავებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გროზნო.** გროზნოში სპეცდანიშნულების ბატალიონ "დასავლეთის" ორი სამხედრო მოსამსახურე მოკლეს. ჩეჩნეთის შს სამინისტროს ცნობით, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ღამით, ხასიევების სახლში ორმა ნიღბიანმა ჩაცხრილა. ამ ფაქტამდე რამდენიმე დღით ადრე, 23 ივლისს გროზნოს ცენტრში, მეჩეთის მახლობლად ორი ფუგასური ნაღმი აფეთქდა, რის შედეგადაც ბატალიონ "დასავლეთის" შტაბის უფროსი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე ადამიანმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. მეჩეთთან ახლოს საინჟინრო დაზვერვისას სამხედროებმა ერთი აუფეთქებელი ნაღმი აღმოაჩინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის აქტიური წევრი, 22 წლის ლაშა ჯანჯულია, რომლის ბინიდან ამოიღეს ხელყუმბარა "რგდ-5" და ბინის გასაღები ე.წ. "ატმიჩკები". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ნასამართლევი, 29 წლის დავით მოსიაშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს ერთი გრამი ოპიუმი, 0.5 გრამი მარიხუანა და ექვსი ძირი 340 გრამი კანაფი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ ძირკოკში მცხოვრები, 27 წლის ზაქრო არჯევანიძე და სოფელ ვეჯინში მცხოვრები, 19 წლის რამაზ ბანყელაშვილი, რომლებიც სოფელ წინანდალში თავს დაესხნენ 44 წლის მიხეილ კვიჟინაძეს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს მოტოციკლეტი და 20 ლარი. ამოღებულია უნომრო გადაჭრილი სანადირო თოფი და თვითნაკეთი რევოლვერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასაზღვრო რაზმ "ლაგოდეხის" საგუშაგო "ცოდნის კარში" დააკავეს სოფელ ჩადუნიანში მცხოვრები, 32 წლის ავთანდილ მათიაშვილი, რომელსაც აზერბაიჯანიდან საქართველოში ურმით შემოჰქონდა 200 ლიტრი განუბაჟებელი დიზელის საწვავი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში მცხოვრები, ნასამართლევი, 36 წლის ჯემალ აპრესოვი, რომელმაც იმავე სოფელში მდებარე შპს "მაგთიკომის" ბაზიდან 620 ლიტრი დიზელის საწვავი მოიპარა. **მედია-ნიუსი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## ჩვენ ერთად გვიცხოვრია

### ყოფილი სოხუმელის თვალით დანახული თანამედროვე სოხუმი

*იგი წარმოშობით სოხუმელია, ამჟამად დევნილი ჟურნალისტი. მან აფხაზი მეგობრების დახმარებით შეძლო დიდი ხნის უნახავ სოხუმში შესვლა. უსაფრთხოების მიზნით, მის ვინაობას არ ვამხელთ.*



*იქ, სადაც ჩვენი ბიჭები დაიღუპნენ ჟიული შარტავასთან ერთად. ის შენობა ისევ ისე დგას, დანახშირებული. სანთელს მოვუკიდე. ჩემთვის არავის უთქვამს, არ ქნაო ეს... პირიქით, აფხაზი ბიჭები იდგნენ ჩემს გვერდით და მიცავდნენ.*

ერთი წლის წინათ ვიყავი სოხუმში.

ჯერ მინდა გზა გავიხსენო. ეს არის ტერიტორია, რომელსაც "канал"- ს ეძახიან. რატომღაც აფხაზებმა გალის რაიონს "ჩამოაჭრეს" ეს ტერიტორია და ოჩამჩირეს მიაკუთვნეს. სწორედ ამ "канал"-ის იქით ცხოვრება, ფაქტობრივად, აღარ არის.

სოხუმში ძალიან მალე, ორმოც წუთში ჩავედით. მანქანა 140-ით მიჰქროდა, რადგან ჩემს მეგობარ აფხაზებსაც ეშინოდათ ჩემი იქით გადაყვანა. ცხოვრება იწყება დრანდიდან. იქ, ჩვეულებრივ, ქუჩაში სხედან ქალები, რაღაცას ყიდიან, მაგრამ ეს არის მხოლოდ ცენტრალურ ტრასაზე. გზის იქით, სოფლები იქაც "მკვდარია".

ჩავედით სოხუმში. ვინც ნამყოფია, ემახსოვრება, რომ სოხუმში, ცენტრალურ გზაზე, რომელსაც ადრე Тбилисское шоссе ერქვა, იყო "კომკავშირის საკავშირო მეთხუთმეტე ყრილობის სახელობის" ტურბაზა. ამჟამად, იქ არის არაჩვეულებრივი ტურბაზა, რომელშიც არც ერთ ჩვეულებრივ აფხაზს ფეხი არ შეუდგამს. ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, შიგნით ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ, იქ არ შეგვესვლებაო.

თვითონ ქალაქში რაღაცეები კეთდება. "Маяк"-თან კაფე იყო - "Эльбрус"-ი - ჩვენი სტუდენტობის დროინდელი საყვარელი ადგილი, ის თურქებს აღუდგენიათ. იქვე პატარა, ერთსართულიანი რესტორანიც აუშენებიათ და ევრორემონტიც გაუკეთებიათ. კაფეს უკან იყო ქორწინების სახლი, უნივერმაღი, რესპუბლიკური ბიბლიოთეკა - ეს ყველაფერი დამწვარ-დანახშირებულია. გარშემოც ყველაფერი გაპარტახებულია, ტყე-ღრეა გადავლილი. არადა, ომამდე იქ იყო მშვენიერი პლაჟი, რომელიც ახლა აღარ არსებობს. იქ არავინ ბანაობს.

ჩემი მეგობრებისგან გავიგე, რომ ხალხს ეშინია რაღაცების აშენება. ბაზარშიც ვიყავი, რომელიც მხოლოდ ორ საათამდე მუშაობს.

ყველაზე მთავარი და ჩემთვის მნიშვნელოვანი რაც ვნახე, იყო ჩემი სტუდენტობის დროინდელი ტროლეიბუსი. ისეთი ძველი იყო, ისეთი ძველი...

შევხედე, ნომერი ეწერა "87". არადა, ეს სწორედ ჩემთვის ძალიან ნაცნობი ნომერი "2" მარშრუტის ტროლეიბუსი იყო, რომელიც ადრე "ახალი რაიონის" იქით დადიოდა. ძალიან მომინდა ტროლეიბუსში ასვლა და "გასეირნება", მაგრამ ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, რომ იქაურობა ძალიან მომსპარია და გული გეტკინება მისი ნახვითო...

ქალაქის ცენტრში მიმიყვანეს, იქ, სადაც ჩვენი ბიჭები დაიღუპნენ ჟიული შარტავასთან ერთად. ის შენობა ისევ ისე დგას, დანახშირებული. სანთელს მოვუკიდე. ჩემთვის არავის უთქვამს, არ ქნაო ეს... პირიქით, აფხაზი ბიჭები იდგნენ ჩემს გვერდით და მიცავდნენ.

ქალაქში გავიარე... ვდგავარ დიდ საათთან, გვერდით აფთიაქი იყო (ახლაც არის ის საათი და აფთიაქი). ვდგავარ ჩემთვის, ვათვალიერებ დიდი ხნის უნახავ ადგილებს და უცებ, ვიღაც შორტებში ჩაცმული კაცი მომიახლოვდა და დამტვრეული რუსულით მეკითხება, ბანკი სად არისო. ვაიმე, გავშრი...ხომ არა ვარ ამჯერად სოხუმელი...და არ ვიცი, სად არის ბანკი...მახსოვდა, ადრე, ბანკი ქართულ თეატრთან ახლოს იყო...მოვიხედე, დავინახე თეთრი შენობა და დაუფიქრებლად ვუპასუხე, - "Вот, там банк".

მერე ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, რომ იქ მართლაც დღესაც არის ბანკი...

მძიმე სანახავია სოხუმის ერთ დროს ლამაზი ქუჩები, აყრილი ქვაფენილი, ყველგან მიწაყრილები. მოკლედ, საშინელი სანახავია იქაურობა...

თვითონაც იციან, რომ არ უვლიან იქაურობას, მაგრამ სხვანაირად ცხოვრება ეტყობა არ შეუძლიათ. მახსოვს, სომხებთან წამიყვანეს სტუმრად. სოხუმიდან ხელმარცხნივ გავუხვიეთ, ზევით-ზევით ავედით. იქ არის სოფელი, სადაც სომხები ცხოვრობენ ქართველების სახლებში. იქაურობაც ძალიან იყო გაპარტახებული. ამის თაობაზე, ჩემმა მეგობარმა აფხაზმა ბიჭმა მითხრა: **"აქ რომ მეგრელები ყოფილიყვნენ (ხაზს უსვამს - მეგრელებს), ყველაფერი აყვავებული იქნებოდა. ჩვენ ზარმაცი ხალხი ვართ, ჩვენზე უფრო ზარმაცები სომხები არიან და ამიტომ ცხოვრობენ ასეთ პირობებში".**

ჩემმა მეგობრებმა ისიც მითხრეს, რომ სომხებს, რომლებიც ქართველების სახლებში ცხოვრობენ, ეშინიათ რამის გაკეთება, იმიტომ რომ ქართველები დაბრუნდებიან და მერე რა ვქნათო?! ეს შინაგანად მაინც იციან!

სომხებთან სტუმრობისას, ჩვენმა მასპინძელმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელსაც შვილი შეეძინა, ბოდიში მომიხადა, რომ ქართველების სახლში ცხოვრობდა (თვითონ წარმოშობით გუდაუთიდან იყო). ასეა, მთელ სოხუმში ცხოვრობენ სხვადასხვა რაიონებიდან, ძირითადად, მთიანი ადგილებიდან ჩამოსული ადამიანები. ერთი ჩემი კურსელი დავინახე, რომელიც წარმოშობით ტყვარჩელიდან იყო. ახლა კი სოხუმში, სხვის ბინაში ცხოვრობს. ამიტომ სოხუმი, ფაქტობრივად, თავკომბალას დაემსგავსა.

სოხუმში დავინახე რამდენიმე სახლი, სადაც, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული წესისამებრ, მიცვალებულების 3-4 სურათი ჰქონდათ ფანჯრებზე მიმაგრებული. რა თქმა უნდა, მძიმე სანახავი იყო ეს სურათები. მაშინ ვკითხე ჩემს მეგობრებს, თქვენ გჯერათ, რომ შევრიგდებით?!

მათ ასე მიპასუხეს: **"ჯერ ჩვენ, მებრძოლები უნდა შევრიგდეთ, ერთად დავსხდეთ და ერთმანეთს კაცურად დაველაპარაკოთ! ჩვენ ერთად გვიცხოვრია, გვისწავლია.**

**ქართველებს, ვინც აქ ცხოვრობდნენ და აფხაზებს გვაქვს შერიგების შანსი, ოღონდ ამისთვის უნდა შეიცვალოს არა მხოლოდ არძინბას კლანი (თუნდაც მადინა არძინბა და სხვები), არამედ ყველა, ვისაც "აწყობს" ეს ყველაფერი".**

კიდევ, დრო უნდა ყველაფერს, რომ ის ჭრილობები მოშუშდეს, ერთმანეთს რომ მივაყენეთ...

*ჩაიწერა ლელა მარგიანმა*

## მოპატიჟება ოაზისში

**ერებს შორის ნებისმიერი ურთიერთობა კულტურით უნდა დაიწყოს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ერებს შორის ურთიერთობის საშუალებად ომი მოგვევლინება.**

*დაურ ზანთარია*

აფხაზი მწერალი დაურ ზანთარია ჩემი მეგობარი იყო. ერთად დავამთავრეთ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სხვადასხვა სექტორი, ერთად გამოვეცით ჩვენი პირველი წიგნები ასევე სოხუმში, გამომცემლობა "ალაშარაში". დაური რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ის თავის მშობლიურ სოფელში - ტამიშში დაასაფლავეს, სოფელში, რომელიც ყველაზე მეტად არ დაინდო ომმა. დაური შესანიშნავი მწერალი და შესანიშნავი ადამიანი იყო, დიდი კულტურის მატარებელი კაცი. მას სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე მეუღლე დაეღუპა.

დაურს გულმა უმტყუნა, დაურს ქვეყნიერებამ უმტყუნა, ცხოვრებამ, დრომ. ის, მისი სოფელი, მისი სოხუმი, მისი აფხაზეთი ომმა გაწირა. არავინ დაგვინდო ომმა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ როდესმე ამ წერილის დაწერა მომიწევდა, და რომ მას დაურის სიტყვებს წავუმძღვარებდი, რომ ჩვენს შორის ომი ჩადგებოდა, რომ...

ომი და კულტურა მარად ებრძოდნენ ერთმანეთს. როდესაც ომი იმარჯვებდა, ის უმალ ტბორავდა მშვიდობის სივრცეს და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საბოლოოდ ღუპავდა კულტურას. გახსოვთ, ფელინის ერთ-ერთ ფილმში ბიჭუნა ეკითხება უფროსს - "სად მიდის მუსიკა, როდესაც მუსიკოსები დაკვრას ამთავრებენ?"

მართლაც, სად მიდის კულტურა, როდესაც მოდის ომი?!

სად მიდის ჩვენი კულტურა, რომელიც ყოველთვის, ნებისმიერ საუკუნეში, უსწრებდა ჩვენს ეკონომიკას, რომელიც ასევე ყოველთვის ჩვენს პოლიტიკაზე მაღლა იდგა?! კულტურა, რომელიც ვერა და ვერ გავხადეთ მეომარი, სათავე სისხლისღვრისა?!

სად, სად მიდის კულტურის მხსნელი სიბრძნე, როდესაც ომი მოდის?!

ომი ჩვენი ბედისწერა გახდა, ჩვენი ოდიოზური გამომცდელი.

ომმა გადაგვხვეწა გარდასულ საუკუნეებში, მოგვაძებნინა ნავთქურა, ლამფა, იზოლაციაში მოგვაქცია ჩვენცა და ჩვენი კულტურაც.

ჩვენ, კავკასიური, და არა მარტო კავკასიური საზოგადოებები, ყველანი, კონფლიქტშემქნელები და კონფლიქტვერმომგვარებელი საზოგადოებები გავხდით.

საერთოდ, ადამიანები, მართალია, დიდი ხანია ხიდან ჩამოვედით, მაგრა, ეტყობა, მაინც მის სიახლოვეს ვდგავართ.

ომმა ახალ ბაბილონში დაგვასახლა - ერთმანეთს თითქმის ვესაუბრებით კიდეც, მაგრამ ერთმანეთისა არ გვესმის.

აფეთქებების ტალღებმა შორს გადაგვტყორცნა, მიმოგვფანტა და ახლა შორიდან ხელებით ვესაუბრებით ერთიმეორეს, როგორც მეზღვაურები ზღვაზე - დროშებით.

ჩვენი ომები მეტად არაადამიანურები ხდებიან - რაც დრო გადის, მათ ბევრად მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება - მსხვერპლთა რიცხვი შეიარაღებულ ძალებში პოტენციურად მცირდება მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა ზრდის ხარჯზე.

ჩვენი ომების გამამძაფრებელია სიყალბეზე აგებული ღირებულებები.

კაცობრიობა ვერ ერევა დაგროვილ, ჭარბ ინფორმაციას, ვერ აწესრიგებს, ვერ იყენებს მას სასიკეთოდ. ეს ყოველივე აღრმავებს საზოგადოებების ფრაგმენტაციას, აცლის მათ მდგრადობას, საყრდენს. ასეთ დროს კულტურა უძლური ხდება მოაწესრიგოს ყოველივე, აღადგინოს ჰარმონია. კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ომის დროს პარალიზებულია ("როცა ქვემეხები ქუხან, მუზები ჩუმად არიან"). ომი ცდილობს მის ზომბირებასაც. ცდილობს, დაღუპოს მისი ფენიქსიზაციის უნარიც.

ომი ქმნის თავის ანტიკულტურას, ანუ სიტუაციას, როდესაც საზოგადოებებს, ხალხებს სიავე უფრო აახლოებთ, ვიდრე სიკეთე.

დიახ, ომი და კულტურა მარადი მტრები არიან და თუ დოსტოევსკის ცნობილი სიტყვების პერეფრაზირებას მოვახდენთ - "ომი და კულტურა ებრძვიან ერთმანეთს, ხოლო ბრძოლის ველი ადამიანის გულია".

ჩვენი კონფლიქტები ცხლად გაყინული კონფლიქტებია. ცხლად გაყინული კონფლიქტის მშვიდობა ომზე ნაკლებად საშინელი როდია. ის მშვიდობა დაქანცული, იმედი და ორიენტდაკარგული, აწმყოში ვერ გარკვეული ხალხითაა დასახლებული. ხშირად ისინი მდუმარე და თავაზიანად მოძულე საზოგადოებებს ქმნიან.

მათ სულიერ გადაგვარებაში დამნაშავე ისიცაა, ვინც ჩუმად იყო, ვინც არაფერს მოიმოქმედებდა ომის, როგროც მოვლენის, ქმედების გასანეიტრალებლად.

ჩვენი დღევანდელობა იმდენი მოულოდნელობებითაა დამუხტული, რომ მას ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ.

იქ, სადაც დიალოგი მთავრდება, იწყება ომი. იქმნება უზარმაზარი დანაღმული ველი. ველი, რომელზედაც ვერ გაისეირნებ, რა თქმა უნდა, ვერ გადაირბენ, ის კი არადა, მასზე ვერც გაივლი.

დიახ, დანაღმულ ველზე არ დადიან, იქ დრო ქვავდება.

იქ აკრძალული დრო არსებობს, აწმყო და მომავალი წარსულს ენივთებიან.

მართალია, ომმა წაგვართვა მშვიდობა, მაგრამ ვერ დაგვაკარგვინა მშვიდობის კულტურა.

ომმა შეგვიქმნა ვითარება, რომელიც, როგორც რენდგენში, წარმოაჩენს ჩვენი უკულტურობისა და უსინდისობის სიღრმეს და ამავე დროს ჩვენი კულტურისა და სინდისის სიმაღლეს.

გვაქვს, რა თქმა უნდა, გვაქვს, ის სიღრმე, მაგრამ, საბედნიეროდ, გვაქვს ის სიმაღლეც.

და იმ სიმაღლიდან შეუძლებელია, არ სცემდე პატივს ნებისმიერ რელიგიას და არ გიყვარდეს ნებისმიერი ხალხის კულტურა.

კულტურა ოაზისია ჩვენი კონფლიქტების, ჩვენი ერთმანეთისაგან გაუცხოების უდაბნოში.

კულტურა სულის მოსათქმელი ზონაა.

კულტურათა ურთიერთობა - ეს ოაზისში მოპატიჟებაა, ერთმანეთის გადარჩენა.

კულტურათა ურთიერთობა უმოკლესი გზაა ადამიანთა გულებისაკენ მიმავალი. ის უმოკლესი გზაა ქსენოფობიიდან ტოლერანტობამდე.

თუ გვინდა, ხვალ დიდ სიხარულად ვიქცეთ, დღეს დიდ ტკივილად უნდა გავერთიანდეთ. კულტურა ერთმანეთის სატკივარის პირველი თარჯიმანია.

მარადიული არც მტრობა არსებობს და არც მეგობრობა.

რა თქმა უნდა, დაპირისპირებულმა მხარეებმა არ უნდა დაიწყონ დიალოგი, როგორც მტრებმა: არც მეგობრებივით ისაუბრონ (არ გვინდა ყალბი პათეტიკა, ნუ მოვიტყუებთ თავს), მაგრამ მათ აუცილებლად უნდა წარმართონ დიალოგი, როგორც პოტენციურმა მეგობრებმა.

უპირველესი, რაც დაგვეხმარება ომით შეზღუდულ სივრცეში სამოქმედოდ, ეს კულტურაა. მართალია, ეს ხანდახან ნახევრად დაჭიმულ თოკზე სიარულს წააგავს, მაგრამ მაინც მოძრაობაა.

ჭეშმარიტი კულტურა ადამიანთა საერთო სამშობლოს ქმნის, რომლისთვისაც პოლიტიკური ფასეულობები არ არსებობს.

მხოლოდ ცივი გონება ცუდი თანამგზავრია რთული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში (ვთქვათ, კონფლიქტის დარეგულირება). ერთ-ერთი უპირველესი კომპონენტი, რომელიც რთული პრობლემების გადაწყვეტის საქმეს ემსახურება, დიალოგის, ადამიანთა ურთიერთობის პოეზიაა - სახალხო დიპლომატიას აქვს თავისი რომანტიული პერიოდები.

ჩვენს საზოგადოებებს ჰყავთ პოლიტიკურ-პარტიული ლიდერები, მაგრამ აკლიათ სინდისისა და უმაღლესი კულტურის მატარებელი წინამძღოლები, რომლებსაც ჭეშმარიტად უყვართ თავიანთი საზოგადოება და არანაკლებ პატივს სცემენ სხვებს; უყვართ ღმერთი და უყვართ ადამიანი და თავად წარმოადგენენ დიად მაგალითსა და დიად იმედს.

ვერც ბუდამ, ვერც ქრისტემ, ვერც მუჰამედმა... ვერ შეცვალეს თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ მათ შეცვალეს მთელი სამყარო, უფრო ადამიანური გახადეს იგი.

ნებისმიერი მუსულმანი შეიძლება გამხდარიყო ქრისტიანი, ბუდისტი... ასევე - პირიქითაც. ნებისმიერი ჩვენთაგანი, შესაძლებელია, ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებულიყო. ჩვენ, ჩვენი გონისთვის ჩაუწვდომელი, ღვთიური შესაძლებლობების შვილები ვართ. ჩვენ, ასევე ჩვენთვის შეუცნობელი ბუნების კანონების კომბინაციების შვილები ვართ, სამყაროს მოქალაქეები.

და ამავე დროს ჩვენი საზოგადოებების და ჩვენი კულტურების წარმომადგენლებიც.

მთავარი არ არის, სად და როგორ ლოცულობ. მთავარია, როგორ გიყვარს.

კაცობრიობა მაშინ ხდება უკეთესი, როდესაც თითოეული ჩვენთაგანი ხდება უკეთესი, სულით მაღალი, კულტურის რელიგიის მიმდევარი.

ჩვენ, ყველას, გვჭირდება ერთობლივი გამარჯვების მომტანი კომპრომისები.

ის, ერთობლივი გამარჯვებაც, აუცილებლად მომგვევლინება - როდესაც სუფთავდება სული, ის ერთ დროს აუცილებლად უნდა აყვავდეს.

ჭეშმარიტია ის განვითარებადი ფასეულობა, რომელიც მარტო შენთვის და შენი საზოგადოებისათვის კი არა, ყველასათვის ღირებული ხდება.

უმაღლესი კულტურა და უმაღლესი ზნეობა სინონიმებია.

ჩვენი საზოგადოებისათვის ყველაზე ტრაგიკულ დროში ჩვენი მფარველი და მარად გვერდით მდგომი - ჩვენი კულტურაა. ამიტომაც არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომელი კულტურიდან მოვდივართ, რომელი კულტურისანი ვართ.

ჩვენი კულტურები არ შეუქმნია არამიწიერ ძალებს, ის ჩვენ შევქმენით, ამიტომაც ჩვენს მიერვეა აღსადგენია ერთამენთთან ურთიერთობის მისეული კოდი და ის სივრცე, რომელიც განუყოფელია კულტურის მსოფლიოო სივრცისაგან.

ყველაფერი ვითარდება, კულტურაც; მაგრამ წარმოუდგენლად მიმაჩნია კულტურათა გაერთიანება. მაშინ დაკარგავს სხვადასხვა კულტურა თავისებურებას, განუმეორებლობას, მრავალფეროვნებას; დაკარგავს მრავალ საყრდენს და მხოლოდ ერთს დაეყრდნობა, გამარტივდება; დაკარგავს ხიბლს, გაუფერულდება.

ჩვენ ახალი სინათლის შენობა უნდა ავაგოთ კულტურათა დაშორიშებულ ხიმინჯებზე. ის იქნება მსოფლიოო შენობა, დიადი, იქნება ის საერთო შენობა, შენობა, რომელშიც ჩვენი ურთიერთობა მხოლოს კულტურის მაგიით წარიმართება.

ჩვენი ხსნა ერთმანეთშია.

ნებისმიერი საზოგადოების ხსნა სხვა საზოგადოებებშიცაა.

ჩვენ, ყველანი, დღევანდელი კრიზისიდან გამოსვლის ფორმულას ვეძებთ. ამ ფორმულის ელემენტები ყველა საზოგადოებაშია მიმოფანტული, ყველა ადამიანშია ჩასახული.

ამიტომაც ამ სამყაროში მიმობნეული ელემენტების პოვნა და ერთ ფორმულად მათი შეკავშირება, თითოეულ ჩვენგანზე დამოკიდებული, თითოეული ჩვენგანის საქმეა.

ამიტომაც ჩვენ ცალ-ცალკე ვერასოდეს შევძლებთ გავხდეთ ბედნიერები. ყველამ ერთად უნდა მოვახერხოთ ეს.

ერთმანეთზე უნდა ვილოცოთ.

ხასიდების ერთი საოცარი ლოცვა მახსენდება - "ღმერთო, მიშველე მე, ჩემს ოჯახს, ჩემს ქვეყანას უშველე, და თუ არ გვიშველი ჩვენ, ღმერთო, მაშინ სხვა მაინც იხსენი, სხვისი ოჯახი, მისი ქვეყანა".

ეს ლოცვა, ფაქტობრივად, მოსაპატიჟებელი ღია ბარათია.

"ერებს შორის ნებისმიერი ურთიერთობა კულტურით უნდა დაიწყოს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ერებს შორის ურთიერთობის საშუალებად ომი მოგვევლინება".

ეს უკვე დაურ ზანთარიას სიტყვების, მის მიერ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაწერილი.

მეც მისი სიტყვებით დავიწყე და ვამთავრებ კიდეც ჩემს წერილს, და მისივე სიტყვებით, მასთან ერთად მეც ოაზისში გეპატიჟებით!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

***გურამ ოდიშარია***
*2004 წლის ივლისი*

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## მუდამ გვახსოვდეს აფხაზეთი!

*მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში საინფორმაციო პროექტ "აფხაზეთის" პრეზენტაცია გაიმართა. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ კოალიცია "არასამთავრობოები აფხაზეთისთვის", ასოციაცია "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ" და აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი.*

ლელა მარგიანი

"აფხაზეთის კრიზისი ქართული სახელმწიფოსთვის მთავარი პრობლემა, ხოლო ახალი ხელისუფლებისთვის კი ერთგვარი საჯილდაო ქვაა. სამთავრობო ქმედებები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს შედეგს, თუკი საზოგადოება, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე დანარჩენ საქართველოში მცხოვრები, პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებაში ჩაერთვება. ამის წინაპირობა კი ინფორმირებულობა, კონფლიქტის ირგვლივ არსებულ პრობლემათა ცოდნაა. ვფიქრობთ, აუცილებელია, არასამთავრობო სექტორი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში უფრო აქტიური გახდეს," - აღნიშნა პროექტის კოორდინატორმა, ისტორიკოსმა გრიგოლ კალანდაძემ.

პროექტი გულისხმობს ერთგვარ "ინფორმაციულ ინტერვენციას". მართალია, ქართველებმა მრავალ მიზეზთა გამო, კონფლიქტთან დაკავშირებული საინფორმაციო ომი დიდი ხანია წავაგეთ, მაგრამ როგორც ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

პროექტის კოორდინატორის ინფორმაციით, მოხდება ქართულ-აფხაზური დიალოგის გაშლა, საზოგადოების ფართო ფენებისთვის აფხაზეთში და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესების რეალური სურათის ასახვა.

"გვინდა დავარწმუნოთ აფხაზური მხარე, რომ თუკი დღეს რეალურად არსებობს ცოდნა აფხაზეთზე, მის ისტორიაზე, კულტურასა და ეთნოგრაფიაზე, ამაში ლომის წილი ქართველ მეცნიერებს ეკუთვნით. ამავე დროს, ოცდამეერთე საუკუნეში ისეთი რეჟიმის არსებობა, რომელიც აფხაზეთში ჩამოყალიბდა, არის ანაქრონიზმი. ესაა ეთნოკრატიული რეჟიმი, ნახევრად კრიმინალური და, რაც მთავარია, იდეოლოგიურად მკაცრად რეგლამენტირებული, სადაც დემოკრატიული ღირებულებების აბსოლუტური უგულებელყოფა ხდება. ასეთი საზოგადოებები დიდხანს ვერ ძლებენ და იშლებიან, ხოლო ის იდეოლოგია, რომელიც მათთან არის გაბატონებული, ემსახურება არა აფხაზთა თვითმყოფადობის შენარჩუნებას, არამედ მათ, ფაქტობრივად, უბიხებისა და ჩერქეზების ბედს უმზადებს," - ითქვა პრეზენტაციაზე.

"ჟურნალი ძალიან მრავალფეროვანია თემატურად, შესულია როგორც ოფიციალური წრეების, ასევე მეცნიერებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებები. ჟურნალის კარი ღიაა ყველასთვის, განსაკუთრებით - აფხაზი ავტორებისთვის. სწორედ მათთვის მალე გამოვა ჟურნალის რუსული ვერსია, სადაც მათ თანამშრომლობის საშუალება ექნებათ," - განაცხადა პროექტში მონაწილე ასოციაციის "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ", ხელმძღვანელმა ქალბატონმა გიული ალასანიამ.

"აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ფუნქციონირებს ინტერნეტ-პროვაიდერული კომპანია, რომელიც ინტერნეტს მოსკოვის ერთ-ერთი ინტერნეტ-პროვაიდერის საშუალებით უკავშირდება. ასეთი კომპანიის მოღვაწეობა საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი ლიცენზიის გარეშე კანონის დარღვევაა. ეს სეპარატისტულ მთავრობას საშუალებას აძლევს, უკვე აფხაზეთიდანვე აწარმოოს საინფორმაციო ომი, რაც ამჟამად სეპარატისტთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს. არსებობს რამდენიმე ინტერნეტ-გამოცემა და ვებ-გვერდი, რომლებიც აფხაზური წრეების ინტერესებს ატარებს. ზოგი მათგანი ნეიტრალურია, უმეტესობა -აგრესიული და ტენდენციური. სამწუხაროდ, ამ ფონზე, აფხაზეთზე ორიენტირებული ქართული საინფორმაციო რესურსი პრაქტიკულად არ არსებობდა! ჩვენ შევეცადეთ, ცოტათი მაინც გამოგვესწორებინა შექმნილი სიტუაცია და შევქმენით ჟურნალის ინტერნეტვერსია, რომლის მისამართია : www.abkhazeti.ge."- აღნიშნა ჩვენთან საუბარში კოალიციის წევრმა, პროგრამისტმა დავით კვარაცხელიამ.

პროექტის მონაწილეების ვარაუდით, დაინტერესებული საზოგადოება საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალის მეორე ნომერს სექტემბერში მიიღებს.

## რატომ უნდა ვნახოთ „ცხრა"



ვარსკვლავები ბროდვეის გადასარჩენად იბრძვიან.

B3

## ღირსება გვავალდებულებს - 2:8



"ვიტ ჯორჯიას" თურმე საკუთარი დევიზიც აქვს: "ღირსება გვავალდებულებს!"

B4

## ჩხუბი ბაბა-იაგას გამო



თუ ზღაპრებს გადაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ ბაბა-იაგას უბედურება მისი უჩვეულობაა.

B8

ნომრის სტუმარი

# ასი პროცენტით ქართველი ფრანგი

ვერიკო თევზაძე

*მიუხედავად იმისა, რომ ბელგიაში დაბადებული და საფრანგეთში გაზრდილი თინა კერესელიძე ქართველი ემიგრანტების მესამე თაობას წარმოადგენს, ჩვენი საუბარი მაინც ქართულ ენაზე შედგა. მთელი თავისი ცხოვრება საფრანგეთისა და საქართველოს დაახლოებისთვის ზრუნავს. თინა კერესელიძის დიდი ბიძა, ევგენი გეგეჭკორი, ნოე ჟორდანიას დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ცნობილი მოვლენების გამო, მან მაშინდელ მთავრობასთან ერთად, აქაურობა დატოვა და საფრანგეთს შეაფარა თავი. მომდევნო საუკუნეში ქალბატონი თინას ბავშვობის განუყრელი მეგობარი და ემიგრანტების შთამომავალი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთიდან წინაპრების სამშობლოში საგარეო საქმეთა მინისტრად ბრუნდება. თინა კერესელიძე ამ ორ ნიშანდობლივ ფაქტს ისევ საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობას და, იმავდროულად, ჩვენი ქვეყნის წარმატებულ მომავალს უკავშირებს.*

**- საუბარი თქვენი წინაპრებით დავიწყოთ, რა გვარის იყვნენ ისინი?**

- ბებიაჩემი დედის მხრიდან იყო ელენე ლაღიძე (რევაზ ლაღიძის ბიძაშვილი), მისი ქმარი გახლდათ გრიგოლ მგალობლიშვილი. მამის მხრიდან ჩემი წინაპრები იყვნენ ბერეკაშვილები და პაატაშვილები. ორივე მხარე რეპრესიებში მოყვა. ლაღიძეებიდანაც და მგალობლიშვილებიდანაც ბევრი დაცხრილეს. სხვათა შორის, იგივე ბედი ეწია ჩემი ქმრის ნათესავებსაც – კერესელიძეებს და ამილახვრებს.

...კიდევ იმის თქმა შემიძლია, რომ მე ასი პროცენტით ქართველი ვარ!

**- ქართული თავიდანვე იცოდით, თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ შეისწავლეთ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ემიგრანტებში?**

- ერთიც იყო და მეორეც. ბავშვობაში მშობლები მე და ჩემს დაძმას ქართულად გველაპარაკებოდნენ. ვიდრე სკოლაში შევიდოდი, ფრანგულისა არაფერი გამეგებოდა. სკოლაში სწავლისას, პირიქით, ქართული მთლიანად გადავივიწყე, მხოლოდ სიტყვები შემომრჩა. მამა რომ გარდაიცვალა, ვიფიქრე: ახლა მარტო მე და დედა დავრჩით, დედას შემდეგ ვინ ილაპარაკებს ქართულად?.. ავდექი და ხელახლა დავიწყე წინაპრების ენის შესწავლა. უფრო გამიძნელდა, ბევრი ვიტანჯე, მაგრამ მაინც მოვახერხე.

**- ვიდრე საქართველოს საკუთარი თვალით იხილავდით, პარიზში, ალბათ, ხშირად შეხვედრიხართ საქართველოდან ჩასულ სტუმრებს. მათგან განსაკუთრებით ვინ დაგამახსოვრათ თავი?**

- ყველაზე მეტად სუხიშვილები დამამახსოვრდა. სამიოდე წლისა ვიყავი, ისინი პირველად რომ ჩამოვიდნენ ბელგიაში და ბაბუაჩემს ბრიუსელში ესტუმრნენ. სამოცდაათამდე კაცი იქნებოდა, ბაბუას უზარმაზარი სახლი ჰქონდა, დიდი ქეიფი მოაწყვეს. ამ ამბავს დღემდე ვიხსენებ, როგორც საოცარს. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა საქართველოდან ჩამოსულ ადამიანებთან. სუხიშვილებთან დედას და მამას ახლო კავშირები ჰქონდათ. თენგიზს ბავშვობიდან ვიცნობ. ასევე განსაკუთრებულად დამამახსოვრდა ანსამბლ "შვიდკაცას" სტუმრობები.

**- როდის გახდა საქართველო თქვენთვის განსაკუთრებულად ახლობელი? როცა პირველად თქვენი წინაპრების სამშობლოში გამოეშურეთ, ყველაზე უფრო მეტად რისი ნახვა გსურდათ და გაინტერესებდათ?**

- საქართველო ჩემთვის, ისევე როგორც საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტების დიდი ნაწილისთვის, ყველაზე ახლობელი 9 აპრილის შემდეგ გახდა. პირველად, როცა აპრილის მოვლენების შესახებ ტელევიზიით შევიტყვე, მთელი ღამე ტირილში გავათენე. ამის შემდეგ მიზნად დავისახე, ყველაფერი მეღონა, რათა როგორმე საქართველოს დავხმარებოდი.

1994 წელს გავხდი საქართველოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებების დაცვის და კვლევის კავკასიურ ცენტრში. შეძლებისდაგვარად ვიცავდი პოლიტპატიმართა უფლებებს.

9 აპრილის შემდეგ რუსების წინააღმდეგ რამდენიმე საპროტესტო გამოსვლა მოვაწყვე. ერთხელაც შევიტყვე, რომ სახელგანთქმულ კონგრესის დარბაზში რუსების კონცერტი უნდა გამართულიყო. კულისებში შევკრიბე ქართველები და ფრანგები, ტელევიზიებისა და გაზეთის ჟურნალისტები და რუს სამხედროებს იქ მინიმიტინგი მოვუწყვე. მართალია, კონცერტი ვერ ჩავშალე, მაგრამ ამის შესახებ საზოგადოებამ გაიგო. საფრანგეთის მასმედიის წარმომადგენლები იუწყებოდნენ, რომ ქართველებმა რუსებს პროტესტი გამოუცხადეს.

მართალია, ქართულ ტრადიციებზე აღვიზარდე, მაგრამ საბჭოთა კავშირი ჩვენთვის ჯოჯოხეთს ნიშნავდა. მაგალითად, ჩვენთან აკრძალული იყო რუსულ ენაზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუამ საინჟინრო განათლება პეტერბურგში მიიღო და ჩინებულად იცოდა რუსული, იგი ამ ენაზე არასოდეს საუბრობდა. თუ ვინმე შემთხვევით რუსულად დაელაპარაკებოდა, თავს ისე იჭერდა, თითქოს ვერაფერი გაიგო. საქართველო, პირიქით, ყოველთვის სამოთხედ წარმომედგინა.

როცა პირველად საქართველოში გამოვემგზავრე, ყველაზე მეტად რუსთაველის გამზირის ნახვა მინდოდა. ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმიდან ვიცოდი, რომ აქ ხალხი სეირნობდა, მუსიკის ხმები ისმოდა და ირგვლივ სილამაზე და მხიარულება სუფევდა. როცა ჩამოვედი, ღამე იყო და ქალაქი ჩაბნელებული დამხვდა. მეორე დღეს გავედი გამზირზე, მოწყენილი და დაბეჩავებული ადამიანების, სამათხოვროდ ხელგაწვდილი ხალხის დანახვაზე გული ჩამწყდა...

**- საფრანგეთის ემიგრანტთა საზოგადოება გამორჩეულად რომელ ქართულ დღესასწაულებს აღნიშნავდა? რამდენად ქმედითია დღეს ეს ორგანიზაცია?**

- განსაკუთრებულად ნინოობას და 26 მაისს ვზეიმობდით. სადღესასწაულო დღეებში ქართულ სიმღერებს და ცეკვებს ვასრულებდით, რასაკვირველია, ქართულ ეროვნულ ტანისამოსში ვიყავით გამოწყობილები.. ერთხელ ცნობილ თეატრში ქართული სპექტაკლიც კი დავდგით.

ზვიადის ხელისუფლების დამხობამდე ფრანგი ემიგრანტები სულ სხვანაირები, ქმედითები და იმედიანები იყვნენ. 1991 წლის მოვლენების შემდეგ ემიგრანტთა ორგანიზაცია, ისე როგორც მთელი ქართული საზოგადოება, ორ ნაწილად გაიხლიჩა. რომ გითხრათ, ფრანგი ემიგრანტები დღეს დიდი აქტიურობით გამოირჩევიან-მეთქი, მართალი არ ვიქნები.

**- როგორი განწყობით შეხვდით თქვენ და დანარჩენი ფრანგი ემიგრანტები ვარდების რევოლუციას?**

- ნოემბრის დღეებში, რამდენიმე ფრანგულ ფირმასთან ერთად, თბილისში საქმიან შეხვედრებს ვაწარმოებდი. მიხეილ სააკაშვილს უკვე ვიცნობდი, ადრე, საფრანგეთში მნიშვნელოვანი პიროვნება გავაცანი. ხელისუფლებამ არჩევნების შედეგების გაყალბება რომ დაიწყო, მჯეროდა, რომ ოპოზიცია გაიმარჯვებდა, მაგრამ მოვლენათა ასეთ განვითარებას მაინც არ ველოდი. ვარდების რევოლუცია საოცრება იყო. ჩემი თანმხლები ფრანგები გაოცებულები დარჩნენ აქციის მონაწილეთა სიმშვიდითა და წესრიგით. საფრანგეთში შეჩვეულები არიან, დემონსტრაცია რომ ტარდება, აუცილებლად რაღაცა უნდა დაინგრეს, რაღაცა უნდა გაფუჭდეს. თბილისში წარმოუდგენელი რამ ხდებოდა, დემონსტრანტთა შორის ბავშვებიც აქტიურობდნენ... და რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობა არ ირღვეოდა.

იმ დღეებში საფრანგეთიდან ჟურნალისტი არ ჰყავდათ გამოგზავნილი, ამიტომაც მთხოვეს, რომ ინფორმაციები მე გადამეცა. შაბათს, 22 ნოემბერს მთელი ღამე გავათიე, რადგან კვირისთვის პირდაპირი გადაცემა უნდა გამეკეთებინა და ვფრთხილობდი, მხედველობიდან რაიმე ფაქტი არ გამომრჩენოდა. მაქსიმალურად ვცდილობდი, ობიექტური ვყოფილიყავი. ინფორმაცია 23-ში, დღის ოთხი საათისთვის გადავეცი. მაშინ ვთქვი, რომ ყველაფერი არის მოსალოდნელი ოპოზიციის სასარგებლოდ-მეთქი. რამდენიმე წუთის შემდეგ ამერიკელი ჟურნალისტი (თბილისში მყოფი) სულ სხვა პროგნოზს აკეთებდა - თუ მომიტინგეები არ დაიშლებიან, ორშაბათს (24 ნოემბერს) ხელისუფლება, ალბათ, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებსო. უცხოელი ჟურნალისტები, ძირითადად, სასტუმროებში არიან ჩაკეტილები, მათ ხალხთან კონტაქტის საშუალება ნაკლებად ეძლევათ და ამიტომაც ხშირად წყდებიან რეალობას.

**- ვარდების რევოლუციას უცხოური, მათ შორის, ფრანგული პრესა დადებითად შეხვდა. როგორია დასავლური პრესის დამოკიდებულება საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი, შეინიშნება თუ არა კრიტიკული გამოსვლები?**

- რევოლუციის შემდეგ დასავლური პრესა ყოველმხრივ მხარს უჭერდა ახალ ხელისუფლებას. ყველა გაკვირვებული იყო მიხეილ სააკაშვილის პიროვნებით, იმით, რომ მან რამდენიმე ენა იცის, ძალიან პოპულარული და განათლებული ადამიანია. სააკაშვილს და მის მეუღლეს სანდრა რულოვსს ფრანგულმა პრესამ "კავკასიელი კენედებიც" კი უწოდა. წერილი ამ შესანიშნავი წყვილის შესახებ გაზეთის ოთხ გვერდს იტევდა. მოგვიანებით, დრო რომ გავიდა, დასავლურმა პრესამ საქართველოს ახალი ხელისუფლების კრიტიკა დაიწყო. მე არ მინდა, ჩვენი ხელისუფლება გავაკრიტიკო.

**- თუმცა, თქვენი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რასაკვირველია, მაინც გექნებათ. თანაც, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯანსაღი კრიტიკა ხელისუფლებას, უფრო სწორად, საქმეს ყოველთვის რგებს...**

- ჩემი აზრით, პირველ რიგში, ხელისუფლებამ ეკონომიკის სფეროში ცვლილებები უნდა განახორციელოს. პირადად მე რამდენიმე წელია ვცდილობ, რომ ფრანგი ინვესტორები საქართველოთი დავაინტერესო. შესაფერისი დარგებიც შევარჩიე. "ტასისის" პროგრამისგან დახმარება მივიღე და საქართველოში რამდენიმე ფრანგული ფირმა ჩამოვიყვანე. საქმეს ჯერჯერობით არც ისე კარგი პირი უჩანს.

კარგად მესმის, რომ ხელისუფლებას უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ არსებობს გადაუდებელი, პირველი რიგის ამოცანები. საქართველოში აუცილებლად უნდა შემოვიდეს ინვესტიციები. უნდა შეიქმნას ერთობლივი ქართული და უცხოური ფირმები, რათა ისე არ გამოვიდეს, რომ ყველაფერი უცხოელებმა შეიძინონ. ინვესტიციების მოზიდვა აუცილებელია. ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ შეღავათების დაწესება, რათა ინვესტორების დაინტერესება დიდი იყოს. დღეისათვის, გაურკვეველია, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს ამ მხრივ ხელისუფლება: დააწესებს თუ არა შეღავათებს, დაცული იქნება თუ არა უცხოელის ინვესტიცია. იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს გადადგამს.

კიდევ რა გითხრათ... ასპარეზზე ძალიან ბევრი ახალგაზრდა გამოვიდა. თავისთავად, ახალგაზრდული ასაკი სულაც არ ნიშავს იმას, რომ ამ ადამიანს გამოცდილება აკლია, მაგრამ... მაგრამ ქართველ პოლიციელებთან პირადად მქონდა საქმიანი ურთიერთობა და აღმოჩნდა, რომ ისინი ნამდვილად გამოუცდელები არიან.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გამოცდილები არიან ახალგაზრდა ეკონომისტები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ეს, ძირითადად, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ნაბიჯებს გადადგამენ ისინი ქართული ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად.

**- პოლიციელთან საქმიანი ურთიერთობა, მით უფრო, ჩვენს ქვეყანაში არც ისე სასიამოვნოა, რა შეგემთხვათ?**

- პლეხანოვზე გაქურდეს ჩემი ბინა, სადაც ქირით ვცხოვრობდი. ყველაფერი წაიღეს. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ მოპარულ ნივთებს შორის არის ჩემთვის უძვირფასესი რამ - მეუღლის მიერ (იგი უეცრად გარდაიცვალა ერთი წლის წინ) ნაჩუქარი მარგალიტის მძივი... უკვე ორი კვირა გავიდა და საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

**- თქვენ, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ასპროცენტიან ქართველს, რამდენი შვილი გყავთ და რამდენი პროცენტით არიან ისინი ქართველები?**

- ყოველთვის ხუთ შვილზე ვოცნებობდი. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ქალიშვილი მყავს. ნესტანი იურისტია. ერთ-ერთ ფირმაში მუშაობს. კარგი სპეციალისტია, ძალზე დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს და ეს, ცოტა არ იყოს, არ მომწონს.

ჩემი ქალიშვილის შესახებ ერთი სასიამოვნო ამბავი მინდა გიამბოთ. როცა იგი დისერტაციას იცავდა, ასეთი თემა შეარჩია –საფრანგეთის და საქართველოს კანონმდებლობები ერთმანეთს შეუდარა. ეს ჩემთვის დიდი საჩუქარი იყო, მით უფრო, რომ ყველაფერი თავად მოიფიქრა, მე მასზე არანაირი ზემოქმედება არ მომიხდენია.

**- და ბოლოს, ასეთი აქტიური ქალბატონი რომელიმე პარტიის წევრიც ხომ არ ბრძანდებით?**

- დიახ, მაგრამ ვიდრე ამაზე გეტყოდეთ, ასეთ შემთხვევას გავიხსენებ. ნესტანი რომ შემეძინა, მიუხედავად ჩემი აქტიური ბუნებისა, ვიფიქრე, ჩემს შვილს ძიძას ხომ არ გავაზრდევინებ-მეთქი და სამსახურს თავი დავანებე (გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი). მაშინ ბევრი მეუბნებოდა, რომ სისულელეს ვაკეთებდი. მე მაინც ჩემი არ დავიშალე და ვიდრე ნესტანი ათი წლისა არ გახდა, სახლში ვიჯექი.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიას, გარკვეულ პერიოდში შირაკის პარტიაში შევედი. იმ პერიოდში შირაკი ოპოზიციაში იყო. ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ ვიცოდი, ეს საქართველოს გამოადგებოდა. ყველამ იცოდა, რომ მე ქართველი ვიყავი. სასაცილო ის იყო, რომ სხვადასხვა შეხვედრებზე ფრანგები სტუმრებს ჩემს თავს, ემიგრანტთა მესამე თაობის წარმომადგენელს, ასე აცნობდნენ – ჩვენი ქართველი მეგობარი. ტყუილად კი არ ვთქვი საუბრის დასაწყისში: მე ასი პროცენტით ქართველი ვარ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*როცა პირველად საქართველოში გამოვემგზავრე, ყველაზე მეტად რუსთაველის გამზირის ნახვა მინდოდა. ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმიდან ვიცოდი, რომ აქ ხალხი სეირნობდა, მუსიკის ხმები ისმოდა და ირგვლივ სილამაზე და მხიარულება სუფევდა.*






## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"მომხიბვლელობის კანონი"
დას: 16:00; 18:00; 22:00 სთ.

"გოგონა ჯერსიდან"
დას: 20:00 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ უნიკალურ ექსპონატთა ასლების გამოფენა
I დარბაზი

ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა
II დარბაზი

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ძველი გალერეა"**
ალი ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**"ორიენტი"**
ჟურნალ "არტ-მარკეტის" საპრეზენტაციო გამოფენა

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
გამოფენა "კალეიდოსკოპი"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირინა რაზმაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# სტრატეგიული ადგილი ქართული პეიზაჟისათვის

თეონა ჯაფარიძე

"შერატონ მეტეხი პალასი" უკვე წლების მანძილზე მუდმივმოქმედ ექსპოზიციებს მასპინძლობს: დღეს აქ პეიზაჟისტისა და ხატმწერის – რეზო ადამიას ნამუშევრებია გამოფენილი. სასტუმროს ფოიეში კავკასიონის, ალაზნის ველისა თუ სვანეთის ხედების ფერწერული ვარიაციებია მიმოფანტული. ნამუშევრებსა და ფუნჯის მონასმებს აშკარად ეტყობა ავტორის ოსტატობა და ფერწერის ტრადიციული სკოლის მიმდევრის ხელწერა. საგამოფენოდ პეიზაჟების შერჩევა – ეს სასტუმროს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნიუანსია: "თავდაპირველად ბატონმა რეზომ საგამოფენოდ თავისი ცნობილი პარიზული პერიოდის ნამუშევრები შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ ქართული პეიზაჟი ვამჯობინეთ, რადგან შერატონ მეტეხი პალასის გამოფენები ძირითადად უცხოელებზე და მათ ინტერესებზეა გათვლილი," – მიხსნის სასტუმროს დირექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში ქალბატონი თამარ ვარდიაშვილი.

ვიდრე "შერატონ მეტეხი პალასის" ექსპოზიციას დავუბრუნდებოდეთ, ცოტა რამ თავად მხატვრის ბიოგრაფიიდან: მისი ნამუშევრები მრავალ უცხოურ კოლექციასა თუ მუზეუმში ინახება. ბოლო სამი წელია ის პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობს. მასზე ფრანგებმა განაცხადეს, რომ "ამ ქართველმა მხატვარმა პარიზულ პეიზაჟს ზუსტი გასაღები მოუძებნა." სწორედ ამიტომ მასთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე, მხატვარმა დაკვეთით, პარიზთან ახლოს ზღვის პეიზაჟების სერია შექმნა.


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ქართული პეიზაჟებისთვის კი, თამარ ვარდიაშვილის თქმით, "სასტუმროს ყველაზე სტრატეგიული ადგილია შერჩეული: - აქ განთავსებული ოფისები თუ საკონფერენციო დარბაზები მუდმივ გზაჯვარედინს ქმნიან.*

პარიზის გარდა მხატვრის სუსტი წერტილი ფიროსმანის ფენომენია. სასტუმროს ფოიეში გამოფენილ ნამუშევართა უმეტესობა სწორედ ფიროსმანს ეძღვნება: "ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი", "ნიკო ფიროსმანაშვილის აღდგომის ღამის სიზმარი" – ასეთია მის მიერ შექმნილი ტილოების სახელწოდებები.

პეიზაჟების შესაქმნელად მხატვარი უფრო მეტად ზამთარს არჩევს. ამიტომ სასტუმროს ფოიეში უფრო ცივ ტონებში შესრულებული დათოვლილი კავკასიონი და სვანეთის პეიზაჟები სჭარბობს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი თავისი ხატწერითაც ცნობილია, ექსპოზიციაზე მხოლოდ ერთი – წმინდა მიქაელის ხატია წარმოდგენილი. ავტორი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს სასტუმროს ფოიეში მათ გამოფენას. საერთოდ ის ასლებზე არ მუშაობს, მაგრამ კანონიკის ჩარჩოებში წმინდანთა საკუთარ ვარიაციებს გვთავაზობს.

ქართული პეიზაჟებისთვის კი, თამარ ვარდიაშვილის თქმით, "სასტუმროს ყველაზე სტრატეგიული ადგილია შერჩეული: - აქ განთავსებული ოფისები თუ საკონფერენციო დარბაზები მუდმივ გზაჯვარედინს ქმნიან, სადაც მუდმივად მოძრაობენ საქართველოს დედაქალაქში საქმიანი ვიზიტით ჩამოსული, ძირითადად, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები. ეს ადამიანები, რომლებიც ხშირად გვერდს უვლიან გალერეებს, უნებლიეთ სასტუმროს ფოიეში ყავის სმის დროს ჩვენი მხატვრების ფერწერისა თუ გრაფიკის წინაშე აღმოჩნდებიან და ძალაუნებურად ნამუშევრის შეძენის სურვილიც ებადებათ. ეს "შერატონ მეტეხი პალასის" ფსიქოლოგიურ-სტრატეგიული ადგილია."

ამჯერად ეს ადგილი ქართულმა პეიზაჟმა დაიკავა.

# ახალგაზრდა ჯეიმს ბონდი

ორლანდო ბლუმი, რომელიც ამასწინათ ბრიტანეთის ყველაზე სექსუალურ მსახიობად აღიარეს, მალე ჯეიმს ბონდის როლში მოგვევლინება. ახალი ფილმი ჯეიმს ბონდის შესახებ საიდუმლო აგენტის ახალგაზრდულ თავგადასავლებზე მოგვითხრობს. მასმედიაში უკვე გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ორლანდო ბლუმმა უკვე დადო კონტრაქტი კინოკომპანია Miramax-თან; ვარაუდობენ, რომ ფილმის გადაღებები ნოემბერში დაიწყება. 27 წლის ბლუმი მარტო იღბლიანი მსახიობი კი არა, ძალიან სიმპათიური მამაკაციცაა. დღეს ის უფრო პოპულარულია, ვიდრე ჯუდ ლოუ, ჰიუ გრანტი და ევან მაკგრეგორი.

ბლუმის კარიერამ მას შემდეგ გაშალა ფრთები, რაც ის "ბეჭდების მბრძანებელში" გადაიღეს. ამას მოჰყვა კიდევ ერთი ბლოკბასტერი - "კარიბის ზღვის მეკობრეები", სადაც მას ცნობილი ჯონი დეპი უწევდა პარტნიორობას. ბოლოს კი ორლანდო ბლუმი ბრედ პიტთან ერთად გახმაურებულ "ტროაში" გამოჩნდა.

ამ რამდენიმე ხნის წინ ჟურნალმა People-მა გამოაქვეყნა "პლანეტის 50 ყველაზე ლამაზი ადამიანის სია". ამ სიაში ორლანდო ბლუმის სახელიც მოხვდა. ასე რომ, ბლუმის პოპულარობა დღითი დღე იზრდება. თუმცა, თავად მსახიობი ამბობს, რომ მას ფული და სახელი არ აინტერესებს, ქალები ყველაფერს ურჩევნია: "ფული არ მადარდებს. სიმართლე რომ გითხრათ, თუ სცენარის მიხედვით ბევრი კოცნა მომიწევს, შეგიძლიათ ფული არც გადამიხადოთ," - განაცხადა მან ერთ-ერთ ინტერვიუში.



# „პონტო" - პირველად შავ ზღვაზე

თამარ მურვანიძე

ამ ფესტივალზე ჩვენში უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ, თუმცა რიგ გარემოებათა გამო, აქამდე მისი ჩატარება ვერ მოხერხდა. წლეულს შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი "პონტო" პირველად გაიმართება აჭარის სანაპიროზე. ფესტივალის ორგანიზატორები საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი "კავკასია" და კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტი არიან.

გონიოს ციხე, კვარიათის სანაპირო, სარფი, ბათუმი – ასეთია მარშრუტი ფესტივალისა, რომელიც 23-19 აგვისტოს არის დაგეგმილი. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ კულტურისა და სპორტის მოღვაწეები. შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალს ბევრი სტუმარი ეყოლება: **ელდარ და გიორგი შენგელაიები, გოგიტა ჭყონია, ლევან ანჯაფარიძე, მურმან ჯინორია, ზაზა პაპუაშვილი, ნანუკა ხუსკივაძე, ნინო კასრაძე, გია აბესალაშვილი, დუტა სხირტლაძე, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, დათო ტურაშვილი, დავით დეფი გოგიბედაშვილი, დათო მაღრაძე, აკა მორჩილაძე, რეზო თაბუკაშვილი, კოტე ყუბანეიშვილი, ნანა ალექსანდრია, ელდარ კურტანიძე, გიორგი კანდელაკი, ძმები არველაძეები, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, კახი კალაძე, ლელა მესხი, იური მეჩითოვი, გურამ წიბახაშვილი, გუგა კოტეტიშვილი, ლევან ჭოლოშვილი, "33ა", "ზუმბა", "სოფტ ეჯექტი", "მწვანე ოთახი", ბაკურ ბურდული, მერაბ სეფაშვილი, კახა ცისკარიძე, ავთო ცქვიტინიძე, მაკა ასათიანი და სხვები.**

ამ ღონისძიების მიზანი მხოლოდ ქართული კულტურისა და სპორტის პოპულარიზაცია არ არის. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მომავალში ფესტივალი ტურიზმის განვითარებასა და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ბიზნეს-ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და მალე, ალბათ, საერთაშორისო ხასიათსაც მიიღებს. აღნიშნული ღონისძიებით უკვე დაინტერესდა სპონსორების ერთი ნაწილი: "ჯეოსელი", GPI ჰოლდინგი, "კასტელი", BAT, "ქართუ" ბანკი, "თელიანი ველი".


თამარ სუხიშვილის ფოტო

*ამ და კიდევ სხვა შემოქმედებს შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალზეც ვიხილავთ.*

ფესტივალის ე.წ. მოსამზადებელი სამუშაოები აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყება. თავის მხრივ, ესეც ძალიან საინტერესო ჩანაფიქრი ჩანს: მოეწყობა გონიოს ციხის დასუფთავების აქცია-შეჯიბრი, რომელშიც ძირითადად სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას, ცოტა მოგვიანებით კი მათ მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და სპორტსმენებიც შეუერთდებიან. მერე სპეციალურ ბანაკსაც ააშენებენ ფესტივალის მონაწილეთათვის... ამასობაში კი ფესტივალის დაწყების დროც დადგება.

"დილის გამამხნევებელი სარეკლამო აქცია", ქართველ მხატვართა და ფოტოხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ხალხური და საესტრადო მუსიკის კონცერტი ზღვის სანაპიროზე, მოდების ჩვენება, დისკოთეკა, თეატრალიზებული სანახაობები, ვიქტორინები, "თეატრალური სარდაფის" სპექტაკლები, და კიდევ ბევრი სხვა რამ – აი, ასეთია ფესტივალის პროგრამა. იქნება სპორტული შეჯიბრებებიც, აი ისეთი, ადრე სკოლის მოსწავლეებისათვის "მხიარული სტარტები" რომ იმართებოდა ხოლმე - ოჩოფეხებით რბოლა, ბაგირის გადაწევა, ტომრებით ხტუნვა... დაგეგმილია უფრო სერიოზული ტურნირებიც, მაგალითად, ბლიც-შეჯიბრი ჭადრაკში. ისე ჩვენს ხელოვანებს სპორტულ შეჯიბრებებზე მეტად, ალბათ, "ღვინის დეგუსტაციის აქცია" გაახარებთ, ამ აქციის წყალობით კიდევ ერთხელ მიეცემათ საშუალება, დაამტკიცონ, რომ ღვინოშია ჭეშმარიტება და ლუდის სმაში შეჯიბრშიც დიდი ხალისით მიიღებენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ფესტივალზე ლიტერატურული შეხვედრა-საღამოებიც მრავლად გველოდება. ამ საღამოების დროს ექსპრომტად დაწერილი თუ დახატული ნამუშევრების კონკურსიც გაიმართება...

ერთდღიან აქციებთან ერთად ფესტივალის პროგრამაში ჩართულია ყოველდღიური აქციებიც, მაგალითად, ასეთი - "ნაგვის ბუდეს არ დავტოვებთ", გასაგებია, რასაც გულისხმობს. სანაპირო ზოლის დასუფთავებაზე მონაწილენი ფესტივალის დასრულების შემდეგაც თავად იზრუნებენ.

შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი "პონტო" საქველმოქმედო ფესტივალიცაა. მისი შემოსავლების ნაწილი "კავკასიის" ახალგაზრდობის დასაქმების პროგრამას, გონიოს ციხის არქეოლოგიურ გათხრებსა და გარემოსდაცვითი კამპანიების განხორციელებას მოხმარდება.

როგორც ხედავთ, წინ საინტერესო ამბები გველის.

# მური პლაგიატში დაადანაშაულეს

მაიკლ მურის ცნობილი ფილმი "ფარენჰეიტი 9/11", რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დოკუმენტური ფილმების რეკორდი მოხსნა და აშშ-ს კინოგაქირავებას 103 მილიონი დოლარი მოუტანა, კვლავ სკანდალის ობიექტი ხდება. ავსტრალიელმა რეჟისორმა ჯორჯ გიტოსმა ის პლაგიატში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მურმა თავის ფილმში უნებართვოდ გამოიყენა 17 კადრი გიტოსის კინოსურათიდან "ომის საუნდტრეკი", რომელიც მოგვითხრობს, თუ რა როლი უჭირავს მუსიკას ერაყში მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცების ცხოვრებაში. "მურმა, შესაძლოა, იფიქრა, რომ მე ბედნიერი ვიქნებოდი იმით, თუ ის ჩემი კადრებით ისარგებლებდა," - ამბობს გიტოსი. ავსტრალიელი რეჟისორი მხოლოდ ერთ რამეს ითხოვს, რომ მაყურებელმა ნახოს მისი ფილმი და ამის შემდეგ შეაფასოს მურის სურათი. "ჩემი ფილმი, მურის სურათისგან განსხვავებით, ობიექტურია," - ამტკიცებს იგი.

მაიკლ მურისთვის ასეთი საჩივრები უცხო ნამდვილად აღარ არის. მისი ფილმის "წყალობით" საქმე უფრო სერიოზულ ბრალდებამდეც მისულა. მას სასამართლოშიც კი უჩივლა ჯეიმს ნიკოლსმა ცილისწამების, პირად ცხოვრებაში ჩარევისა და სულიერი ტრავმის მიყენებისათვის. თითოეული პუნქტის დარღვევისათვის ბრალდებულმა რეჟისორისგან მორალური კომპენსაცია მოითხოვა - 10-დან 20 მილიონ დოლარამდე. ჯეიმს ნიკოლსი ტერი ნიკოლსის ძმაა. ეს უკანასკნელი იღებდა მონაწილეობას 1995 წელს ოკლაჰომას აფეთქებაში. თავის დროზე მანაც უჩივლა მურს და თქვა, რომ რეჟისორმა მოტყუებით გადაიღო ის დოკუმენტურ ფილმში - "ბოულინგი კოლუმბინასათვის".

გახსოვთ, ალბათ, ამერიკელ მწერალს, რეი ბრედბერისაც ჰქონდა პრეტენზიები მურის მიმართ. ბრედბერი ამბობდა, რომ რეჟისორმა გამოიყენა მისი რომანის სათაური - "451 ფარენჰეიტის შკალით", რა თქმა უნდა, ნებართვის გარეშე. ბრედბერის რომანი 1953 წელს გამოქვეყნდა, 1966 წელს კი გამოვიდა ფილმი ამ რომანის მიხედვით, რომლის ეკრანიზაციაც ფრანსუა ტრიუფოს ეკუთვნის. "სათაური მომპარა და ციფრები შეცვალაო," - აღშფოთება ვერ დამალა განრისხებულმა ბრედბერიმ, თუმცა საქმე სასამართლომდე არ მისულა, ცნობილმა მწერალმა, უბრალოდ, პირდაპირ თქვა თავისი სათქმელი - ისე, მეც შემეძლო დავმჯდარიყავი და დამეწერა რომანი სათაურით - "ქარწაღებულნი", მაგრამ ამას არ ვაკეთებ, ეს ხომ უწესობააო.

# რატომ უნდა ვნახოთ „ცხრა"

## ვარსკვლავები ბროდვეის გადასარჩენად

ბროდვეი - ეს ის ადგილია, რომელსაც ნიუ იორკში სტუმრად ჩასული ყველა ადამიანი უნდა ესტუმროს.

ბროდვეის მოუნახულებლად ქალაქის დატოვება ისეთივე სირცხვილია, როგორც თავისუფლების ქანდაკების უნახავად წასვლა.

შესაბამისად, ბროდვეის სპექტაკლების გასაკეთებლად სულ უფრო მეტ თანხებს ხარჯავენ. თუმცა, ბოლო დროს, რეჟისორებს ცუდი დღე უდგათ - საწარმოო ხარჯები ისე გაიზარდა, რომ სპექტაკლის დადგმა ნიუ იორკში არნახულად რთული გახდა.

რა ხერხს მიმართავენ ხოლმე ამ დროს? პასუხი მარტივია - ჩადებული თანხების ამოსაგებად, აფიშებზე რაც შეიძლება მყვირალა და ცნობილ სახეს გამოსახავენ ხოლმე და კიდევ უფრო მეტი მაყურებლის მიზიდვას რიგით სპექტაკლზე ასე ახერხებენ. მართლაც და, რაც არ უნდა უცნობი და არაფრისმთქმელი იყოს წარმოდგენის სათაური, როცა აფიშაზე იგივე ანტონიო ბანდერასის სახელი წერია, სალაროსთან ყოველთვის რიგი დგება - თეატრალურ ამპლუაში სიმპათიური კინომსახიობის ხილვა ყველას სურს.

მეტიც, დიდ ვარსკვლავზე ფსონის დადება ბროდვეის პროდიუსერებისთვის ისეთი ჩვეული ხერხი გახდა, რომ "ნიუ იორკ პოსტმა" სპეციალური გამოკითხვაც ჩაატარა და ყველაზე "მომგებიანი" მსახიობების ნუსხა გამოაქვეყნა. შეფასების კრიტერიუმი რამდენიმე შტრიხისგან შედგებოდა: სალაროდან შესული თანხა, აღტაცების დონე, როდესაც მათი სპექტაკლში მონაწილეობის შესახებ ირხევა ხმა და რეცენზიები.

ასე რომ, გაზეთის მიერ შედგენილი ვარსკვლავების ცხეული ათეული ბროდვეიდან კრიტიკოსების აღფრთოვანებასაც ახერხებს და ბევრი ბილეთის გაყიდვასაც, თანაც სპექტაკლის განრიგიდან მოხსნამდე:

**1-2: მეთიუ ბროდერიკი და ნათან ლეინი**

ეს ორი მსახიობი ბროდვეის უგვირგვინო მეფეებადაც შეიძლება დავსახოთ. როდესაც სალაროებზე მიდგება საქმე, ამ ორს ვერავინ შეედრება, ერთად და ცალ-ცალკეც. თუმცა, განსაკუთრებულად წარმატებულნი ისინი დუეტში არიან. ვგულისხმობთ სპექტაკლს "პროდიუსერები". ამ წარმოდგენაზე ბილეთის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო, თუ ვიპ-ადგილებისთვის 480 დოლარს არ გაიმეტებდა ვინმე. წყვილის არნახულ წარმატებას ბროდვეიზე მომავალ წელსაც გამოიყენებენ. ბროდერიკსა და ლეინს ერთად ათამაშებენ სპექტაკლში "უცნაური წყვილი".

**3. ჰიუ ჯეკმანი**

ყველას ახსოვს "ხმალთევზა", "ადამიანი-იქსი", "ვან ჰელსინგი", "ქეითი და ლეოპოლდი" და კიდევ რამდენიმე სხვა რომანტიკული კომედია, რომლებმაც ავსტრალიელი სიმპათიური მსახიობი ჰოლივუდის ვარსკვლავად აქცია. სწორედ ჯეკმანის ეს ვარსკვლავობა გამოიყენეს ბროდვეიზე და ის სპექტაკლში "ბიჭუნა ოზიდან" ათამაშეს, რის შემდეგაც კინო-მსახიობი თეატრალური მიუზიკლების წამყვან გმირად იქცა.

მეტიც, ამ ეტაპზე ჯეკმანი გაცილებით უფრო პოპულარულია როგორც თეატრის მსახიობი, რადგან მისი ბოლო ეკრანული ნამუშევარი "ვან ჰელსინგი" შეუმჩნეველი დარჩა, "ბიჭუნა ოზიდან" კი ჯერაც სალაროების რეკორდებს ხსნის. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ჰიუს დამსახურებაა, თვითონ სპექტაკლს ხომ საშინელი რეცენზიები აქვს. ამიტომაც, "ნიუ იორკ პოსტის" ჟურნალისტი შენიშნავს, წარმოიდგინეთ, როგორი წარმატებული იქნებოდა ჯეკმანი კარგ სპექტაკლში, როცა ცუდში ასე შესანიშნავად თამაშობსო.

**4. მერილ სტრიპი**

ეს უნიჭიერესი ჰოლივუდელი უკვე დიდი ხანია, თეატრის სცენაზე იშვიათად ჩნდება, მაგრამ როცა კი პროდიუსერებს ყველაზე მომგებიანი ქალი მსახიობის დასახელებას სთხოვენ, უკლებლივ ყველა მერილ სტრიპის სახელს ამბობს. "მისი კონტრაქტის მოპოვება ის არის, რაზეც ღამ-ღამობით უნდა იოცნებოს კაცმა", - ასმბობს ერთ-ერთი მათგანი.

2001 წელს მერილ სტრიპმა "თოლიაში" ითამაშა და საოცარი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ჯერჯერობით, მისი თეატრალური გეგმების შესახებ არაფერია ცნობილი.

**5. გლენ ქლოუზი**

ათი წლის წინ მან ისეთი ფურორი მოახდინა "სანსეტ ბულვარში", რომ ქლოუზი დღემდე ახსოვთ და,



REUTERS

*ანტონიო ბანდერასი სტუმრად ბროდვეიზე, სპექტაკლში "ცხრა", ცხრა ქალის გარემოცვაში*

როგორც ხედავთ, ცხელ ხუთეულშიც კი შეჰყავთ. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელი ქალბატონი ბროდვეის სცენაზე მას შემდეგ არ გამოჩენილა. თუმცა, ცოტა ხანში გლენ ქლოუზი ბროდვეის კვლავ დაუბრუნდება ის სტივენ სონდჰეიმის მიერ გადაკეთებულ A Little Night Music-ში ითამაშებს.

**6. კევინ კლაინი**

ლინკოლნის ცენტრის შარშანდელი თეატრალური სეზონის მთავარი მოვლენა, არც მეტი, არც ნაკლები, კლაინის ფალსტაფი იყო "ჰენრი მეოთხედან". მისი მეგობარი მერილის მსგავსად, კევინიც თეატრის სცენაზე ბოლო ხანს იშვიათად ჩნდება ხოლმე. პროდიუსერები კი ამაოდ უგზავნიან შეთავაზებას შეთავაზებაზე, ის ყველაფერზე უარს ამბობს, რის გამოც მეტსახელიც შეარქვეს - კევინ დიქლაინ (De-Kline - ჟღერს, როგორც ინგლისური ზმნა "უარის თქმა").

**7. მეგი სმიტი**

ინგლისურენოვან სამყაროში მას ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად აღიარებენ. ბოლოს მეგი ბროდვეიზე 1991 წელს გამოჩნდა სპექტაკლში Lettice and Lovage, რისთვისაც "ტონიც" მოიპოვა. სამაგიეროდ სმიტი ხშირად ჩნდება ლონდონის უესტ ენდში, სადაც ის ერთ-ერთი იმ იშვიათ მსახიობთაგანია, რომელთა გამოც მაყურებელი სპექტაკზლე დასასწრებ ბილეთს ყიდულობს.

**8. ალ პაჩინო**

თეატრალური კრიტიკოსების ნაწილმა დაასკვნა, რომ პაჩინოს მეფე ჰეროდე "სალომეადან", უბრალოდ, ჩავარდნილი როლი იყო, მაგრამ მაყურებელმა სწორედ დიდი ჰოლივუდელის გამო წარმოდგენები ანშლაგით ჩაატარა. მოკლედ, პაჩინო პუბლიკის ფავორიტია. მას ახლა "ოიდიპოს მეფეში" მონაწილეობა სურს.

**9. ვანესა რედგრეივი**

ამ ქალბატონს ინგლისის ყველაზე სახელგანთქმული მსახიობის ტიტულს მეგი სმიტი და ჯუდი დენჩი ეცილება. მაგრამ ვანესა მაინც შეუდარებელია. შარშან ზაფხულს სპექტაკლისთვის Long Day's Journey Into Night მან "ტონიც" მოიპოვა, სპექტაკლები კი ანშლაგებით ჩაატარა.

**10. ქეთლინ თერნერი**

ორი წლის წინ მან "კურსდამთავრებულში" ითამაშა და, შეიძლება ითქვას, რომ თავისი გამოჩენით, სპექტაკლი ჩავარდნისგან იხსნა. მეტიც, "კურსდამთავრებული" ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი წარმოდგენა გახდა. ბროდვეის თერნერი გაზაფხულზე დაუბრუნდება, თანაც, საკმაოდ საინტერესო როლით: ის სპექტაკლში "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?" მართას როლს შეასრულებს.

**ერთჯერადი სასწაულები -** ახლა კი ზედაპირულად გადავხედოთ იმ მსახიობთა სიას, რომლებიც ბროდივეზე ერთხელ გამოჩნდნენ და ფინანსური სასწაული მოახდინეს. მათ უკან დაბრუნებაზე ყველა პროდიუსერი ოცნებობს:

**ნიკოლ კიდმანი** - "ლურჯი ოთახი". ამ სპექტაკლში შესრულებული როლისთვის მისი ფოტო ჟურნალ "ნიუზვიქის" გარეკანზეც დაბეჭდეს. შიშველი თუ ჩაცმული, ნიკოლ კიდმანი, როგორც ჩანს, ბროდვეიზე ბილეთებს ყოველთვის გაყიდის. ის ხომ თანამედროვე ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა და ყველაზე ნიჭიერი ვარსკვლავია.

**ანტონიო ბანდერასი** - ერთი წლის წინ ის სპექტაკლში "ცხრა" გამოჩნდა. ანტონიოსგან ამდენს არავინ ელოდა - მან ფურორი მოახდინა და კინაღამ "ტონიც" მოიპოვა. ოღონდ, მხოლოდ კინაღამ. სავარაუდოდ, მომავალ წელს, ბროდვეის მაყურებელი მას სპექტაკლში Death Takes a Holiday იხილავს.

**რალფ ფაინსი** - "ინგლისელი პაციენტის" უდავო გმირი და ძალიან ნიჭიერი ინგლისელი მსახიობი ბროდვეიზეც სასურველი სტუმარია. 1995 წელს მის მიერ შესრულებულ ჰამლეტზე ნიუ იორკში დღემდე ლაპარაკობენ.

დაბოლოს, ბროდვეიზე ცხელთან ერთად, ე.წ. საოცნებო ნუსხაც აქვთ - ამ სიაში ის მსახიობები შედიან, რომელთა ნახვაც ყველას მხიარულს დატოვებდა - პუბლიკასაც, რეცენზენტებსაც და პროდიუსერებსაც. ეს მსახიობები არიან: ჯულია რობერტსი, დენზელ ვაშინგტონი და ენტონი ჰოპკინსი. სხვათა შორის, იყო დრო, ეს უკანასკნელი დიდი სასცენო მსახიობიც იყო. ვინ იცის, ბროდვეიზე მაყურებელმა ის ერთ მშვენიერ დღეს კვლავაც იხილოს. "ჰანიბალ ლექტერისგან" ხომ ყველაფერია მოსალოდნელი.

# კენტის ჰერცოგის ქალი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ლონდონიდან ნიუ იორკში ჩასული კენტის ჰერცოგის ქალი სასტუმროს ნაცვლად თავის ძველ მეგობართან, მილიონერ სიბილა კლარკთან დასახლდა, რომელიც პარკ-ავენიუზე ცხოვრობს - აბა, სხვაგან სად იცხოვრებდა? ჰერცოგის ქალმა ატლანტიკის ოკეანე იმისთვის გადასერა, რომ თავისი ასულის, ლედი გარბიელა ვინძორის გამოსაშვებ საღამოს დასწრებოდა - მან პროვიდენსში, როდ-აილენდის შტატში, ბრაუნის უნივერსიტეტში დაასრულა სწავლა.

ჰერცოგის ქალი ნიუ იორკის ხშირი სტუმარია და ჰუძონისა და ისტ რივერის ნაპირებზე აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა. ის ექსკლუზიურ რესტორან Le Cirque-ში სადილობს, ამერიკის საბალეტო თეატრში სეზონის გახსნას ესწრება, დოლარებითა და ჭორებით დატვირთულ, სახელგანთქმულ ნიუ იორკელ მანდილოსნებთან - ბარბარა დე პორტაგოსთან თუ მარისა ბერენსონთან ბაასობს, იუგოსლაველ პრინც დმიტრის და კოლექციონერ დუგ კრამერს ეკეკლუცება - მოკლედ, ერთობა და მაღალი საზოგადოების ქრონიკის მწერალთა და პაპარაცების ცნობისმოყვარეობას იწვევს.

მაგრამ ერთხელაც კენტის ჰერცოგის ქალს მარცხი მოუვიდა. ნაცვლად იმისა, რომ საიმედო და რესპექტაბელურ Le Cirque-ში წასულიყო, ჰერცოგის ქალი მოდურ რესტორან Da Silvano-ში გაეშურა, ბოჰემურ გრინვიჩ-ვილიჯში. მას კოლექციონერი კრამერი ახლდა. Da Silvano მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისა და მათ შესახებ მწერი რეპორტიორების თავშესაფარია, სულ გადატენილია, ნემსი არ ჩავარდება.

ამგვარ სივიწროვეს მიუჩვეველი ჰერცოგის ქალი გვერდით მაგიდასთან მჯდომი ხმაურიანი საზოგადოების გამო შეძრული იყო. მან მეტრდოტელს მკაცრად მოუწოდა, მოგნიასეთაგან მოშორებით გადაესვათ, მოგნიასეებს კი მოუწოდა "კოლონიებს დაბრუნებოდნენ". საქმე ისაა, რომ მისი უდიდებულესობის გვერდით მაგიდასთან მსხდომნი სულ შავკანიანები იყვნენ, თუმცა, ფეხსაცმლის მწმენდავი არცერთი არ ყოფილა: ერთი ბანკირი იყო, მეორე - ხმის ჩამწერი მაგნატი, მესამე - ადვოკატი, მეოთხე - პიარ-კონსულტანტი, მეხუთე - ტელეკომენტატორი. ამერიკაში ესოდენ მოდურ პოლიტკორექტულობას, როგორც ჩანს, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის სასახლეთა კედლებში ჯერ არ შეუღწევია, და ჰერცოგის ქალს თავიდან აზრად არ მოსვლია, რომ დაუშვებელი, რასისტული შეცდომა დაუშვა. როცა გაზეთმა "ნიუ იორკ პოსტმა" საზოგადოებას ჰერცოგის ქალის ნოსტალგიური რისხვის ამბავი აუწყა, მის უდიდებულესობას თუ ბრწყინვალებას ათასგვარი სისულელის როშვა მოუწია. მან გაზეთს განუცხადა, რომ თქვა: "კოლონიები უნდა გახსოვდეთ", ანუ ის დრო იგულსხმა, "როცა ხალხმა მოქცევა იცოდა". სად, აფრიკის ჯუნგლებში?

თუმცა, ჰერცოგის ქალს, რომელსაც თავად ინგლისელებიც "მიმწოლ" პრინცესას უწოდებენ, თავისთვის უჩვეულო არაფერი ჩაუდენია. მისი კარგი მანერების ამბავი ისედაც საკითხავია, და სკანდალში გახვევა მისთვის უცხო არაა. ყველაფერი მისი გათხოვებით დაიწყო, 1978 წელს. მისმა მეუღლემ, კენტის ჰერცოგმა მაიკმა, თითქოს ვინძორის ჰერცოგის მიერ გავლილი გზა გაიარა. მანაც განქორწინებული და კათოლიკე ქალი ითხოვა და ინგლისის ტახტზე მანაც უარი განაცხადა. მართალია, კენტის ჰერცოგის მსხვერპლი ნაკლებად შთამბეჭდავი იყო. ის ტახტის მემკვიდრეთა შორის რიგით მერვე ბრძანდებოდა. აი, მისი წინაპარი კი ამერიკელი ველის სიმპსონის ცოლად თხოვნის გამო მეფის ნაცვლად ჰერცოგი გახდა, ანუ მართლაც გვირგვინი დათმო.

რამდენიმე ხნის წინათ ჰერცოგი და მისი მეუღლე კვლავ ბრიტანული მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ. როცა კენტები დაქორწინდნენ, დედოფალმა ელისაბედმა თავშესაფრად ლონდონში კენსინგტონის სასახლე დაუთმო, სამუდამოდ და სიმბოლური იჯარის ფასად, პრაქტიკულად - უფასოდ. მაგრამ პარლამენტის ზეწოლით, რომელშიც უმრავლესობას ლეიბორისტები წარმოადგენენ, დედოფალი იძულებული გახდა კენსინგტონის სასახლის გაქირავების ვადა 2010 წლით შეეზღუდა. გარდა ამისა, დედოფალს ჯიბეზე ხელის გაკვრაც მოუწია, ვინაიდან მთავრობამ კენტების დაფინანსებაზე უარი განაცხადა.

თუმცა, კენსინგტონის სასახლიდან კვლავ რესტორან Da Silvano-ს დავუბრუნდეთ. ჰერცოგის ქალის "კოლონიურმა" მანერებმა ნიუ იორკის მაღალი საზოგადოება შეძრა. ზოგმა გაიხსენა - სავსებით სამართლიანად - რომ



*კენტის ჰერცოგის ქალს კარგი მანერები და ცუდი ხასიათი აქვს*

თავად შეერთებული შტატებიც ოდესღაც ბრიტანული გვირგვინის კოლონია იყო. ჰერცოგის ქალს ისიც შეახსენეს, რომ მობილურ ტელეფონზე ხმამაღლა ლაპარაკის მავნე ჩვევა აქვს, და მას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც არ ღალატობს, სადაც აბსოლუტური სიჩუმის დაცვას მოითხოვენ. აი, ძალიან ცნობილი ადამიანების ოთახების ძალიან ცნობილმა დეკორატორმა მარიო ბუატამ კი, როგორც ჭეშმარიტმა რაინდმა, ჰერცოგის ქალის დაცვა იტვირთა. მან თქვა, რომ რამდენჯერმე მასთან ერთად უვახშმია, ბოლოჯერ - "სვიფტში", და მისი ქცევა სავსებით მისაღებად ეჩვენა. "სავსებით უწყინარია. უბრალოდ, ზოგჯერ ოდნავ გააფრენს ხოლმე," - განაცხადა სახელგანთქმულმა დეკორატორმა. მართალია, მერე რაინდმა უკან დაიხია: "კარგად წარმომიდგენია ჰერცოგის ქალი, რომელიც Da Silvano-ში ვახშმით უკმაყოფილებას გამოთქვამს. მაგრამ არ შეიძლება, რომ რესტორანში ყოფნისას ჰერცოგის ქალმა მის სტუმრებს იმის გამო უღრიალოს, რომ ისინი ხმაურობენ. ასეთ ადგილას წასვლა რა საჭიროა? თუკი ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანდი, ჩვენთან ურთიერთობისთვის ჩვენი პირობებიც უნდა გაითვალისწინო".

პარკ-ავენიუელი ქალბატონი სიბილა კლარკი, რომელთანაც ჰერცოგის ქალია დაბინავებული, ამბობს, რომ მისი მეგობარი "უცნაურია, მაგრამ რასისტი აშკარად არაა... ცოტა ხელმწიფური მანერები აქვს, მაგრამ უხეში არ ეთქმის". ინგლისის მასმედია ამ აზრს არ იზიარებს. მათთვის კენტის ჰერცოგის ქალი "მიმწოლი" პრინცესაა, ანუ, როგორც ერთმა ჩემმა ნაცნობმა ბრძანა, რომელსაც უწინ ჰერცოგისა და მისი მეუღლის მასპინძლობის პატივი ხვდა წილად, ის "ჯიუტი ინგლისური ცხენია". ამ განმარტებაში ყველაფერი სწორია, სიტყვა "ინგლისურის" გარდა. ჰერცოგის ქალი წარმოშობით გერმანელია. მისი ქალიშვილობის სახელია მარია-კრისტინა ფონ რაიბნიცი. ის ყოფილი ჩეხოსლოვაკიის გერმანულ ოლქში დაიბადა. აღსაზრდელად დედამ და მამინაცვალმა ავსტრალიაში წაიყვანეს. მამამისი, ბარონი გიუნტერ ფონ რაიბნიცი ნაცისტური პარტიის წევრი იყო (ამჟამად ამ ბიოგრაფიულ დეტალს ჰერცოგის ქალს საგანგებოდ ახსენებენ, იმის აღსანიშნავად, რომ რასიზმი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი).

სხვათა შორის, ჰერცოგის ქალი თავისი წინაპრებით ამაყობს. 1986 წელს მან მთელი ინგლისის სამეფო ოჯახის აღშფოთება გამოიწვია, როცა კეროლ თეტჩერის, ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ თეტჩერის ქალიშვილისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ "მისი გვარი ყველაზე კეთილშობილურია მათ შორის, ვინც ოდესმე სამეფო ოჯახს დაუნათესავდა - პრინც ფილიპის გარდა (ის დედოფლის ქმარია და ასევე გერმანული სისხლი აქვს - მ.ს.)". ჰერცოგის ქალი მთელ ინგლისელ ერსაც გადაწვდა, რომელიც "ამბიციებს მოკლებულად" დაახასიათა. თავისი მოვალეობები ჰერცოგის ქალს "მოსაწყენად" მიაჩინა - მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო უიმბლდონის ჩოგბურთის ტურნირში გამარჯვებულთათვის ჯილდოების გადაცემაა. გამარჯვებულებს თასს მისი მეუღლე გადასცემს...

კვლავ Da Silvano-ს დავუბრუნდეთ. ქალბატონმა კლარკმა, რომელმაც ჰერცოგის ქალი პარკ-ავენიუზე შეიკედლა და უკვე ოცდაათი წელია, მასთან მეგობრობს, ინციდენტის კიდევ ერთი ვერსია მოგვახსენა: "ჰერცოგის ქალმა მითხრა, რომ როცა მაგიდის გამოცვლა გადაწყვიტა, მან თქვა: "მოდი, კოლონიებში გადავსახლდეთ". "კოლონიებში" ჰერცოგის ქალი ვითომდა რესტორნის უკანა ოთახს გულისხმობდა, რომელსაც "ციმბირი" ჰქვია (ახლა კი რუსეთის პოლიტკორექტურის დამცველები უნდა აღშფოთდნენ! - მ.ს.). მე თავად ამ რესტორანში არასოდეს ვყოფილვარ," - განაგრძობდა ქალბატონი კლარკი, - "მაგრამ მსმენია, რომ ძალიან ხმაურიანია. ჰერცოგის ქალის მეზობელ მაგიდასთან მსხდომმა ხალხმა სიტყვა "კოლონიები" გაიგონა და არასწორად გაიგო".

მაგრამ ნიკოლ იანგი, პიარ-კონსულტანტი, რომელსაც სხვებთან ერთად შესთავაზეს კოლონიებში დაბრუნება, ასე არ თვლის. "იმ წამიდან, რაც ჰერცოგის ქალი რესტორანში შემოვიდა, ის სულ უხერხულად გრძნობდა თავს, " - ამბობს ის. დაემთხვა, რომ როდესაც ჰერცოგის ქალი ოფიციანტს რაღაცას უკვეთავდა, მეზობელ მაგიდასთან მსხდომთ ხმამაღალი სიცილი აუტყდათ. "და აი, ჰერცოგის ქალი მოგვიბრუნდა, ჩემსა და ჩემს მეგობარს შორის ჩაეჭედა, მაგიდას ხელი დაჰკრა და თქვა: "კმარა!" რესტორანში დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ მან იმავე ტონით განაგრძო: "გაჩუმდით. ისიც კი არ მესმის, ოფიციანტი რას ამბობს". მაშინ ჰერცოგის ქალის გასაჯავრებლად კიდევ უფრო ავხმაურდით. მან სხვა მაგიდასთან გადასვლა მოითხოვა. როცა ჩაგვიარა, შეჩერდა და გვითხრა: "წაეთერით თქვენს კოლონიებში", და გაიარა," - იხსენებს ნიკოლ იანგი.

მისი თანამგზავრი, ანდრიუ კელოვეი, ტელეჟურნალისტი, "შავების გასართობი ტელევიზიის" არხზე შოუს წამყვანი, დაურთავს: "ჯერ მეგონა, რომ ჰერცოგის ქალი ხუმრობდა, რადგან ის, რაც მან თქვა, უბრალოდ, აღმაშფოთებელი იყო! საინტერესოა, მეგობრები ჰყავს? არა რცხვენია, რომ სიტყვები უკან მიაქვს?"

...ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც პროვიდენსისკენ მიმავალი კენტის ჰერცოგის ქალი ნიუ-იორკში შეჩერდა, მისი ახალი რომანის პრომოუშენის ფორმის ძიება იყო. რომანს ეგზოტიკური სათაური აქვს: "გველი და მთვარე: ორი მოქიშპე აღორძინების ხანის მეფის სიყვარულის მოსაპოვებლად" (The Serpent and the Moon: Two Rivals for the Love of a Renaissance King). წიგნი სექსტემბერში გამოქვეყნდება. მისი გამომცემელია ფირმა "საიმონ ენდ შუსტერი". კერძოდ, ჰერცოგის ქალი სარეკლამო კომპანია "დან კლორეს კომიუნიკეიშნს"-ის წარმომადგენლებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. რესტორან Da Silvano-ში მომხდარი სკანდალის შემდეგ კომპანიამ განაცხადა, რომ კენტის ჰერცოგის ქალის ქმნილების ამერიკის ფართო მასისთვის წარდგენაზე უარს აცხადებს. არ ვიცი, რომელი მოქიშპე მოიპოვებს აღორძინების ხანის მეფის სიყვარულს, მაგრამ სავსებით გასაგებია, რომ თავად კენტის ჰერცოგის ქალს ამერიკელთა სიყვარულის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. პოლიტკორექტულობის გველმა ის სასიკვდილოდ დაგესლა.

ფეხბურთი

# რიკარდუ კარვალიუ - ალბიონზე



კარვალიუ უკვე ლონდონშია.

რომან აბრამოვიჩი, როგორც ჩანს, ლონდონში პორტუგალიის ნაკრებს უყრის თავს. ჩუკოტკის გუბერნატორმა გადაწყვიტა, კლუბში "პორტუს" მცველ რიკარდუ კარვალიუსაც უხმოს. პირველადი ინფორმაციით, სატრანსფერო თანხა 13 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის.

კარვალიუ ორშაბათიდან უკვე ლონდონშია და სავარაუდოდ ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გადის. ამის შემდეგ პორტუგალიელი ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. "პორტუსა" და პორტუგალიის ნაკრებში კარვალიუ ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს. ევროპის ჩემპიონატმა ცხადყო, რომ კარვალიუს წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლა უაღრესად რთულია. პორტუგალიელი არც მინდორზე გამოიყურება ურიგოდ. მარტო ის, რომ პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, იმაზე მეტყველებს, რომ მისი ფეხბურთელები უმაღლესი კლასის ოსტატები არიან.

"ჩელსიში" კარვალიუს რამდენიმე ცნობილი სახე უკვე ელოდება. პირველ რიგში მწვრთნელი ჟოზე მოურინიო, რომელიც ადრე "პორტუს" მოძღვრავდა და რომელთან ერთადაც კარვალიუმ მრავალგზის მოიგო პორტუგალიის ჩემპიონატი, ხოლო თითოჯერ - უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა.

ალბათ, სწორედ მოურინიოს ინიციატივით მოხდა, რომ "ჩელსიმ" შეიძინა პაოლო ფერეირუ და ტიაგუ მენდეში. მოურინიოს ხომ კარგად მოეხსენება როგორც "პორტუს" შესაძლებლობები, ისე პორტუგალიის ჩემპიონატი მთლიანად. ორივე ეს ფეხბურთელი პორტუგალიის ნაკრების ღირსებას იცავს და კარვალიუ მათ კარგად იცნობს. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ლონდონში კარვალიუს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაჯავშნილი აქვს. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მას მოუწევს გუნდის კაპიტან ჯონ ტერისა და ფრანგ მარსელ დესაისთან კონკურენცია. აღარ ღირს იმაზე საუბარი, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის ბრძოლა უშელავათო იქნება. თუმცა, ჯონ ტერიმ განაცხადა, რომ მცველის შეძენა გუნდისთვის აუცილებელი იყო.

"ჩვენ მცველი, მართლაც, გვჭირდება, რადგან მარსელ დესაი ხანდაზმული ფეხბურთელია. მომავალ სეზონში ბევრი მატჩის გამართვა მოგვიწევს. ამასთან, არ ვფიქრობ, რომ როგორც გუნდის კაპიტანს, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული მაქვს. მე ამის დამტკიცება ჩემი თამაშით მომიწევს", – განაცხადა ჯონ ტერიმ.

კარვალიუს შეძენა აბრამოვიჩის წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე დანახარჯს 83 მილიონ გირვანქამდე გაზრდის. მანამდე ჩუკოტკის გუბერნატორმა შეიძინა ტიაგუ მენდეში, პაოლო ფერეირუ, დიდიე დროგბა, მატეა კეჟმანი, არიენ რობენი ფრენკ ლამპარდი და მეკარე პეტერ ჩეხი.

თავის მხრივ, კარვალიუმ საფეხბურთო კარიერა 1997 წელს პორტუგალიის "ლეჩეში" დაიწყო. ორი წლის შემდეგ ის პორტუგალიაში მიიწვიეს. თუმცა, ახალგაზრდა ფეხბურთელმა მაშინვე ვერ ითამაშა. კიდევ ორ წელიწადს ის იჯარით იყო განათხოვრებული ჯერ "სეტუბალში", შემდეგ - "ალვერკაში".

2001 წელს "პორტუ" ჟორჟე კოშტამ დატოვა და კარვალიუს თავის გამოჩენის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცა, რაც ფეხბურთელმა სრულად გამოიყენა. მთელი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელმა 45 მატჩი ჩაატარა, მათ შორის 10 ევროთასებზე და ნათელი გახდა, რომ თავისი თამაშით კარვალიუ მუდმივ სათამაშო პრაქტიკას იმსახურებს.

მომდევნო წელიწადს კარვალიუმ "პორტუსთან" ერთად პორტუგალიის ჩემპიონატი და უეფას თასი მოიგო. ფინალურ მატჩში მან მთელი 120 წუთი ითამაშა. ერთი წლის შემდეგ კარვალიუმ ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მის სამშობლოში, პორტუგალიაში გაიმართა, ვერცხლის მედალი მოიპოვა.

კარვალიუს უკვე მიიჩნევენ ფერნანდო კოუტუს მემკვიდრედ, რომელიც ეროვნული ნაკრებიდან წასვლას აპირებს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ, ფერნანდო კოუტუსგან განსხვავებით, კარვალიუს შეტევებში ჩართვა უყვარს. ლონდონის "ჩელსი" კარვალიუსთვის საუკეთესო საშუალებაა დაამტკიცოს, რომ ის, მართლაც, იმსახურებს იმ თბილ სიტყვებსა და კომპლიმენტებს, რომლითაც ფეხბურთელს ბოლო ორი წლის განმავლობაში ამკობენ. ინგლისის პრემიერლიგა ხომ მცველებისთვის უაღრესად რთული ტურნირია და მათ ყოველ მატჩში უხდებათ თავისი მაღალი ოსტატობის სრული გამოვლინება.

# ღირსება გვავალდებულებს - 2:8

### უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

27 ივლისი, ეროვნული სტადიონი
ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) – ვისლა (კრაკოვი, პოლონეთი) 2:8 (1:4)**

**ვიტ ჯორჯია:** *მამარდაშვილი, იმედაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, დათუნაიშვილი, გოჩაშვილი (კვარაცხელია, 65`), ნოზაძე, დიღმელაშვილი, გველესიანი, ადამია (მერებაშვილი, 78`), ებანოიძე (სახოკია, 31`)*
**ვისლა:** *მეჟლანი, ბაშჩინსკი, გლოვაცკი, კლოსი, მიხაილოვიჩი (სტოლარჩიკი, 46`), გორავსკი (შინკოვიაკი, 46`), კანტორო, კუკელკა, ზუნჩუკი, ჟურავსკი, ფრანკოვსკი (კუჟბა, 70`),*
**მსაჯი:** *პერ ივარ სტაბერგი (ნორვეგია)*
**გოლები:** *ფრანკოვსკი (3`, 5`, 25`, 50`), გორავსკი (23`), ჟურავსკი (57`, 67`), კუჟბა (75`); კობიაშვილი (12`), ადამია (51`).*






გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

მიხეილ აბაიშვილი

რა დავწერო? აი, ეს გახლდათ ყველაზე აქტუალური და რიტორიკული შეკითხვა, რომელიც ეროვნული სტადიონის პრესლოჟაში "ვიტ ჯორჯია"-"ვისლას" მატჩის დასრულებისთანავე ჟურნალისტებს გაუჩნდათ. აღვწერო ის გოლები, რომელიც საქართველოს ჩემპიონის კარში გავიდა, არ გამოვა, რადგან ამას "24 საათის" ორი გვერდიც არ ეყოფა და ამხელა ადგილს ნამდვილად არავინ დამითმობს. თამაში გავარჩიო? არც ეს არის შესაძლებელი. ანალიზი შეიძლება გაუკეთდეს თამაშს, ხოლო რაც მოხდა, იმას თამაში ნამდვილად არ ჰქვია. თან, ძალიან ძნელია, "ვიტ ჯორჯიას" გუშინდელ საცოდაობას ისეთი ეპითეტი მოუძებნო, რომ უცენზურო ლექსიკა არ მოიშველიო. პრესკონფერენციის ანგარიში გაგაცნოთ? არც აქ გამიმართლა, რადგან მატჩის შემდეგაც, თამაშის მსგავსად, ისევ "ცალკარა" გაიმართა: ჟურნალისტებთან შესახვედრად მხოლოდ "ვისლას" მთავარი მწვრთნელი მოვიდა.

ამიტომ, თქვენი ნებართვით, იმ მიღწევებსა და რეკორდებზე ვისაუბრებ, რომელიც გუშინდელი მატჩისა და "ვიტ ჯორჯიას" წყალობით ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ჩაიწერა.

დავიწყებ "პოკერით". ქართული საკლუბო ფეხბურთის არსებობის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ჩვენმა კლუბმა ერთი ფეხბურთელისგან საკუთარ კარში ოთხი გოლი მიიღო. ამ რეკორდის ავტორი პოლონელი თავდამსხმელი ფრანკოვსკია. მწვრთნელმა იგი მეორე ტაიმის შუაში შეცვალა, თორემ "პოკერი" შეიძლება ხუთ ან მეტ გოლშიც გადაზრდილიყო.

მეორე სერიოზული მიღწევა ერთ მატჩში რვა გოლია. აქამდე თბილისის "ლოკომოტივი" ლიდერობდა, რომელმაც სალონიკის "პაოკთან" შეხვედრაში საკუთარ მოედანზე შვიდი უპასუხო გოლი გაუშვა. "ლოკომოტივი" და "ვიტ ჯორჯია", მოგეხსენებათ, ეროვნულ ჩემპიონატში სერიოზული კონკურენტები და მეტოქეები არიან. ალბათ, ამიტომაც ვიტელებმა რკინიგზელებს ეს რეკორდი არ დაანებეს და შესაძლებლობისთანავე გააუმჯობესეს.

რვა გოლი "ვისლასთვისაც" რეკორდია. გუშინ ამ პოლონურმა გუნდმა ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე ერთ მატჩში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. აი, ასე ჩაეწერა "ვიტ ჯორჯია" პოლონური საკლუბო ფეხბურთის ქრონიკონში.

"24 საათის" 27 ივლისის გამოშვებაში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც გუშინდელი შეხვედრის წინასამატჩო პერიპეტიებს ასახავს, ასეთი სათაური აქვს წამძღვარებული: "მერაბ კოჭლაშვილი: "ხვალ 2:0-ს მოვიგებთ". "ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა ეს პროგნოზი ჩემთან საუბარში გამოთქვა. არა, მწვრთნელმა ნამდვილად გამოიცნო, რომ მისი გუნდი ორი გოლის გატანას შეძლებდა. დანარჩენზე რა მოგახსენოთ... გამახსენდა ნოდარ დუმბაძის ერთი იუმორისტული სკეტჩი, რომელშიც მთავარი პერსონაჟი, კოჭლაშვილივით ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი, მატჩის 0:9-ით წაგების შემდეგ კორესპონდენტს ინტერვიუს აძლევს და ამბობს, ძალიან კარგად ვითამაშეთ, მეტოქე დავჯაბნეთ კიდეც და არ გაგვიმართლა, თავისუფლად შეიძლებოდა, მე-3 და მე-5 გოლები არ გაგვეშვაო. ხუმრობა იქით იყოს და, ადამიანურად ძალიან მეცოდება ჩვენი ბაქია მწვრთნელი, რომელმაც კიდევ ერთი პერსონაჟის, ამჯერად ქართული ანიმაციური ფილმის გმირის, წრუწუნას მსგავსად, ვერ მოზომა ვერც საკუთარი გუნდის, ვერც თავისი შესაძლებლობები და მის მიერვე ორგანიზებული ავანტიურის მსხვერპლი შეიქნა. კოჭლაშვილმა თამაში სამი მცველით დაიწყო და პირველ 4 წუთში უკვე 0:2-ს აგებდა. "ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელმა თითქოს დროზე შემოირტყა თავში ხელი, შეცვლაც განახორციელა და გუნდი ახალ, 4-მცველიან დაცვაზე გადააწყო, მაგრამ კიდევ ექვსი გოლი გაუშვა და ოთხი-ხუთი გოლისგან ფორტუნამ იხსნა (კიდევ ორი გოლი აჩუქეს მსაჯებმა, რომლებმაც სტუმრების მიერ წესების სრული დაცვით გატანილი არ ჩათვალეს და თამაშგარე დააფიქსირეს).

დღეს უკვე განსაკუთრებულ ირონიულ ელფერს იძენს კოჭლაშვილის მიერ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ქართველი ჟურნალისტებისთვის ნათქვამი სიტყვები: წინა შეხვედრაში, ფარერის კუნძულების "ტორსჰავენთან" 0:3 იმიტომ დავმარცხდით, რომ "ვისლას" თამაში "დავუმალეთო". როგორც ჩანს, ფარერებზე "ვეტერინარებმა" თამაში ისე გადამალეს, რომ ველარც იპოვეს და იქ, კუნძულელებს დაუტოვეს. თუმცა, თავი დავანებოთ მთავარ მწვრთნელს, მით უმეტეს, რომ კოჭლაშვილმა ამ სიტუაციაში აბსოლუტურად ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და მატჩის დასრულებისთანავე გადადგა. იმედია, სანამ რომელიმე სხვა ქართული თუ არაქართული კლუბის მწვრთნელობას დათანხმდება, სერიოზულად იზრუნებს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

რაც შეეხება "ვისლას", მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა ჯერ არნახული გოლების წვიმა დაგვატეხა თავს, საშუალოევროპული დონის ისეთ გუნდს, როგორიც, ვთქვათ, "ლიბერეცია", ვერც შევადარებ. "ვისლას" მობილური ნახევარდაცვა და მაღალი კლასის თავდასხმა კი ჰყავს, მაგრამ დაცვის ხაზში საკმაოდ მოიკოჭლებს, რისი დასტურიცაა მის კარში "ვიტ ჯორჯიას" მიერ გატანილი ორი გოლი და კიდევ რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი, რომელიც "ვისლას" კართან როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში იქმნებოდა.

დაბოლოს, დევიზზეც ვიტყვი ორიოდე სიტყვას. დიახ, "ვიტ ჯორჯიას" თურმე საკუთარი დევიზიც აქვს, რომელიც ასე მაღალფარდოვნად ჟღერს: "ღირსება გვავალდებულებს!" ძნელი სათქმელია, რას ავალდებულებს "ვიტ ჯორჯიას" მაისურებზე წარწერილი ეს დევიზი საქართველოს ჩემპიონს. ერთი რამ ნათელია: ლაქას, რომელიც გუშინ მოეცხო ქართულ საკლუბო ფეხბურთს, ათწლეულების მანძილზე ვერ მოვიშორებთ.

# გუტი: "მიწაზე უნდა დავეშვათ"

*გულშემატკივარს უკვე ისეთი შეგრძნება აქვს, რომ ხოსე მარია გუტი მარად და სამუდამოდ დარჩება "რეალის" სათადარიგო ფეხბურთელად. მართალია, მას საკმაოდ ხშირად უწევს თამაში, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის წევრად მაინც არასოდეს მიიჩნეოდა. მიუხედავად ამისა, გუტი არსად წასვლას არ აპირებს და კვლავინდებურად ეიმედება, რომ ოდესმე სამეფო კლუბის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდება.*



*გუტი ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლებს.*

**- საკუთარ თავს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხედავთ თუ, როგორც ყოველთვის, ამ ადგილისთვის ბრძოლა მოგიწევთ?**

- არაფერი შეცვლილა. მე ისეთივე სიტუაციაში ვარ, როგორშიც წინა წლებში ვიყავი - უნდა ვიბრძოლო, რათა ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო. ასეთი სიტუაცია ყოველ წელიწადს მეორდება და უკვე შევეჩვიე. აქ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილი და ეს ფაქტორი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსს ამცირებს. მაგრამ, ვფიქრობ, მაქვს შესაძლებლობა, ძირითად შემადგენლობაში მოვიკიდო ფეხი.

**- გაღიზიანებთ ის ფაქტი, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ ხართ?**

- არა. უკანასკნელ წლებში ხშირად მიწევდა თამაში. თუმცა, მე არ გახლდით ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი და მონაწილეობას არ ვიღებდი არც გუნდის გამარჯვებაში და არც დამარცხებაში. ახლა იმედი მაქვს, მოედანზე მეტ დროს გავატარებ.

**- ნუთუ გუნდის დაცვის ხაზს ასეთი გაძლიერება სჭირდებოდა?**

- ვფიქრობ, ეს უფრო ბალანსის საკითხია. ყველამ იცის, რომ "რეალი" ოცნების გუნდია, მაგრამ დაბალანსებას ისიც საჭიროებს. იმისთვის, რომ ერთდროულად ორი ან სამი ტიტულისთვის იბრძოლო, 22-23 უმაღლესი დონის მოთამაშეა საჭირო.

**- გუნდს კიდევ სჭირდება ფეხბურთელების დამატება?**

- კიდევ ერთი-ორი კარგი შენაძენი და ყველაფერი წესრიგში იქნება. იმ ფეხბურთელებით, რომლებიც აქამდე გვყავდა და იმ მოთამაშეებით, რომლებიც ახლა შემოგვიერთდნენ, დიდი გამარჯვებების მიღწევა შეიძლება.

**- რომელ პოზიციაზე გაგამწესათ კამაჩომ?**

- ეს სულერთია. მე მხოლოდ ის მაღელვებს, თუ რა დროის გატარება მომიწევს მოედანზე. რომელიმე პოზიცია ამორჩეული ნამდვილად არ მაქვს, მე მხოლოდ თამაში მინდა.

**- წინასასეზონო შეკრებისას თავს კარგად გრძნობდით?**

- ეს ძალიან განსხვავებული შეკრება იყო. გასული სეზონი მე ტრავმებით დავიწყე და ვერ შევძელი საკუთარი რიტმის პოვნა. შემდეგ იყო პერიოდი, როდესაც მე ძალიან ვჭირდებოდი მწვრთნელს. ამის მერე დაიწყო ჩავარდნა, როდესაც საერთოდ აღარ მიწევდა თამაში. ამის შედეგად, ევროპის ჩემპიონატს მიღმა დავრჩი.

**- და რა მოხდა კეიროშის მწვრთნელობისას?**

- განსაკუთრებული არაფერი. ჩვენ არც კონფლიქტი გვქონია, არც უსიამოვნება. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს მან გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ მე ძირითად შემადგენლობაში აღარ ვითამაშებდი.

**- რა მოხდა გასული სეზონის უკანასკნელ ორ თვეში. კამაჩომ განაცხადა, რომ იმ გუნდს დისციპლინა აკლდა?**

- არ ვიცი, გვაკლდა თუ არა დისციპლინა. "რეალზე" ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჩვენ სამივე ტიტული უნდა მოგვეგო. ვფიქრობ, ვინც ასე ლაპარაკობდა, ამ განცხადებების გაკეთების მომენტს ვერ საზღვრავდა. "რეალი" დიდი გუნდია, რომელშიც დიდი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ არის სხვა გუნდებიც, რომელთაც "რეალის" დამარცხება შეუძლიათ, თუ ჩვენ ვერ ვითამაშებთ კარგად. ჩვენ ღრუბლებიდან მიწაზე უნდა დავეშვათ და გავიგოთ, რომ "რეალი" მხოლოდ ერთი დიდი კლუბია, მაგრამ არა ერთადერთი. თუ ყოველ მატჩში ჩვენ ზედმეტად თავდაჯერებულები გავალთ მინდორზე, წლეულსაც იგივე მოხდება, რაც უკანასკნელ სეზონში მოხდა - ჩვენ უტიტულოდ დავრჩებით.

**- შეიძლება თუ არა, რომ დღევანდელი "რეალის" ფეხბურთის ხარისხში შევიტანოთ ეჭვი?**

- არა. უბრალოდ, უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ გუნდს სიმშვიდე სჭირდება. მაშინ, როდესაც ყველაფერი კარგად მიდის, რეალობის განცდა არ უნდა დავკარგოთ. შესაძლოა, გასულ სეზონში ხანდახან, მართლაც, გვაკლდა დისციპლინა. ჩვენ ლიდერები უნდა ვყოფილიყავით, თუმცა, ამავდროულად, ისიც უნდა გვცოდნოდა, რომ წინასწარ არაფრის მოგება არ შეიძლება.

**- კამაჩო იდეალური მწვრთნელია იმისთვის, რომ ფეხბურთელები ღრუბლებიდან მიწაზე დაუშვას?**

- დიახ. კამაჩოს კარგად გამოკვეთილი იდეები აქვს. მან იცის, თუ როგორ უნდა იმუშაოს. იმედი ვიქონიოთ, რომ გუნდი ყველაფერს კარგად გაიგებს.

**- ახლა, წინასასეზონო მზადების პერიოდში, თქვენ ყველა დანარჩენ მეტოქეზე კარგ ფორმაში ხართ?**

- დიახ, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩების გამო ჩვენ სხვა გუნდებზე ადრე დავიწყეთ მზადება. წინა წლებში ამ პერიოდში ბევრი გარდაქმნა ხდებოდა. ახლა ისე ვემზადებით სეზონისთვის, როგორც საჭიროა. შარშანდელი აზიის ტურნე მეტად ხანგრძლივი იყო და ვერ მოვახერხეთ წესიერად მომზადება.

**- როგორ შეხვდით ფლორენტინო პერესის ტრიუმფს?**

- ჩვენ ველოდით ასეთ გამარჯვებას, რადგან მან შესანიშნავი ოთხი წელიწადი გაატარა კლუბში. პირველ ყოვლისა, მან სტაბილურობა შემატა გუნდს. გარდა ამისა, მიაღწია იმას, რომ გუნდში დიდი ფეხბურთელები მოსულიყვნენ.

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 28 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV – ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "DALLAS MAVERICKS" - "SACRAMENTO KINGS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო წრე. "პიუნიკი" (სომხეთი) – "შახტიორი" (უკრაინა). პირველი მატჩი
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. მეოთხედფინალი. "ვალენსია" – "არსენალი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "სევილია" – "ვილიარეალი"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" – "ბავარია"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 "დარტყმა გოლისთვის"
20:05 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" – "დეპორტივო"
21:50 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" – "ფულჰემი"
23:35 "FUTBOL MUNDIAL"
00:05 "დარტყმა გოლისთვის"
00:20 თავისუფალი დარტყმა
00:35 00:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – პიკნიკი
04:00 NBA TV – საზაფხულო ლიგა. "CHICAGO BULLS" - "UTAH JAZZ"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 16:00, 18:50, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:45 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ტორონტოში. შესვენებისას (13:00) – პრესცენტრი
14:05 ტანვარჯიში. აშშ-ის საოლიმპიადო შესარჩევი ასპარეზობა. მეორე ნაწილი
15:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
15:30 "კეგლის დროა"
16:15 "საუკუნის ათლეტები". "რგოლების მეფე ანუ აზარიანის ჯვარი"
17:10 "ოლიმპიური ისტორია". ლონდონი, 1948 წელი
19:05 "შავი ოქრო". მორის გრინი
20:00 "ათენის გზაზე"
21:00 "საუკუნის ათლეტები". "ორტერის გული"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 "ცხელი ქვიშა"
00:25 ახალი ამბები
00:40 ცხენოსანთა სამჭიდი. "მოსკოვის ოლქის გუბერნატორის თასი". მეორე ნაწილი
01:40 01:40-დან 03:35-მდე შესვენება
03:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "კრუზეირო". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვედეთში
12:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. სეზონის მიმოხილვა
14:15 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში. იაპონია - ირანი
16:15 მძლეოსნობა. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
17:45 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვედეთში
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი იტალიაში
22:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
23:30 აფროსნობა
00:00 ცხენოსნობა. სუპერ ლიგა დიდ ბრიტანეთში
01:00 ახალი ამბები
01:15 გოლფი. ევროპული ტური ირლანდიაში
01:45 გოლფი. PGA აშშ-ში. სპეციალური მიმოხილვა
02:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:00 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
03:15 ახალი ამბები

ოლიმპიადა

# ოლიმპიონიკები თუ სპეცრაზმელები




*ოლიმპიური თამაშების წარმოშობაზე უამრავ ლეგენდას ჰყვებიან. ერთნი მას ზევსის პატივსაცემად გამართულ ასპარეზობად მიიჩნევენ, მეორენი მტრად მოკიდებული ძველბერძნული სახელმწიფოებისთვის ერთგვარ სამშვიდობო ზავს - "ეკეჰეირიას" მიაწერენ...*
*ბრიტანელმა მეცნიერებმა მეტად უჩვეულო თეორია წამოაყენეს.*

ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში ოლიმპიურ თამაშებს მარტო სპორტის რელიგიურ დღესასწაულად კი არ თვლიდნენ, არამედ ელიტური სამხედრო ქვედანაყოფებისთვის ადამიანებს არჩევდნენ. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო ძველბერძნული სპეცრაზმი.

"შესაძლოა, თამაშები იმისთვის გამოიგონეს, რომ ამით სამხედრო ვაკანსიების შევსებისთვის შეეწყოთ ხელი", - თავის მოსაზრებას გვიზიარებს ლონდონის უნივერსიტეტის - University College ოლიმპიური თამაშების ისტორიის წამყვანი სპეციალისტი სტივენ ინსტონი.

ინსტონის აზრით, ბერძნული პანთეონის უმაღლესი ღმერთის ზევსის პატივსაცემად გამართული მომქანცველი ასპარეზობების მეშვეობით, ბერძნული სახელმწიფოები თავისთვის საუკეთესო ადამიანებს კრებდნენ. ამა თუ იმ ათლეტის წარმატება განიხილებოდა როგორც "უმაღლესი გამარჯვება", რაც იმით მთავრდებოდა, რომ ტრიუმფატორს უმალ ელიტურ სამხედრო ქვედანაყოფში ჩარიცხავდნენ.

ძველი საბერძნეთის თითქმის ყველა ადგილობრივ მმართველს ჰყავდა პირად მცველთა რაზმი. ბერძენთა აზრით, ამა თუ იმ სახელმწიფოში უმაღლესი პირების დაცვა, რომელთა ერთი ნაწილი ზევსის პირდაპირ შთამომავლებად ითვლებოდა, მხოლოდ განსაკუთრებულ ადამიანებს შეეძლოთ, იმათ, ვინც მოახერხა და თავისი უპირატესობა ღმერთის წინაშე ოლიმპიურ თამაშებზე დაამტკიცა.

### "კურთხეული რაზმი"

ამგვარ მცველთა რაზმზე მეცნიერებმა ცოტა რამ იციან. თუმცა, ძველი ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს (მოღვაწეობდა ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნეში) ნაშრომებიდან ვიგებთ, რომ სპარტის მეფეს ჰყავდა 300 მცველი, რომელთა უმეტესობა ოლიმპიურ თამაშებზე ტრიუმფისთანავე ჩადგა სახელმწიფო სამსახურში.

სხვა ბერძნული სახელმწიფოს - ფივის ისტორიის შესწავლისას მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ დაცვის სამსახური ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალოდ სამხედრო ქვედანაყოფი. კერძოდ, მეცნიერები წმინდა საძმოზე მიუთითებენ. ფიველ პირად მცველებს ასეც უწოდებდნენ – "კურთხეული რაზმი".

სპარტისა და ფივის შემთხვევაში მეცნიერთათვის ასევე ცნობილია, რომ ელიტურ ქვედანაყოფთა წევრები, რომლებსაც პირველი პირის დაცვა ევალებოდათ, ჰომოსექსუალისტთა საძმოშიც წევრიანდებოდნენ. ამასთან, ამ ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებული იყო, სხვა მეომართან შესულიყო სექსუალურ კავშირში.

მრავალრიცხოვანი რელიგიური დღესასწაულებისგან განსხვავებით, სექსუალურად აქტიურ ქალებს (და იმ ქალებსაც, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ) ოლიმპიადებზე დასწრება ეკრძალებოდათ. პლუტარქეს თანამედროვე ბერძენი მოგზაური პავსანიასი წერს, რომ ტრიბუნებზე მხოლოდ ქალწულებს უშვებდნენ.

ამგვარი შეზღუდვები იმით იყო გაპირობებული, რომ ათლეტები (ანუ ოლიმპიონიკები), ზეითუნის ზეთით ალაპლაპებულები, შიშვლები გადიოდნენ სარბიელზე. ვინც გაბედავდა და მათ საცქერლად სარბიელზე შეიპარებოდა, მათთვის სიკვდილით დასჯა გარდაუვალი იყო. სასჯელი კი კლდიდან გადაგდებას ითვალისწინებდა. თუმცა, იყო ერთი გამონაკლისი, რომელსაც დიაგორიდთა ცნობილი გვარის წარმომადგენელთან მივყავართ. ოლიმპიური ჩემპიონის მეუღლე, ოლიმპიური ჩემპიონების დედა და ოლიმპიური ჩემპიონის და, კაცის ტანისამოსში გადაცმული კალიპატერა, საკუთარი შვილების ასპარეზობის სანახავად შეიპარა არენაზე, მაგრამ მისი დასჯა ვერ გაბედეს. მეცნიერთა აზრით, ძველი ოლიმპიადები დავალებულია ელიტური სამხედრო ნაწილების ჰომოსექსუალური საძმოებისგანაც, რომელთა ხელმძღვანელები თამაშებზე იმ მიზნით მიდიოდნენ, რომ პერსონალი შეერჩიათ.

### ზეითუნის ზეთი საჩუქრად

მეფეთა პირად მცველებს შორის მოხვედრის პერსპექტივამ რევოლუცია მოახდინა სპორტისადმი ძველბერძნულ დამოკიდებულებაში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში საბერძნეთში იყვნენ პროფესიონალი სპორტსმენები, რომლებიც პირადი ინსტრუქტორების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ემზადებოდნენ. მეტიც: მათ შემუშავებული ჰქონდათ საგანგებო დიეტა და ჰყავდათ ასისტენტთა მთელი შტატი.

ცნობილ სპორტსმენებს მთელ ნახევარკუნძულზე ჰქონდათ სახელი განთქმული. ზოგიერთ მათგანს კი, მაგალითად, ლეონიდასსა და გლავკოსს, რომლებიც ყველგან დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ, ნახევრად ღმერთების სტატუსი ჰქონდათ (საერთოდ, ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ ჩემპიონებს ნახევრად ღმერთებად თვლიდნენ, თუმცა, მათ შორისაც იყვნენ რჩეულნი.-რედ.)

ძველი ოლიმპიადების ათლეტთა ცხოვრების წესის შესახებ მეცნიერებმა სამხრეთ იტალიაში არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით შეიტყვეს. კერძოდ, ნახევარი საუკუნის წინათ გახსნეს საფლავი, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელით "ათლეტი ტარანტოდან". სამარხში აღმოჩენილი, გემოვნებით მორთული უამრავი ამფორის მეშვეობით დადგინდა, რომ თითოეული მათგანი თამაშებზე გამარჯვების ნიშნად იყო გადაცემული. საინტერესოა, რომ იმ ამფორებში ესხა ზეითუნის ზეთი, რაც იმ დროისთვის ძალზე ძვირად ფასობდა.

როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერი ნაიჯელ სპივი ამბობს, სპრინტში გამარჯვებული ჯილდოდ იღებდა დაახლოებით 100 ასეთ ამფორას, რაც 1000 ლიტრ ზეთს უდრიდა. შთაბეჭდილების შესაქმნელად მეცნიერებმა შეძლეს მისი კონვერტირება: დადგინდა, რომ 1000 ლიტრი ზეითუნის ზეთი 100 ათასი დოლარის ეკვივალენტია!

ჩოგბურთი

# ტორონტოდან ჰერი, ჰერი!

სანდრო ნავერიანი


*ივან ლენდლი კანადის მასტერსის რეკორდსმენია.*

გუშინ ტორონტოში დაიწყო tennis masters Canada. ამ ტურნირს დიდი ისტორია აქვს. ის მოუგიათ ისეთ ოსტატებს, როგორებიც არიან ბიორნ ბორგი, ივან ლენდლი, გილიერმო ვილასი, ჯონ მაკინროი, ბორის ბეკერი და თანამედროვეობის უძლიერესი ჩოგბურთელი ანდრე აგასი. ტურნირი ყველაზე ბევრჯერ მოიგო ჩეხმა ივან ლენდლმა - ის ექვსჯერ გახდა ტორონტოს მასტერსის ტრიუმფატორი. გილიერმო ვილასმა და ჯონ მაკინროიმ ორ-ორჯერ შეძლეს გამარჯვება, ანდრე აგასიმ კი - სამჯერ. უკანასკნელი, 2003 წლის გათამაშება, ამერიკელმა ენდი როდიკმა მოიგო.

წლევანდელ გათამაშებაში ენდი როდიკი მეორედ ნომრად არის განთესილი, პირველი კი, რა თქმა უნდა, შვეიცარიელი როჟე ფედერერია. ფედერერს და როდიკს ჯერ არ უთამაშიათ. ორიოდე სიტყვა სხვა საინტერესო მატჩებზე.

ირაკლი ლაბაძემ პირველივე წრეში წააგო ჩეხ იან ჰენრიჰთან. იმის გამო, რომ ირაკლის ტრავმები ჰქონდა, სპეციალისტებს ეს მარცხი სენსაციად არ მოუნათლავთ, უბრალოდ, თქვეს, ჩეხმა კარგად ითამაშაო. რაც შეეხება სენსაციას, ის ჯერჯერობით არ მომხდარა. უბრალოდ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფრანგ ფაბრის სანტოროსთან მატჩში ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ თამაში შეწყვიტა. მას შემდეგ, რაც შარშან "როლან გარო" მოიგო, ერთ დროს უძლიერეს ჩოგბურთელს რაღაც დაემართა - უკვე ერთი წელიწადია, მაღალი დონის ტურნირი არ მოუგია. ახლა თუ ეს ყველაფერი ტრავმის ბრალი იყო, ადრე ეს მიზეზი არ ჰქონია. როგორც სპორტსმენების უმეტესობას, ალბათ, მასაც ჩავარდნა აქვს. ეტყობა, მალე ყველაფერი გამოსწორდება, მართლაც, ძალიან ძლიერი ესპანელი ჩოგბურთელი ჩვეულ ფორმას აღიდგენს და ისევ გვასიამოვნებს დიდი ჩოგბურთის ყურებით.

თავისი შეხვედრა მოიგო ამერიკელმა ანდრე აგასიმ, რომელმაც პირველ წრეში გერმანელი ტომი ჰაასი დაამარცხა, თუმცა, მატჩის შემდეგ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ძალიან გაუჭირდება ტურნირის მოგება. აგასის ტურნირის მოგება ნამდვილად გაუჭირდება, ეს შეიძლება გამოვრიცხოთ კიდეც, რადგან ტურნირში მონაწილეობს ბევრი ახალგაზრდა ჩოგბურთელი, რომლებიც მსოფლიო რეიტინგის ათეულში არიან.

გაიმარჯვა ხუან იგნასიო ჩელამაც, რომელმაც ბელგიელი ხავიერ მალისი დაამარცხა.

საინტერესო გამოდგა ბრაზილიელი გუსტავო კუერტენისა და ამერიკელი რობი ჯინეპრის მატჩი. თუ გახსოვთ, შარშან, შემოდგომა-ზამთრის სეზონში, კუერტენი შესანიშნავად თამაშობდა, რაც სპეციალისტებმა მის დაბრუნებად მონათლეს, თუმცა, ახალი სეზონის დაწყებიდან უკვე შვიდი თვე გავიდა და ბრაზილიელმა მხოლოდ ახლა მოგვცა მასზე საუბრის საბაბი. ბრაზილიელმა ამერიკელი ჩოგბურთელი ორ სეტში (6:1, 6:4) დაამარცხა.

დაბოლოს, გარკვეულია მეორე წრის ორი შეხვედრა: პირველი წყვილი ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი და ბელორუსიელი მაქს მირნია, ხოლო მეორე - ხუან იგნასიო ჩელა და ესპანელი ტომი რობრედო, რომელმაც პირველ წრეში კორეელი იუნგ ტაიკ ლი დაამარცხა.

| | |
|---|---|
| **რობინ სოდერლინგი (შვედეთი) – ტომას ენკვისტი (შვედეთი)** | **7:6, 6:3** |
| **ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) – ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)** | **3:2-(შეწყდა)** |
| **მაქს მირნი (ბელორუსი) – მიშელ კრატოშვილი (შვეიცარია)** | **7:6, 7:6** |
| **პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) – ანდრეა პაველი (რუმინეთი)** | **7:5, 6:2** |
| **იგორ ანდრეევი (რუსეთი) – სარგის სარგისიანი (სომხეთი)** | **7:5, 6:7, 6:2** |
| **იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი) – მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)** | **1:6, 7:6, 6:1** |
| **სირილ სოლნიე (საფრანგეთი) – დანიელ ნესტორი (კანადა)** | **6:3, 6:4** |
| **ანდრე აგასი (აშშ) – ტომი ჰაასი (გერმანია)** | **4:6, 6:4, 6:4** |
| **დავიდ ფერერი (ესპანეთი) – სიმონ ლარუზი (კანადა)** | **7:5, 6:2** |
| **ალექს ბოგომოლოვი (აშშ) – ივო კარლოვიჩი (ხორვატია)** | **6:4, 7:6** |
| **გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – რობი ჯინეპრი (აშშ)** | **6:1, 6:4** |
| **იან ჰენრიჰი (ჩეხეთი) – ირაკლი ლაბაძე (საქართველო)** | **6:1, 6:4** |
| **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) – ხავიერ მალისი (ბელგია)** | **6:3, 5:7, 6:3** |
| **ტომი რობრედო (ესპანეთი) – იუნგ ტაიკ ლი (კორეა)** | **7:6, 6:1** |

ბოულინგი

# მხურვალე შეხვედრა ბოულინგცენტრში


*"ჯი ემ სი" ჯგუფის წევრები.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ამ ბოლო დროს ბოულინგური გართობა ჩვენთან ერთობ პოპულარული გახდა. გასაკვირი არც უნდა იყოს: დემოკრატიულობით გამორჩეული სპორტის ეს სახეობა ზედმეტი მომზადება-გადამზადების გარეშე სათამაშოდ უხმობს დიდ-პატარას, ქალსა თუ კაცს, აზარტულიცაა და სახალისოც. ბურთის გაგორების სურვილი უკვე საკმარისია თავშესაქცევად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოულინგცენტრში სტუმრობა მრავალგვარი პრიზებითა და სიურპრიზებითაა აღსავსე, მართლა რაღა სჯობს ამგვარ გასართობს.

ამით ჯი ემ სი ჯგუფი ჩვენს საზოგადოებას ანებივრებს და საუკეთესო განწყობას უქმნის. როგორც აღმოჩნდა, კომპანია ასევე ზრუნავს თავის პერსონალზე და მისი თაოსნობით ბოულინგცენტრმა სარესტორნო ქსელის მასშტაბით ჩატარებულ სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. ასეთი შეჯიბრების მოწყობის იდეა უკავშირდება რესტორნების "მატრიოშკასა" და "ტოკიოს" ერთი წლის იუბილეს. სადღესასწაულო სიტუაციის გამრავალფეროვნებისთვის ბოულინგით გართობა, მართლაც, მიმზიდველი გამოდგა. თანაც, შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის რესტორანი "ძველი სახლი" და "საკურაც" მოიპატიჟეს და გაჩაღდა ასპარეზი. რა თქმა უნდა, მოყვარულთა დონეზე მიმდინარე ასეთი ტურნირი მკაცრი რეგლამენტით არ გამოირჩეოდა, მით უმეტეს, რომ მონაწილეთა უმეტესობა თამაშის დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ აზარტი და შემართება იმდენად მკაფიოდ გამოვლინდა, რომ ბევრ პროფესიონალ ბოულერსაც შემშურდებოდა.

ტურნირი გუნდური პრინციპით ჩატარდა და შერეული ხასიათის იყო - მამაკაცებთან ერთად ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. სხვათა შორის, ქალბატონები დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ და ჩინებულადაც ასპარეზობდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია მატრიოშკელი ლიზა ვორონინა, რომელმაც ზედიზედ რამდენიმე სთრაიქით ასახელა თავისი გუნდი. თანაგუნდელებმა ამაგი დაუფასეს და ტურნირის გამარჯვებული სწორედ "მატრიოშკა" გახდა. შეჯიბრება რომ უფრო საინტერესო გამხდარიყო, ყოველი გუნდიდან აირჩა თითო საუკეთესო მოთამაშე და შედგა ე.წ. ნაკრები, რომელიც ბოულინგცენტრის გუნდს შეეჯიბრა. აი, მაშინ კი გამძაფრდა ორთაბრძოლა.

ჯი ემ სი ჯგუფი თანაბრად გულშემატკივრობდა მოასპარეზეებს, მაგრამ სხვები უფრო ნაკრებ გუნდს ამხნევებდნენ ოვაციით. თავისი ფანები ბოულინგცენტრსაც გამოუჩნდა, რომლებიც ომახიანი შეძახილებით გამოხატავდნენ სიმპათიას. მართალია, ნაკრები გუნდი ამჯერად დამარცხდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისმა წევრებმა ღირსეულად იასპარეზეს. განსაკუთრებული ქება დაიმსახურა "ძველი სახლის" წარმომადგენელმა სემარ კუჭუხიძემ, რომლის სარეიტინგო მაჩვენებელი სარეკორდო ათეულში მოხვდა. ასეთი მაგარი ბოულერი ყოფილა და არ ვიცოდითო, ხუმრობდნენ ბოულინგელები. შეხვედრამ საოცრად მხიარულად ჩაიარა. ყველა მონაწილე დაასაჩუქრეს "ორიფლეიმის" მიერ დაწესებული სუვენირებით. პრიზიორს კი ნემიროვის არაყი "პერცოვკა" ერგო ჯილდოდ. "თაფლი და წიწაკა – მხურვალე შეხვედრა" ამ არყის სლოგანია, რომელიც იმდღევანდელი ტურნირის დევიზად იქცა.

ბოულინგით გართობამ კიდევ უფრო შეაკავშირა ჯი ემ სი ჯგუფის წევრები, რაც, ფაქტობრივად, კომპანიის ერთსულოვნების გამოხატულებაა.

## დეკადენტობა + პატრიოტობა = ფაშიზმი

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ იტალიის სასაზღვრო რეგიონებში მოკავშირეთა რეჟიმი დამყარდა. ერთ-ერთი ასეთი ქალაქი იყო **ფიუმე**, რომელსაც დღეს **რიეკა** ჰქვია და ერთ-ერთ ბალკანურ რესპუბლიკას ეკუთვნის. აქ ხშირი იყო დაძაბულობა იტალიელ პატრიოტებსა და მოკავშირეთა ძალებს შორის. მაგალითად, 1919 წლის 6 ივლისს ლინჩის წესით გაასამართლეს, ე. ი. დახოცეს ექვსი ფრანგი ჯარისკაცი, რისთვისაც საფრანგეთის პრეზიდენტმა, **კლემანსომ** იტალიელებს საჯაროდ "მკვლელთა ერი" უწოდა — მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ უკვე ისეთ ეპოქაში ცხოვრობდნენ, რომ პოლიტიკური კორექტულობის უქონლობას მეტად მძიმე შედეგების გამოწვევა შეეძლო.

ფიუმელი პატრიოტები აჯანყდნენ და წინამძღოლობა იტალიელ პოეტსა და პროზაიკოსს, **გაბრიელე დ`ანუნციოს** სთხოვეს. ეს დეკადენტი მწერალი, რომლის რომანებს ძალიან ჰგავს **კონსტანტინე გამსახურდიასა** და **გრიგოლ რობაქიძის** ადრეული ნაწერები, სწორედ ამას ელოდა. მან მყისვე გამოაქვეყნა სტატია, სადაც აცხადებდა, რომ იარაღს ხელში "ქრისტეს სიყვარულისთვისა და მევახშეთა დახლის წინააღმდეგ" იღებდა. ხალხისადმი მიმართვა ბიბლიური პათოსით იყო გამსჭვალული. ბენიტო მუსოლინისათვის გაგზავნილ წერილში დ`ანუნციო უფრო კონკრეტული იყო. იგი წერდა: "ძვირფასო ამხანაგო, წილი ნაყარია. ხვალ იარაღის ძალით ავიღებ ფიუმეს".

300 თანამებრძოლის თანხლებით პატრიოტი პოეტი ტრიესტის მახლობლად მდებარე ქალაქ რონკიდან გაემართა ფიუმესაკენ. გზად მისი რაზმი ათასამდე გაიზარდა. მის შესაჩერებლად გამოეშურა იტალიის რეგულარული არმიის გენერალი **პატალუგა**. დ`ანუნციომ გენერალს ორდენებითა და მედლებით დამშვენებული მკერდი გაუშვირა და პათეტიკურად მიმართა: "თუ მიგაჩნიათ, რომ ეს თქვენი ვალია, მესროლეთ აქ!". სროლის მაგიერ პატალუგამ მკლავები გაშალა და დ`ანუნციო გულში ჩაიკრა. ორივე რაზმის ჯარისკაცებმა ერთხმად იღრიალეს: "გაუმარჯოს იტალიურ ფიუმეს!". ქალაქის მოსახლეობა ზარზეიმითა და ყიჟინით შეხვდა ამბოხებულებს, მოკავშირეთა შეიარაღებულმა ძალებმა ჯერ ყაზარმებს შეაფარეს თავი, მერე კი ფეხის ცერებზე დატოვეს ქალაქი.

დ`ანუნციო ისე იქცეოდა, როგორც სახელმწიფოს მეთაური. თანაც მისი სახელმწიფო ყველასთან ომის მდგომარეობაში იყო, თვით იტალიასთანაც კი. დ`ანუნციომ ჩამოაყალიბა მთავარობა და შემოიღო წინ გაშვერილი მარჯვენით მისალმება, რომელსაც დღეს ყველა ფაშისტურ სალმად ცნობს. ასევე ფიუმეში შემოიღეს თავის ქალებითა და გადაჯვარედინებული ძვლებით გაწყობილი შავი პერანგი — ფაშისტების უნიფორმა. აქვე დაიბადა იტალიელი ფაშისტების ცნობილი შეძახილი "აია, აია, ალალა!".

დ`ანუნციომ შეადგინა პოლიტიკური და სოციალური პროგრამა, რომლის თანახმად მმართველობა "საუკეთესოთა" ხელში უნდა ყოფილიყო, მთელი მოსახლეობა კი ექვს კატეგორიად უნდა დაეყოთ. აქვე ვკითხულობთ, მაგალითად, ასეთ დეკლარაციას: "ცხოვრება მშვენიერია და ღირსია იმისა, რომ დიდებულად და მკაცრად გაატარო ის". ასევე ცხადდებოდა, რომ ეროვნული რელიგია უნდა ყოფილიყო "მშვენიერება და ჰარმონია", რის გამო გიმნასტიკა და სიმღერა ყოველი მოქალაქის სახელმწიფოებრივ ვალად ითვლებოდა. ერთი სიტყვით, დაახლოებით იგივე სურათი იყო, რომელიც ალბათ არც ჩვენ აგვცდებოდა, ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე კონსტანტინე ზ. გამსახურდიას პარტიას რომ უმრავლესობა მიეღო. და მიუხედავად იმისა, რომ დ`ანუნციოს იურისდიქცია მხოლოდ ქალაქ ფიუმეზე ვრცელდებოდა, მან იმდენი მაინც მოახერხა, რომ ნულამდე დაიყვანა მაშინდელი იტალიის მთავრობის პოპულარობა.

მაგრამ 1920 წლის ივნისში იტალიის მთავრობას სათავეში **ჯოლიტი** ჩაუდგა — ცნობილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. იგი დარწმუნებული იყო, რომ ექსტრემისტული სენი უკვე დაძლეულია და საზოგადოება ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება. ჯოლიტიმ გადაწყვიტა, პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ისტერიის ბოლო ნაკვალევი, ფიუმეს უცნაური წარმონაქმნი აღეგავა პირისაგან მიწისა. და რადგანაც ეს საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იუგოსლავიის სახელმწიფოსთან, ჯოლიტიმ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრად ვინმე **სფორცა** დანიშნა — ბელგრადთან კარგი ურთიერთობით ცნობილი კაცი.

სერიოზული ხალხი მოლაპარაკების მაგიდასთან შეიკრიბა. სფორცამ ბრწყინვალედ წარმართა შეხვედრა და ფიუმეს რეგიონი იუგოსლავიის თანხმობით იტალიას შეუერთდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური შეღავათების სანაცვლოდ. დ`ანუნციოს პატრიოტული ტაკიმასხარაობა უნდა დამთავრებულიყო, რადგან რეალური საფუძველი გამოეცალა. ქალაქის გასათავისუფლებლად მაინც საჭირო იყო მისი დარწმუნება და თუ უარზე დადგებოდა, ჯოლიტის ყველა ზომა უნდა მიეღო, რომ ქვეყანაში კვლავ არ აგორებულიყო ნაციონალისტური ისტერიის ტალღა.

ვითარების ამგვარმა ცვლილებამ დ`ანუნციოს ორატორობის საღერღელი აუშალა: "თუ ჩვენ ვერ დავძლიეთ კაცთა მუხანათობა და ჟამთა სიავე, ჩემს ჯარისკაცულ ღირსებას გეფიცებით, რომ იტალიასა და ფიუმეს შორის სისხლისგან დაცლილი ჩემი სხეული დაედება საზღვრად!".

ჯოლიტიმ ვერ აიცილა სისხლისღვრა. 1920 წლის 25 დეკემბერს მარშალმა **კავილიამ** ფიუმეს შტურმის ბრძანება მიიღო. დ`ანუნციომ ამ დღეს "სისხლიანი შობა" უწოდა. თუმცა სისხლი ძალიან ცოტა დაიღვარა, რადგან ქალაქის კომენდანტთან მოქალაქეთა დელეგაცია მივიდა და შეევედრა ძმათამკვლელი ომის შეჩერებას. დ`ანუნციოს რეაქცია აქაც არტისტული იყო: პოეტმა მონეტა ააგდო, თუმცა კი წინასწარ არ გამოუცხადებია, რომელ მხარეს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. შემდეგ იატაკზე დავარდნილ მონეტას წამით დახედა და პათეტიკურად გამოაცხადა, რომ ბედს ემორჩილება და მოწინააღმდეგეს ნებდება.

ასეთი იყო სახელმწიფოს ამ უცნაური კარიკატურის ბოლო. მაგრამ დ`ანუნციოს არენიდან წასვლის შემდეგ რჩებოდა მუსოლინი და მისი "ფაშო" — რაც იტალიურად "კონას" ნიშნავს და საიდანაც წამოვიდა ტერმინი "ფაშიზმი". ჯოლიტი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ფიქრობდა, რომ ომის არეულობიდან წარმოქმნილ ამ პატარა ჯგუფებს ცხოვრების კალაპოტში დაბრუნება თავისთავად გააქრობს. უფრო მეტიც, ფაშისტების გამოყენებასაც ფიქრობდა სოციალისტების ასალაგმავად. მხოლოდ მინისტრი სფორცა ჩანდა ერთგვარად შეშფოთებული მუსოლინის მომხრეთა ჯგუფით. ჯოლიტიმ იგი შემდეგი ფრაზით დაამშვიდა: "ეს ფეიერვერკის რაკეტებია, ძალიან რომ ხმაურობენ და მალევე ქრებიან". სამწუხაროდ, ეს პროგნოზი არ გამართლდა...



გაბრიელე დ`ანუნციო

# რა არის ფაშიზმი?

*რა თქმა უნდა, ფაშიზმი მხოლოდ გაზის კამერები, მილიონობით რეპრესირებული ადამიანი და მიწის პირისაგან აღგვილი ქალაქები არაა — ეს საშინელებანი ყველა მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ადამიანისათვის უკვე კარგა ხანია მიუღებელია. მაგრამ საყოველთაო გაკიცხვას გადაურჩა ფაშიზმის უხილავი და ამის გამო კიდევ უფრო საშიში საფუძველი. იტალიელი მკვლევარი და პროზაიკოსი* ***უმბერტო ეკო*** *ამას მარადიულ ფაშიზმს უწოდებს და თავის ერთ-ერთ ცნობილ სტატიაში მისი ძირითადი მახასიათებლებიც მოჰყავს...*




შეშლილი ბოლონია

ყველამ იცის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მოქმედებდა ანტიფაშისტური წინააღმდეგობა. საბჭოთა პერიოდში ამ არალეგალური მოძრაობის როლი ტრადიციულად ძალიან გაზვიადებული იყო: ფილმებსა და რომანებში პარტიზანები და იატაკქვეშელები მუსრს ავლებდნენ ნაცისტებს. დღეს შეიძლება დავსვათ შეკითხვა: რამდენად მნიშვნელოვანი იყო წინააღმდეგობის როლი ომის მსვლელობაში? მაგრამ თვითონ შეკითხვა სრულიად უმნიშვნელოა, რადგან როგორიც არ უნდა ყოფილიყო ანტიფაშისტთა მატერიალური წვლილი ნაციზმის განადგურებაში, ამ მოძრაობამ კაცობრიობის ისტორიაში აუცილებელი აღმზრდელობითი როლი შეასრულა. მარტო იმის შეგნება რად ღირს, რომ ევროპის ქვეყნები პასიურად არ ელოდნენ გათავისუფლებას ამერიკისა და საბჭოთა კავშირისაგან. ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპული ანტიფაშისტური მოძრაობა კომუნისტების საკუთრება არაა: ანტიფაშისტი არ ნიშნავს კომუნისტს — დღეს შეიძლება ითქვას, რომ ეს, უბრალოდ, ადამიანს ნიშნავს.

დღეს ხშირია შემთხვევა, როცა ტერმინით "ფაშიზმი" სხვადასხვა ჯურის ტოტალიტარულ სისტემებს ან თუნდაც თვალსაზრისებს ნათლავენ. ერთი მხრივ, ეს ისტორიული პრიორიტეტის დამსახურებაა — ფაშიზმი პირველი ტოტალიტარული ექსპერიმენტი იყო. მაგრამ არის უფრო ღრმა მიზეზიც: კონკრეტულ ისტორიულ ფაშიზმში ჩანასახოვანი სახით შედიოდა სხვა განხორციელებული თუ განუხორციელებელი ტოტალიტარული სისტემების ელემენტები. ფაშიზმი არ ყოფილა მწყობრი და მონოლითური იდეოლოგია: ის სხვადასხვა და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეების ერთობლიობა იყო. მაგალითად, იტალიელმა ბენიტო მუსოლინიმ თავისი ფაშისტური აღმავლობა დაიწყო როგორც მონარქისტმა: მას იტალიის მეფის ფიგურა რომის იმპერიის ძველი დიდების ხატად მიაჩნდა. მაგრამ 1943 წელს, როცა მეფემ დაითხოვა მუსოლინი და ფაშისტების პარტიამ უკვე გერმანელების დახმარებით დაიბრუნა ძალაუფლება, მუსოლინის მომხრეები უკვე "სოციალურ" რესპუბლიკას ქადაგებდნენ.

სწორედ ამიტომაა ფაშიზმი ძალიან მოხერხებული იდეოლოგია: შეიძლება უარი თქვათ ერთ ან რამდენიმე იდეოლოგიურ ელემენტზე, ან დაიმატოთ ერთი ან რამდენიმე ახალი შტრიხი და მაინც ფაშისტად რჩებით. გამოაკელით ფაშიზმს იმპერიალიზმი და მიიღებთ ფრანკოს ან სალაზარს, გამოაკელით კოლონიალიზმი და ბალკანური ფაშიზმი შეგრჩებათ ხელში. დაუმატეთ მუსოლინის რადიკალური ანტიკაპიტალიზმი და ჯამში ეზრა პაუნდს მიიღებთ და თუ ოფიციალური ფაშიზმისათვის უცხო კელტურ მითოლოგიასა და გრაალის კულტსაც შევიტანთ სათვალავში, მივაღწევთ ჯულიუს ევოლამდეც, რომელიც ფაშისტი მისტიკოსებიდან ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული იყო.

საშინაო დავალება მკითხველისათვის: რას მივიღებთ, თუ შევკრებთ **შალვა ნათელაშვილის** პოპულიზმს, **მანანა არჩვაძის** ანტისომხურ განწყობებსა და **მართლმადიდებელ მშობელთა** რელიგიურ-პატრიოტულ დომხალს? გემოვნებისთვის გრაალის თასი დავამატოთ ბაჩუკი **ქარდავას დროშიდან** და კიდევ ცოტაოდენი **ხრიდოლი** — პროვინციული ფაშიზმის თაიგულიც მზადაა.

მიუხედავად ასეთი ამორფულობისა, მაინც შესაძლებელია გამოვყოთ ყველანაირი ფაშიზმის მისაღებად აუცილებელი, ასე ვთქვათ, საწყისი ელემენტების სია. არაა სავალდებულო მათი ერთობლივი მოქმედება — ზოგი მათგანი ერთმანეთის საწინააღმდეგოა. მაგრამ საკმარისია ერთ-ერთის არსებობა, რომ მის გარშემო ფაშიზმის ღრუბელმა იწყოს კონდენსირება.

1. **ტრადიციის კულტი**. რა თქმა უნდა, ტრადიციონალიზმი ფაშიზმზე უფრო ძველია. ევროპის ისტორიაში მას მიეკუთვნება, მაგალითად, კათოლიკური რეაქცია საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. კიდევ უფრო ძველად კი ელინისტური კულტურის რეაქცია ბერძნული რაციონალიზმის გაბატონებაზე. მაგრამ ფაშიზმის აღმოსაცენებლად გამოსადეგ ტრადიციონალიზმს ერთი თვისება უნდა ჰქონდეს: ვერ უნდა ამჩნევდეს საკუთარ შინაგან წინააღმდეგობრიობას. წარსულიდან მომავალი ყველა უწყება წმინდაა და ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს. ასეთია, მაგალითად, რუსული მართლმადიდებლური ტრადიციონალიზმი: თვითონაც ვერ გაუგიათ, რომელ ტრადიციას ესწრაფვიან — იოანე მრისხანის აღდგინება სწადიათ თუ პეტრე პირველისა, მოსკოვური რუსეთის თუ პეტერბურგის იმპერიისა.

2. **მოდერნიზმის უარყოფა**. ნაცისტები ეთაყვანებოდნენ ტექნოლოგიას, მაგრამ მხოლოდ პრაქტიკულად. მათი იდეოლოგია წარსულის ხოტბით იყო გამსჭვალული, ხოლო ახალი მიღწევები მათ წარმოდგენაში შეუძლებელი იყო "მიწისა და სისხლის" გარეშე. ასეთივე წინააღმდეგობრიობა შეინიშნება დღესაც: გმობენ გლობალიზმს, მაგრამ რეაქციულ აზრებს ინტერნეტში აქვეყნებენ.

3. **ქმედება ქმედებისთვის**. ეს ნიშნავს, რომ ყოველგვარი საქმე თავისთავად მშვენიერია მასზე ფიქრის გარეშე. ფიქრი და აზროვნება უკვე დაცემის, ყოყმანის ნიშანია. ამიტომ არ უყვარდა **სტალინს** შექსპირის "ჰამლეტი" და დანიის პრინცის ტრაგედია, მთელი მისი შინაარსი ყოყმანის გაკიცხვამდე დაიყვანა. აქედან კრიტიკული აზრის ყოველგვარი მიუღებლობა და დოგმატიზმის კულტი. იღლიავს მოწმეები მანამდე უნდა დაითრგუნონ, სანამ ნამდვილად დავადგენთ მათგან მომდინარე საზოგადოებრივ საფრთხეს.

4. **უთანხმოება ღალატია**. ეს ლოზუნგი პირდაპირ მომდინარეობს კრიტიკის მიუღებლობიდან. თანამედროვე მეცნიერული საზოგადოებისათვის აზრთა სხვადასხვაობა წინსვლის საფუძველი და ინსტრუმენტია. მაგრამ ფაშიზმი ამას ვერ იტანს. ამიტომაც ისმის ამდენი ლაპარაკი ეროვნული თანხმობის გარშემო, თუმცა არავის ესმის, კონკრეტულად რა იგულისხმება. ამიტომ კეთდება მშვიდობის ამდენი უნაყოფო დეკლარაცია და ტარდება შერიგების ამდენი უშედეგო ცერემონია.

5. **შიში განსხვავებულის წინაშე**. პირველადი ფაშიზმი განსაზღვრის თანახმად რასისტულია: საძულველი უთანხმოების მატარებლები განსხვავებული ადამიანებია — ნუ მოითმენთ განსხვავებულებს. აი, ასეთია ფაშიზმის მოწოდება. სულ ერთია ვინ იქნება განსხვავებული: ებრაელი, სომეხი, შავკანიანი, იეღოვას მოწმე, დემოკრატი.

6. **მოწოდება დაჩაგრული საშუალო კლასისადმი**. ფაშიზმი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი იმედგაცრუების ნიადაგზე ყვავის. ყველაზე იმედგაცრუებულები კი სწორედ ისინი არიან, ვისაც წინანდელი რეჟიმის დროს საშუალო კლასის ადგილი ეჭირათ. ამ ადამიანებში, ახალ უკმაყოფილო უმრავლესობაში პოულობს ფაშიზმი თავის უმთავრეს მხარდამჭერებს.



ოკუპირებული კრაკოვი

7. **შეთქმულების აკვიატებული იდეა**. უმრავლესობას ფაშიზმი იმის განცხადებით იჭერს, რომ ყველა მისი წევრის მთავარი უპირატესობა მათი საერთო თვისებაა: საზიარო ეროვნული წარმოშობა. ეს ნაციონალიზმის სათავეა. მაგრამ ეროვნული თვითშეგნების ყველაზე ეფექტური ჩამომყალიბებელი მტრისადმი დაპირისპირებაა. აუცილებელია გამუდმებით ვაცხადოთ, რომ მტრები ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამიტომაც ცხადდება, რომ მასონებს სურთ ეროვნულობა წაგვართვან (თუმცა იტალიური ნაციონალიზმის სათავეში სწორედ მასონები იდგნენ), რომ იმპერიალისტები ლამობენ მართლმადიდებლობის განადგურებას (თუმცა ასეთი ნაბიჯი, შეუძლებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძვირი და წამგებიანია). შეთქმულების რწმენა მხოლოდ ფაშისტური ერთობის იდეოლოგიური ინსტრუმენტია.

8. **მტერი მეტად ძლიერი და, ამავე დროს მეტად სუსტია**. შური სიძულვილის ყველაზე ძლიერი მამოძრავებელია. ამერიკელები უნდა გვძულდეს, რადგან ჩვენზე გაცილებით მდიდრები არიან და მძლავრი და კეთილმოწყობილი სახელმწიფო აქვთ. მაგრამ მტერი აუცილებლად სუსტიც უნდა იყოს, რომ შიშის თუ სხვა რამ მიზეზის გამო მასთან შეერთება არ მოგინდეს. ამიტომაც აცხადებს საქართველოს საპატრიარქოს რადიოში ერთი რიგითი მღვდელი, რომ ყველა ამერიკელი "სირისტიანია", რადგან მათი ჩასახვა უსიყვარულოდ ხდება მინის სინჯარაში. ფაშიზმი ყოველთვის სწორედ იმიტომ მარცხდება, რომ უნარი არ შესწევს, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს მოწინააღმდეგის ძალები.

9. **პაციფიზმი მტრის წინაშე დანებებაა**. მშვიდობა ადამიანებს რყვნის, აცხადებენ ფაშისტები, ამიტომ საზოგადოება მუდმივი ომის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. მეორე მხრივ, ძლევამოსილმა ერმა ადრე თუ გვიან უნდა დაამარცხოს თავისი მტრები. ამ იდეოლოგიას არმაგედონის კომპლექსი ჰქვია: მუდმივი ომის მოთხოვნა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, რადგან საბოლოო გამარჯვების შემდეგ უნდა დამკვიდრდეს მშვიდობისა და კეთილდღეობის ხანა. ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა ვერც ერთმა ფაშისტურმა ლიდერმა ვერ შეძლო. დღეს ჩვენში მართლმადიდებლობას ასწავლიან როგორც სხვადასხვა მტრების (მწვალებლების, სექტანტების) წინააღმდეგ უსასრულო და შეურიგებელ ბრძოლას, რომლის შედეგად გაურკვეველ მომავალში ივერია "გაბრწყინდება". შესაძლოა თუ არა ერთი ცალკე აღებული ქვეყნის "გაბრწყინება"?

10. **სუსტების მიმართ ზიზღი**. ყოველი რეაქციული იდეოლოგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ელიტის განდიდება. მაგრამ ფაშისტებმა შემოიტანეს "საყოველთაო" ან "ხალხური" ელიტარიზმის იდეა. საზოგადოების ყოველი წევრი მსოფლიოში საუკეთესო ხალხის წარმომადგენელია. ყველამ იცის, რომ "ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო". მაგრამ არ არსებობენ პატრიციები პლებეების გარეშე. ამიტომ, იერარქიულად მოწყობილ ფაშისტურ საზოგადოებაში, ყველა "ზემდგომს" ეზიზღება "ქვემდგომი". გალავნიანი სახლის მცხოვრებს — კორპუსის მცხოვრები, ვაკელს — გლდანელი, პარლამენტარს — ამომრჩეველი და ა. შ. ამიტომ იწვევს რეაქციას ამ წესის ყოველი დარღვევა: დედაქალაქის მერი არ შეიძლება ცხოვრობდეს ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე!

11. **ყველა უნდა აღიზარდოს გმირად**. ყოველ მითოლოგიაში გმირი განსაკუთრებული არსებაა, მაგრამ ფაშიზმის პირობებში გმირობა ნორმად უნდა იქცეს. გმირობა კი თავგანწირვასთანაა დაკავშირებული. ამიტომაც იყო ესპანელი ფალანგისტების ლოზუნგი — "გაუმარჯოს სიკვდილს!". ფაშისტი გმირი ესწრაფვის სიკვდილს, რომელიც გმირული სიცოცხლის ყველაზე ღირსეულ დაგვირგვინებად მიაჩნია, მაგრამ ამ სწრაფვაში უფრო ადვილად სხვების დახოცვას ახერხებს. განსაკუთრებულად გმირული სულისკვეთების აღზრდის ინსტრუმენტად აღიქმება ქართული ლიტერატურა და თავგანწირვის იდეების მისი ყველაზე უფრო გამომხატველი ნაწილი, ჰაგიოგრაფია.

12. **მამაკაცური სექსუალობის კულტი**. მუდმივი ომი და თავგანწირვა ძნელი თამაშებია. ამიტომ მთელი ენერგია მამაკაცობის განვითარებაზე იხარჯება, რადგან ეს ომისა და სიკვდილის ყველაზე წარმატებული შემცვლელია. მამაკაცური სექსუალობა მიჩნეულია დადებით იდეალად, ფლობის დაუბრკოლებელი განხორციელება — წარმატების ერთადერთ სახედ, ქალს კი შედარების შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს, რომ მის მფლობელ მამაკაცს სასურველი წარმატების იდეალური პირობები შეუქმნას. აქედან გამომდინარეობს ყბადაღებული "ქალიშვილობის ინსტიტუტი".

13. **თვისებრივი პოპულიზმი**. დემოკრატიის პირობებში ცალკეულ მოქალაქეებს აქვთ უფლებები, ხოლო მოქალაქეთა ერთობლიობა მხოლოდ ამ უფლებათა განხორციელების რაოდენობრივ ანარეკლს გრძნობს. ფაშისტურ საზოგადოებაში ცალკეული ადამიანები უფლებააყრილნი არიან, მაგრამ მათი ერთობლიობა, ერი ფლობს ყველა ადამიანურ უფლებასა და საუკეთესო თვისებას. უმრავლესობა შეიძლება არასოდეს გამოვიდეს კონკრეტული ცხოვრებისეული ჭუჭყიდან, მაგრამ მისი თითოეული წევრი იქაც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ უძველესი კულტურის, მდიდარი ისტორიისა და უსასრულო ნიჭიერების მფლობელ ერს ეკუთვნის.

14. **ფაშიზმი ლაპარაკობს ნეოლინგვაზე**. "ნეოლინგვა" ინგლისელი მწერლის, **ჯორჯ ორუელის** მოგონილი ენაა, რომელზედაც თითქოსდა ლაპარაკობენ ასევე მოგონილ სახელმწიფოში, სადაც "ინგლისური სოციალიზმი" სუფევს. ყველა ფაშისტური რეჟიმი ცდილობდა ლექსიკის გაღარიბებასა და სინტაქსის გამარტივებას. საქართველოში ამგვარი "ნეოლიგვური" ტენდენციები სხვადასხვანაირად შეიმჩნევა. ასლან აბაშიძის "მეტყველებას" რომ თავი დავანებოთ, სხვა ბევრიც შეიძლება ვიპოვოთ: მასწავლებლები ეწინააღმდეგებიან სხვა ენებიდან სიტყვების ბუნებრივ სესხებას, მაღალჩინოსანი პოლიციელები წამდაუწუმ იყენებენ არქაიზმებს, ტელევიზია "202"-ის მესვეურები ამკვიდრებენ უკიდურესად შეზღუდულ ქუჩურ სლენგს.

ფაშიზმის გამოჩენა სულაც არ ნიშნავს, რომ ვიღაც ჰიტლერის სურათით გამოჩნდეს ქუჩაში და იყვიროს, ოსვენციმის აშენება მინდაო. რეალობა ამ ზომამდე მარტივი არაა და ამ მუდმივ არჩევანში ორი რამ თუ გვიშველის: მეხსიერება და ყურადღება.

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეზარაშვილი**

# ფორუმი 2004

## კატალონიური თვალსაჩინოება კულტურული ცხოვრებისთვის

პომპიდუს ცენტრი პარიზში და ტეიტ მოდერნი ლონდონში – ეს ორი მუზეუმი შესანიშნავი მაგალითია იმის, თუ როგორ შეიძლება, ქალაქის ცენტრს სიცოცხლე შეჰმატო. მუზეუმები არც ბარსელონას აკლია, მაგრამ ქალაქის მერმა ინდუსტრიული ცენტრის გასახალისებლად მაინც გადაწყვიტა, ორიგინალური კულტურული იდეები გამოეყენებინა. ახლა, მისი აზრით, ბარსელონა ბევრისთვის უნდა გახდეს სასურველი ადგილი საცხოვრებლად და სამუშაოდ.

რას გულისხმობს ორიგინალური კულტურული იდეა. ოკეანის სანაპირო ზოლზე, დაახლოებით რვა მილის მანძილზე, კრისტოფერ კოლუმბის ქანდაკებასთან, 141-დღიანი კულტურული ფიესტა მიმდინარეობს. გამოფენები, პოპ და კლასიკური მუსიკის კონცერტები, ქორეოგრაფიული და თეატრალური წარმოდგენები, განხილვები, დიალოგები – ფიესტა ყველაფერს მოიცავს. მისი ორგანიზება 400 მილიონი დოლარი დაჯდა. ფესტივალი სახელწოდებით ფორუმი 2004 მაისში დაიწყო და სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე გასტანს. ქალაქის მერიას იმედი აქვს, რომ ამ დროისთვის არტფიესტათი ყველა ბარსელონელი იხეირებს.

"თითქმის ასი წელია, ჩვენ გამუდმებით ვფიქრობთ იმაზე, თუ რით ვარგოთ ჩვენს ქალაქს. 1888 წელს ამ მიზანს უნივერსალური გამოფენა ემსახურებოდა, 1929 წელს – მეორე მსოფლიო ბაზრობა, სულ ახლახან, 1992 წლის ზაფხულში – ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. ახლა კიდევ ფორუმი. ამ ფიესტას გამო კიდევ უფრო დავაჩქარეთ ბარსელონას კეთილმოწყობის პროცესი", - აცხადებს ფორუმის პრეს-აგენტი ოლეგერ სარსანედასი.

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონა ისედაც ულამაზესი და ბევრისთვის საოცნებო ქალაქია (გაუდის არქიტექტურა – კი თითქმის ისევე აუცილებლად სანახავი, როგორც ევროპის ნებისმიერი სხვა ტრაფარეტად ქცეული ღირსშესანიშნაობა), მას გალამაზება-რესტავრირება მაინც სჭირდებოდა. ფორუმი 2004-ისთვის კი 3.6 მილიარდი დოლარი ჩადეს ახალ ურბანულ ინფრასტრუქტურაში: დაანგრიეს ძველი სახლები და ქარხნები, გაათანამედროვეს ნაგვის გადასამუშავებელი, ელექტრო-ენერგიისა და წყლის გამწმენდი სადგურები, ააგეს ახალი სასახლე კონფერენციებისა და შეხვედრებისთვის, სამი ახალი სასტუმრო, მრავალასრთულიანი საცხოვრებელი სახლები და უზარმაზარი მზის ენერგიის სადგური.

გარდა ამისა, ფართო ქუჩა გაიყვანეს ზღვამდე და პირველად მთელი საუკუნის განმავლობაში ხალხმა პლაჟამდე მისვლა შეძლო მაშინ, როცა აქამდე სანაპირო ინდუსტრიული შენობებით იყო დაბლოკილი.



მზის ენერგიის სადგური ახალ ბარსელონას ფორუმის შემდეგაც გამოადგება.



ქორეოგრაფიული ანსამბლი "ფოკუსი" ბარსელონას ფორუმზე შთამბეჭდავ წარმოდგენას მართავს. "შეგძრავთ სამყარო" – ასეთია მათი დევიზი.

ერთი სიტყვით, ფორუმი 2004 სექტემბერში კი მთავრდება, მაგრამ ბარსელონა ცხოვრებას მერეც ესთეტიკურად განაგრძობს – ახალი შენობებით, ახალი გზებით და მოდერნიზებული სადგურებით.

მანამდე კი კულტურულ-ინტელექტუალური ფორუმი პიკს უახლოვდება. ოლიმპიური თამაშების პრინციპით, ბარსელონას შემდეგ ის ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა ქალაქში გაიმართება.

ორგანიზატორების აზრით, ფორუმზე ისევე მნიშვნელოვანია ინტელექტუალური დატვირთვა, როგორც გართობა. ამიტომ ბარსელონაში უამრავი მეცნიერი, ეკონომისტი, მწერალი, პოლიტიკოსი და სხვადასხვა დარგის ექსპერტია მიწვეული. ისინი მონაწილეობენ დებატებში თემებზე: მდგრადი განვითარება, კულტურული თავისებურებები და მშვიდობის წინაპირობები. ეს დებატები იუნესკოს მხარდაჭერით მიმდინარეობს.

ცხადია, ეს თემები იმდენად პრობლემატური და აქტუალურია, რომ რეზონანსს ფორუმის ფარგლებში მიმდინარე გამოფენებშიც პოულობენ.

"ხმები" ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც მსოფლიოში არსებულ 5 ათასამდე ენას ეძღვნება. როგორც ცნობილია, მათ 95 პროცენტს საფრთხე ემუქრება. ფორუმის სტუმრებს კი საშუალება აქვთ აუდიო-ვიზუალური შოუ დაათვალიერონ და 24 სხვადასხვა ეკრანზე 30-წამიან კლიპებში ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანებს მოუსმინონ.

"დავასახლოთ მსოფლიო" – ეს მეორე გამოფენაა, რომელიც გარემოს დაცვის პრობლემებს ეძღვნება. ექსპოზიცია "ქალაქები, კუთხეები" კი მსოფლიოს ულამაზესი შენობების მაკეტებს გვთავაზობს ნიუ იორკიდან, ტოკიოდან, სტრასბურგიდან.

ფორუმის პარალელურად განსაკუთრებული სახის გამოფენებს მასპინძლობს ბარსელონას ოცამდე მუზეუმი. ზოგან მშვიდობის თემატიკა ჭარბობს, მაგალითად, როგორც პიკასოს მუზეუმში – ექსპოზიცია "პიკასო: ომი და მშვიდობა", თანამედროვე კულტურის ცენტრში კი – ფერწერული გამოფენა "ომში".

მოკლედ, ბარსელონაში კულტურული და ინტელექტუალური ცხოვრება დუღს. ქალაქი "მოაზროვნის" პოზაშია და აზროვნებს, თუმცა, არც გართობას იკლებს და ცეკვავს, მღერის, ანდა სხვის ცეკვასა და წარმოდგენებს ადევნებს თვალს. თანაც, ერთად ორ კურდღელს იჭერს – კულტურული ფიესტის დასრულების შემდეგ ქალაქი გალამაზებული რჩება. ოთხი წლის მერე, პროექტში ჩართვის სურვილს კი უკვე მექსიკისა და სამხრეთ აფრიკის ქალაქები გამოთქვამენ.

## სკანვორდი



**N-176-ში გასული სკანვორდის პასუხები:** ფანტაზია; ალადასტური; დიორამა; ოლიგარქია; იგნატოვი; ექო; ბილდი; სამბა; ქსენონი; პაკისტანი; მაქსიმა; ბალისტიკა; ელეგრამა; სანქცია; ეროზიკი; ალიაზისი; სოინარი; სიკორსკი; რალი; ოპელი; ფილარმონია; ალია; პარტიტურა; ქსენოფობია; ტაისი; პენსილვანია; სტეგოკარდია; კაბუკი; რუბაია; ბერნსტაინი; სკოლარ

## TV პროგრამა

28 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "მოუხელთებელი შურისმაძიებლები"(გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხოცავენ არა?". მთ. რ-ში: ჯეინ ფონდა, მაიკლ სერეზინი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.25** მოგზაურობა დიად ბუნებაში. **15.30** გადაცემა: მაპატიეთ. **16.25** კოლეტი. თავისუფალი ქალი. ტელესერიალი. **18.40** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ჩე...... დოკ. ფილმი. **22.05** ეკრანს მიპყრობილი მზერა. ფილმები ნამდვილი ამბების შესახებ. ფესტივალი. **23.00** შარლემანის ეპოქა. დოკ. ფილმი. **04.20** კრიმინალი. ტელესერიალი.

### ISI

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ამერიკული რაპსოდია". მთ. რ-ში: ნასტასია კინსკი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "პოპ-არტი და კომაპნაი" **15.20** სერიალი "რვაფეხა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "შავი წერტილი" (12)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "აის ვენტურა" (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" (ჯული ჰენდრიუსი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სიყვარულის ისტორია" (ჟან რენო) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "0" (ჯოშ ჰარტნეტი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "მოგზაურობა დედამიწის გულში" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "მკაცრი დროება" **13.10** მხ. ფილმი "მზის ცრემლები" (გ) (ბრუს უილისი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მარტორქის მოგზაურობა" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ძმა" (18) (ბით ტაკეში)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ზამთრის ფანტაზიები" **22.00** მხ. ფილმები "ინსპექტორი ლავარდენი" (12)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 22-23 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება" **15.15** მხ. ფილმი "გლობალური მუქარა" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "ბეოვულფი" (კ. ლამბერტი) (გ)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "პედიატრები" მე-3ს. **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ექსტრაორდინალური ისტორიები" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.15** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი "პრინცი ჰოგონი და პრინცესა რანრანი" **10.15** ფანტასტიკა "მეათე სამეფო" **11.40** მუსიკა **11.50** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "თავქარიანები" **14.05, 03.50** მუსიკა **14.30** დრამა "გიგლი" **16.45** მულტსერიალი **17.00** მელოდრამა "გზაჯვარედინები" **18.30** საინფორმაიო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** თრილერი "გოთიკა" **21.00** კომედია "ცის კარიბჭემდე მიღწევა" **23.00** დრამა "სასტიკი რომანსი" **01.35** ვესთერნი "ომი ველურ დასავლეთში" **04.05** კომედია "ადაპტაცია"

### OPT

**06.00** Телеканал "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 19.00 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич" **12.10** Изольда Извицкая в фильме "**Неповторимая весна" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20** Алексей Гуськов в фильме **"Подозрение". 3-я с. 16.30** Криминальная Россия. "Казанская бригада". 3-я с. **17.00** "Слабое звено" **18.20** Просто смех! **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** Тайны века. "Титаник. Русская версия" **23.30** "Разведка. Версия для кино". "Мертвый сезон" **00.00 Детективный сериал "24 часа" 00.50 Триллер Стивена Кинга "Зона - 51" 02.40 Комедия "Как она побывала мужчиной" 04.10 Сериал "Бадди Фаро" 05.05** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Калипсо" ищет "Атлантиду**"**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.45 Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 10.00** Сегодня утром. **10.25** Кулинарный поединок: Сергей Рост - Антон Конча. **11.20** Ток-шоу "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.20** "Сегодня" **12.30 Худ. фильм "Д'АРТАНЬЯН И ТРИ МУШКЕТЕРА". 2-я с. 14.25** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30 Сериал "ОХОТА НА ЗОЛУШКУ" 18.35** Протокол. **19.40 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 3-я с. 20.55 Сериал "ЧУЖОЕ ЛИЦО" 22.00** "Страна и мир" **22.35 Сериал "ДЖЕЙК 2.0" 23.40 Сериал "ЛЮБОВНЫЕ АВАНТЮРЫ". 6-я с. 00.45** Мишель Родригес в фильме **"ЖЕНСКИЙ БОЙ".**

# ჩხუბი ბაბა-იაგას გამო



გუშინ რუსული მედია, მათ შორის ტელეარხი HTB-ც იუწყებოდნენ, რომ იაროსლავის ოლქში ეკლესიასა და ადგილობრივ მმართველებს დიდი ჩხუბი მოსვლიათ. პოლემიკის მიზეზი ბაბა-იაგას მუზეუმია. იაროსლაველ მოხელეებს უნდოდათ, რომ ერთი სოფელი ამ ზღაპრული პერსონაჟის სამშობლოდ გამოეცხადებინათ და ამრიგად ამ მივარდნილ მხარეში ტურისტები მიეზიდათ (მიიზიდავდნენ კიდეც). მაგრამ ნურას უკაცრავად - მღვდლები წინააღმდეგნი ყოფილან.

მოქმედება სოფელ კუკობოიში ხდება. მეოცე საუკუნის დასაწყისში იქ დაბადებულმა ვაჭარმა ივან ვორონინმა პატარა სამშობლოს პატივისცემა ისურვა და ტყესა და ჭაობში პოშეხონამდე რკინიგზის გაყვანა გადაწყვიტა. მაგრამ რკინიგზისთვის გამოყოფილი ფულით სასწრაფოდ ახალი ტაძარი ააშენეს, მიუხედავად იმისა, რომ პატარა, ლამაზი ეკლესია სოფელს უკვე ჰქონდა. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ღვთისმსახურებმა უცებ ჩამოაყალიბეს - სოფელს ჭაობის ავი სულები ეძალებიანო.

ტაძარი მართლაც დიდებული ყოფილა, ამბობენ, ზემო ვოლგაზე მსგავსი არაფერი დგასო. უბრალოდ, რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა ის ბოსტნეულის საცავად გადააკეთეს, სარდაფი კი ციხედ გამოიყენეს. ასე იყო 1989 წლამდე.

ტაძრის სიახლოვეში, კუკობოის განაპირას, მრავალი ღირსშესანიშნაობაა: "წმინდა წყარო", რომლის წყალიც სამკურნალოდ ითვლება, ლენინის ძეგლი... არადა, კუკობოიში ზღაპრები უყვართ. რას აღარ ჰყვებიან: რომ იქაურ აბანოს ფუძის ანგელოზი ჰყავს, რომ ჭაობში ალი ცხოვრობს - ღამით წყალს ადგაფუნებს და იცინისო. ირგვლივ 10-15 კილომეტრის რადიუსში გაუვალი ულრანია, და სულ იოლი დასაჯერებელია, რომ ბაბა-იაგაც სწორედ აქ დაიდებდა ბინას. სოფელში ქოხიც ააშენეს და ზღაპრის სცენარიც დაწერეს, და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა როლები სასწრაფოდ დაინაწილეს. ტყეში, გაუვალ ჭაობში, ბაბა-იაგა დაიარება, რომელსაც ხან ბიბლიოთეკის გამგე ასახიერებს, ხან მეზობელი რაიონული ცენტრიდან ჩამოსული თვითნასწავლი მსახიობი. ზღაპრის პერსონაჟებად გამოწყობილი სოფლელები დიდი ენთუზიაზმით დადიან ყველა რეპეტიციაზე, რადგან კუკობოიში რადიო არა აქვთ და ტელევიზორიც ყველა სახლში არ დგას, და საერთოდ, არაყში ჩახრჩობას ბაბა-იაგობანას თამაში სჯობია. დღეს იქ ბაბა-იაგას მუზეუმი ერთადერთი გასართობი და სხვათა შორის, შემოსავლის წყაროცაა.

როგორც მოგახსენეთ, ამ ჩინებული წამოწყების წინააღმდეგ ეკლესიამ გაილაშქრა. სამღვდელოებამ ბაბა-იაგა სატანიზმში დაადანაშაულა!

თვინიერი სოფლელები იხვეწებიან, თქვენ ოღონდ ნუ გაჯავრდებით, ქოხს დავშლით და ტყეში, ანუ მორწმუნეებისგან შორს და ზღაპართან ახლოს გადავიტანთო, მაგრამ არა... რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, მუზეუმის მესვეურები და სოფლელები უკვე რამდენიმე თვეა, ვერაფერზე თანხმდებიან.

მოსცლიათ, ერთი. ბაბა-იაგას მაინც ვერავინ ვერაფერს დააკლებს.

ერთი შეხედვით, ბაბა-იაგა საშინელი ქალია. ბაბა-იაგა მახინჯია, ბებერი, ეშმაკი და ავი. ბაბა-იაგაზე უარესი ქალს რა უნდა უწოდო? მაგრამ თუ ზღაპრებს გადაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ არც მთლად ასეა საქმე. ძირითადად, ბაბა-იაგას უბედურება მისი უჩვეულობაა.

დავიწყოთ იმით, რომ ვისაც კი გაუხარდება, ყველას შეუძლია მისი სახლი საკუთარი სურვილისამებრ ატრიალოს. მოხუცი სტუმრებს ძალიან გულითადად იღებს, აჭმევს და ასმევს, მის გასართობად ფრინველებსა და ცხოველებსაც იწვევს და ყოველთვის ეკითხება ამ მთისას, იმ ბარისას. ამ ფონზე სტუმარი დიდად კარგი ზნით იშვიათად გამოირჩევა: "ჯერ დამაპურე, დამაძინე, მერე ვილაპარაკოთ!" - კარგია?

ხშირად ირკვევა ხოლმე, რომ ბაბა-იაგა გმირის ნათესავი იყო, ძირითადად, ქალების ხაზით, მაგალითად, სწორედ იმ ცოლის დეიდა, რომლის საძებნელადაც ის ამ სიშორე გზასაა დამდგარი. მაგრამ გმირი მაინც უტიფრად იქცევა - ხეპრეა. იმედია, მისი ცოლიც ასეთივე დედაბერად ჩამოყალიბდება და ახი იქნება გმირის თავს.

ბაბა-იაგა საზღვარზე ცხოვრობს, ჩვეულებრივი და ჯადოსნური სამეფოს გზასაყარზე, ამიტომ მისი სახლისთვის გვერდის ავლა შეუძლებელია. მაგრამ საკმარისია ჯადოსნური სიტყვები წარმოთქვათ და ქოხს მოუწოდოთ, პირით ჩემკენ მობრუნდიო, ის ბებერ ქათმის ფეხებს აამოძრავებს და აუცილებლად მობრუნდება - მეტი რაღა ქნას?

ერთი ციცქნა ქოხია. ღუმელზე მწოლ დედაბერს ფეხი კუთხეზე აქვს მიბჯენილი, ცხვირით ჭერს სწვდება. არადა, გოლიათი ხომ არაა, ერთი ციდა, წელში მოხრილი დედაბერია. მისი დაჩაგვრა უნამუსობაც კია, არადა, ჩაგრავენ, და ამიტომაცაა ასეთი ეჭვიანი და მფრთხალი, ცოცხალი ადამიანის სუნს შორიდანვე იკრავს ხოლმე. საერთოდ, შეიძლება ბრმაც კია, ისეთი ჩინებული ყნოსვა აქვს და გაფაციცებული სმენა...

თავის ზებუნებრივ ძალას ბაბა-იაგა საკმაოდ სამართლიანად იყენებს. ამის დასტური თუნდაც ისაა, რომ მის გამგებლობაში მყოფი ცხოველები ერთგულად ემსახურებიან, საზრდოსაც უზიდავენ და გამვლელ-გამომვლელთან აქებენ და ადიდებენ კიდეც, რაც მთავარია, გულით. უბრალოდ, ის ადამიანები, ვისი ძვლებითაც ბაბა-იაგას ეზოა შემოღობილი, ცუდები იყვნენ. მათ, ვინც ადამიანურად ექცევიან, ბაბა-იაგა დიდ საჩუქარს უბოძებს ხოლმე - საუბრისას პირიდან თვალ-მარგალიტი სცვივათ. შესაბამისად, ის, ვისაც პირიდან გომბეშო უვარდება, უმადური არსებაა, რომელმაც მოხუცის სადილი არ იკადრა და მისთვის ამბების მოყოლა დაიზარა.

...ო, როგორ გაუჯავრდება ბაბა-იაგა იმ ბნელებს, ვინც მის მიწაზე მცხოვრებთათვის ლუკმა-პურის და გასართობის წართმევას ლამობენ! ჩაჯდება თავის როდინში, მიუვარდება და ერთს გემრიელად დააფრთხობს მაინც.
















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.